# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 21 მაისი 1998 №75 (610) ფასი 50 თეთრი

# საქართველო 12:6 რუსეთი

## რუსებს ვძლიეთ! დევებს შევეხმეხებით?

ბოლო დღეების მთავარი თემა ჩვენში რა იყო? დიდს თუ პატარას, თამაშში გათვითცნობიერებულს თუ გაუთვითცნობიერებულს ერთი და იგივე საქართველო — რუსეთი ეკერა პირზე. გუშინ ეროვნულზე ნაღდად დიდი რაგბი იყო.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე მალხაზ ურჯუკაშვილმა რუსებს ოთხი საჯარიმო გაუტანა და...





მსოფლიოს თასის მეოთხე გათამაშების, იგივე მსოფლიოს ჩემპიონატის, რომლის ფინალური სტადია გაისად უელსის დედაქალაქ კარდიფში უნდა გაიმართოს, შესარჩევ ევროპული „ა" ქვეჯგუფში ბოლოსწინა შერკინებას მეტოქეთათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. შესაბამისი აჟიოტაჟიც ამიტომ ახლდა. საქმე რაში იყო? ხუთგუნდა ქვეჯგუფში უდავო ფავორიტმა იტალიამ ზედიზედ სამი მოგებით ვადამდე გაინაღდა დასკვნით შესარჩევ ეტაპზე თამაშის უფლება. იტალიელებს ბოლო გასვლითი შეხვედრა ხორვატებთან აქვთ დარჩენილი, იგი 30 მაისს უნდა გამართულიყო, მაგრამ იტალიელთა თხოვნითვე ერთი კვირის დაგვიანებით ჩატარდება. ამ მატჩის შედეგსაც ექნება მნიშვნელობა, თანაც გუშინდელზე არანაკლები. საქმე ის არის, რომ თუ წუხელ საღამოს საქართველო იგებდა და მერე ხორვატებიც სძლევდნენ იტალიელებს (რაც ერთობ არარეალურია, მაგრამ ეშმაკს არ სძინავს), მაშინ ეს სამი გუნდი ქულებს თანაბრად აგროვებდა და ქვეჯგუფიდან გამსვლელი ორი საგზური ერთმანეთში ნათამაშევ მატჩებში გატანილი ლელოების უკეთესი მაჩვენებლით გამოვლინდებოდა. თუკი გუშინ რუსები იმარჯვებდნენ, თანაც ისე რომ ლელოებში სხვაობა სამზე ნაკლები არ იქნებოდა და მერე ხორვატია იტალიასთან წააგებდა, მაშინ ჩრდილოელი მეზობლები ჩვენც გვისწრებდნენ და ხორვატებსაც. სხვა ვარიანტთა გარჩევაც შეიძლება, მაგრამ ეს უფრო თავს გვატკენს, სჯობს მეტად მთავარზე ვილაპარაკოთ. გამომდინარე იქედან, რომ ქართველებსაც და რუსებსაც ჰაერივით სჭირდებოდათ გამარჯვება.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

ჩემპიონთა თასი. ფინალი
ამსტერდამი. „ამსტერდამ არენა" 20 მაისი

CHAMPIONS LEAGUE

# მეფეთ მეფე რეალი

**რეალი 1:0 იუვენტუსი**

რეალი: ილგნერი, იერო, სანჩესი, პანუჩი, რობერტო კარლოსი, რაული (ამავისკა 90), კარემბუ, ზეედორფი, რედონდო, მიატოვიჩი (შუკერი 89), მორიენტესი (ხაიმე 84)

იუვენტუსი: პერუცი, ტორიჩელი, მონტერო, იულიანო, დი ლივიო (ტაკინარდი 46), დეშამპი (კონტე 78), დევიდსი, პესოტო (ფონსეკა 71), ზიდანი, დელ პიერო, ინძაგი

1:0 მიატოვიჩი (66)

ბოლოს მადრიდელებმა თასი 32 წლის წინ აღმართეს. 1966 წელს, ჯერ კიდევ ჰენტოს დროინდელმა „რეალმა" ჩემპიონთა თასი მოიგო, ჯილდო, რომელიც გუშინდლამდე სამეფო კლუბისთვის მიუღწეველი რჩებოდა, გუშინ კი ამსტერდამში „რეალის" ოცნება რეალობად იქცა — ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო თასი ესპანეთის დედაქალაქს გაემგზავრა. იქ, სადაც მას უკვე სამ ათეულ წელზე მეტია, ელიან.

გუშინ სამეფო კლუბმა დაჯაბნა „იუვენტუსი", თასი მოიგო და გარკვეულწილად გადაარჩინა სეზონი, რომლის განმავლობაშიც მათ კრიტიკის მეტი არაფერი შეხვედრიათ. ახლა, თითქმის ცხრათვიანი, უდაბაბულესი და ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის დასასრულს „რეალი" ჩემპიონია. გამარჯვებულს კი, როგორც ცნობილია, არ ასამართლებენ. გასასამართლებელი „იუვენტუსია", კლუბი რომელიც აგრე უკვე ზედიზედ მეოთხე წელია, ევროთასის ფინალში გადის და მესამედ ტოვებს მინდორს დამარცხებული. გაკიცხვა და მარცხის მიზეზის მოკითხვა ტურინელთათვისაა ზედგამოჭრილი, გუნდისთვის, რომელიც ძალიან შორს იდგა იმ კლუბისაგან ლიგის ნახევარფინალში, თუნდაც მეოთხედფინალში ან საერთოდ მთელი სეზონის მანძილზე რომ გვინახავს და დაგვამახსოვრდა. გუშინ „იუვენტუსი" ყველა კომპონენტში ჩამოუვარდებოდა აწ უკვე ჩემპიონთა თასის შვიდგზის მფლობელ „რეალს" და სწორედ საშინელი, არაორგანიზებული თამაშის გამო იყო, სეზონის ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული მატჩი და მასთან ერთად ჩემპიონთა თასი რომ წააგო. როგორც ჩანს, „ბებერ ქალბატონს" ფინალის თამაში უჭირს. ყოველ შემთხვევაში, ბოლო წლების ფაქტები ამაზე მეტყველებენ.

შეუდარებელი გახლდათ მიატოვიჩი. იუგოსლაველმა თავდამსხმელმა პირველი მეორე ტაიმიც ერთ დონეზე ითამაშა და, მიუხედავად იმისა, რომ საათნახევრის განმავლობაში ტურინელთა სხვადასხვა, არცთუ ისე სუსტი მცველები უპირისპირდებოდნენ, მას მაინც თავისი გაჰქონდა. გუშინ „იუვენტუსში" არ თამაშობდა ფეხბურთელი, მიატოვიჩის შეჩერება რომ შესძლებოდა. ამიტომაც იყო, მადრიდელთაგან ყველაზე აქტიურმა ერთადერთი, ოქროს გოლი რომ გაიტანა — არეულობა „იუვენტუსის" საჯარიმოში, მცველთა უყურადღებობა, ნაადრევად ძირს დავარდნილი პერუცი და მეტად მახვილი კუთხიდან ტურინელთა კარში შეგდებული გოლი. აი, ყველაფერი ის, რაც გოლამდე და გოლის მომენტში დიდებული „ამსტერდამ არენის" მარჯვენა კართან ხდებოდა. გოლს კი... გოლს ესპანელთა 15 ათასამდე გულშემატკივრის გაგიჟება, საოცარი ალტკინება და კიდევ უფრო მეტი იტალიელი ტიფოზის დაღონება მოჰყვა. ეს ლოგიკურიც გახლდათ. გუშინ ორი გამარჯვებული არაფრისდიდებით არ იქნებოდა.

და იყო კიდევ ერთი კაცი „რეალში", რომლის ბრწყინვალე შესანიშნავმა თამაშმა განაპირობა კიდეც ის, რომ ბოლო ილგნერის კარი ისეთივე სპეტაკი დარჩა, როგორიც თამაშის დასაწყისში იყო. ფერნანდო იერო გუშინ გაუვალი გახლდათ. იდგა კაცი დაცვის ცენტრში და ზედ ემსხვრეოდა ტურინელთა შეტევები. ერთვებოდა შეტევებში და იქმნებოდა სახიფათო მომენტები იტალიელების საჯარიმოში. ასევე იეროს ძლიერების შედეგია ისიც, რომ ლიგის ბომბარდირი ალესანდრო დელ პიერო არაფრისმაქნისი გახლდათ — გუშინ „იუვენტუსის" ლიდერს არაფერი გაუკეთებია დასამახსოვრებელი გარდა იმისა, რომ მოწინააღმდეგეთა უხეშობებს ზედმეტად გაფორმებული ვარდნით აგრძელებდა.



REUTERS

რეალობად ქცეული ოცნება — თასი „რეალის" კუთვნილებაა

...მატჩამდე ორიოდ დღით ადრე ტურინელთა მხარდამჭერნი ესპანეთშიც (!) გამოჩნდნენ — „ბარსელონას" 80 ათასამდე გულშემატკივარმა იტალიელებს სამეფო კლუბის დამარცხებისკენ მოუწოდა. კატალონიელებს გულისწადილი არ აუხდათ — გუშინ „ბარსელონას" ყველაზე საძულველი მეტოქე მადრიდის „რეალი" შესამჩნევად სჯობდა „იუვენტუსს" და ის, რომ ჩემპიონთა თასი მეშვიდედ დარჩა „რეალს", სავსებით ლოგიკური გახლდათ. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო — გუნდი, რომელიც მთელი საათნახევრის მანძილზე ხეირიან მომენტს ვერ შექმნის და კარში სახიფათოდ ორჯერ, ისიც მეტოქის მცველთა უყურადღებობის გამო დაარტყამს, რბილად რომ ვთქვათ, არაა ჩემპიონთა თასის ღირსი. ამით სრულიადაც არ მინდა „იუვენტუსი" მიწასთან გავასწორო, პირიქით, გუნდი, რომელიც ზედიზედ ორჯერ იმარჯვებს იტალიის ჩემპიონატში, სუსტი კი არა, საკმაოდ ძლიერია, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთ, კონკრეტულად კი გუშინდელ თამაშში სკუდეტოს მფლობელი ვერ აღმოჩნდა სათანადო დონეზე. გუშინ „იუვენტუსი" ესპანეთის ყველაზე ტიტულოვანმა, მაგრამ წლევანდელ ჩემპიონატში პრიზიორთა შორის ვერ მოხვედრილმა მადრიდის „რეალმა" დაამარცხა. სხვა საქმეა, როგორ, რანაირად. ახლა მთავარი ისაა, რომ თასი პირინეის ნახევარკუნძულის დედაქალაქში დაიდებს ბინას. მინიმუმ ერთი წლით მაინც.

თამაშამდე განუმეორებელ ალფრედო დი სტეფანოს უთქვამს, იმედია, „რეალს" ჩემპიონთა თასით კვლავ ვიხილავო. 50-60-იანი წლების უძლიერეს თავდამსხმელს, რომელიც იმ, მართლაც უძლეველი „რეალის" სხვა წევრებთან ერთად გუშინ „ამსტერდამ არენაზე" იმყოფებოდა, ოცნება აუხდა — როცა თბილისში თითქმის შუაღამე იყო, ჩემპიონთა თასი მადრიდის „რეალს" ჩაბარდა!

**ლაშა გოდუაძე**



### გუშინ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტებმა ამხანაგური მატჩები გამართეს

FRANCE 98

**ნორვეგია 5:2 მექსიკა**

ნორვეგია: გროდასი, ჰალე, იონსენი, ბერგი, ბიორნებიუ, სტრანდი (რისეტი 75), მიუკლანდი, ჰ. ფლო (რუდი 46), სოლსკიაერი, სოლბაკენი (კ. რეკდალი 70), ოსტენსტადი, ტ. ფლო

მექსიკა: ო. სანჩესი, ოტეო, სუარესი, ხ. სანჩესი, კარმონა, ვილა (დავინო 61), ორდიალესი (ბერნალი 73), ჩავესი, ლარა, პანელსია, პელაესი

1:0 სტრანდი (12), 2:0 ჰ. ფლო (14), 2:1 პელაესი (19), 3:1 იონსენი (31), 4:1 ბერგი (40), 4:2 პელაესი (65), 5:2 რისეტი (82)

**ს. აფრიკა 1:1 ზამბია**

ს. აფრიკა: ვონკი, ნიატი (ფორტუნი 86), ჯეკსონი, ფიში, რადებე, პირი (ბაკლი 46), მოშოუ, მკალელე (ხუმალო 88), ავგუსტინი (მნგუნი 68), ბარტლეტი (სიკოსანა 74), მასინგა (მაკართი 55)

ზამბია: მბულო, სიშონე, მაკასა, ტანა, მვევა, კამვანგა, ჩისანგა (მუტაპა 67), მუმუმბა (საკულანდა 40), კამვაში (კატალა 46), ემბო, ლოტა

0:1 კამვაში (9), 1:1 ბარტლეტი (57)



ვახტანგ ხაინდრავა კმაყოფილია...

თითქმის ორი კვირა გრძელდებოდა ფოთელთა და ქუთაისელთა დავა, რომელსაც გუშინ მოეღო ბოლო. ამ დავიდარაბიდან „ტორპედოსთვის" სახეირო არაფერი გამოვიდა.

# მეგობრებად დარჩითო

სააპელაციო კომისიამ ქუთაისური კლუბის თავკაცის, ბესიკ ჯიქიას განმეორებითი პროტესტი ისევ დაუკმაყოფილებელი დატოვა. „კოლხეთმა" უეფას თასზე თამაშის უფლება დაიბევა, ხოლო „ტორპედოს", კლუბის ხელმძღვანელებისთვის ესოდენ არასასურველი ინტერტოტოს გათამაშება ერგო.

რას ითხოვდა ჯიქია? მისი განცხადებით, „კოლხეთი" — „ტორპედოს" შეხვედრის არბიტრი თამაზ ლაცაბიძე ფოთელმა ფეხბურთელებმა შეურაცხყვეს. სტადიონზე კი არანორმალური ვითარება სუფევდა. ჯიქიას აზრით, ფეხბურთის ფედერაციის შესაბამის ინსტანციებს „კოლხეთისთვის" ხუთი ქულა უნდა დაეკლოთ, ან, უარეს შემთხვევაში, ადრინდელი თამაშის შედეგი გაეუქმებინათ და გადათამაშება დაენიშნათ.

ეს ასე არ მოხდა. ძირითადი მიზეზი ისევ დამამტკიცებელი საბუთების არქონა გახლდათ. მსაჯი არავის უჩივის, არც მატჩის დელეგატს უნახავს რაიმე განსაკუთრებული, მით უმეტეს, ფოთში ფედერაციის ორი წარმომადგენელი იყო — თემურ ფანიაშვილი და ბადრი ქარქაშაძე. ვიდეოფირზე კი არაფერი ჩანდა. მართალია, ბესიკ ჯიქიამ დამატებით მასალები წარმოადგინა, მაგრამ, როგორც ირკვევა, თურმე არც იმ კასეტებზე ალინუსხება დარღვევები. თურმეო, იმიტომ ვამბობთ, რომ უწინდელთან შედარებით გუშინ არ გვქონია საშუალება, საპელაციო კომისიის სხდომას დავსწრებოდით.

კომისიის განაჩენს ფედერაციის მეორე სართულზე ვახტანგ ხაინდრავასა და ბესიკ ჯიქიასთან ერთად ველოდით. რომ გითხრათ, ფოთელსა და ქუთაისელს შორის მტრული ურთიერთობა შევნიშნეთო, არ იქნება მართალი. პირიქით, ახლო მეგობრებივით ეპყრობოდნენ ერთმანეთს.

საუბარი იმაზე ჩამოვარდა, უეფას თასზე უფრო მომგებიანია თამაში თუ ინტერტოტოზე. ჯიქია უფრო სასიკეთოდ ინტერტოტოს მიიჩნევდა და ხაინდრავას არწმუნებდა, ახლობლებისთვის სიკეთე მწადია, ადგილს სიამოვნებით დაგითმობთო. ვალში არც ხაინდრავა დარჩენია. სხვის წილს როგორ მივითვისებთ, ინტერტოტოზე გამოსვლა ღმერთმა მშვიდობით მოგახმაროთო. თან ღიმილით დასძენდა, უეფაზე ინტერტოტოს გავლით მოხვდებით და ორმაგი, თუ მეტი არა, სარგებელი გექნებათო.

სწორად მოიქცნენ ხაინდრავა და ჯიქია, ადრინდელი წყენა რომ დაივიწყეს.



...ბესიკ ჯიქია უკმაყოფილო

ფოთელთა და ქუთაისელთა ურთიერთობები ბურთის გორებით არ დაწყებულა და არც დამთავრდება. მრგვალმა ბურთმა კი ისინი კიდევ უფრო უნდა შეაკავშიროს. არც ისე დიდია ეს ქვეყანა, ამდენი წყენა დაიტიოს.

ამასობაში მოქიშპე კლუბების წარმომადგენლებს საპელაციო კომისიამ დაუძახა. ისინი ხუთიოდ წუთი შეაყოვნეს და გარეთ გამოუშვეს. შედეგი უცვლელად დარჩა. ჯიქიაც ბედს შეურიგდა, დერეფანში ხაინდრავას გადაეხვია, გადაკოცნა, მესამე ადგილზე გასვლა მიულოცა, დაგვემშვიდობა და წავიდა.

ჩვენ კი საბოლოო კომენტარი საპელაციო კომისიის წევრს, რევაზ ჩილაჩავას ვთხოვეთ:

— თამაშის ვიდეოფირი, მსაჯის და დელეგატის მოხსენებითი ბარათი, ყველაფერი ობიექტურად განვიხილეთ. ვიდეოფირზე დარღვევა არ ჩანს, ჯიქიაც დავარწმუნეთ სიმართლეში, ავუხსენით, ჩვენ ყველანი ქუთაისის გულშემატკივრები ვართ, მაგრამ ამჯერად „კოლხეთს" ხუთ ქულას ვერ დავაკლებდით. არ ეკუთვნოდათ.

**მამუკა კვანტალიანი**

# 30 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 29 | 24 | 3 | 2 | 84:13 | 70 |
| ბათუმი | 29 | 17 | 7 | 5 | 56:19 | 58 |
| კოლხეთი | 29 | 17 | 6 | 6 | 55:24 | 57 |
| ტორპედო | 29 | 15 | 9 | 5 | 50:28 | 54 |
| ოდიში | 29 | 14 | 4 | 11 | 39:49 | 46 |
| ლოკომოტივი | 29 | 11 | 8 | 10 | 33:37 | 41 |
| მერანი | 29 | 13 | 7 | 9 | 39:32 | 39 |
| თსუ | 29 | 11 | 6 | 12 | 35:31 | 39 |
| დილა | 29 | 11 | 4 | 14 | 29:33 | 37 |
| სამგურალი | 29 | 9 | 6 | 14 | 29:48 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 29 | 8 | 9 | 12 | 24:35 | 33 |
| სიონი | 29 | 10 | 6 | 13 | 47:43 | 31 |
| რუსთავი | 29 | 9 | 4 | 16 | 29:40 | 31 |
| გურია | 29 | 6 | 8 | 15 | 29:57 | 26 |
| მაღაროელი | 29 | 6 | 5 | 18 | 23:58 | 23 |
| მარგვეთი | 29 | 2 | 6 | 21 | 20:74 | 12 |

თბილისი
„სინათლე"
22 მაისი

**მერანი ?:? ლოკომოტივი**

მსაჯები: ა. შილაკაძე;
ზ. დოლიძე (ორივე თბილისი),
დ. თოდუა (მარტვილი)

**დისკვალიფიცირებულნი**

დანელია |

ბათუმი
„დინამო"
22 მაისი

**ბათუმი ?:? თსუ**

მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი);
ა. შალამბერიძე,
გ. დიაკონიძე (ორივე ქუთაისი)

რუსთავი
„ფოლადი"
22 მაისი

**რუსთავი ?:? კოლხეთი**

მსაჯები: გ. ასკაროღლი;
თ. ჩაგელიშვილი (ორივე ქარელი),
ლ. რაზმაძე (გორი)

**დისკვალიფიცირებულნი**

| ქუნთელია

ზუგდიდი
ცენტრალური
22 მაისი

**ოდიში ?:? სიონი**

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი);
ა. ორდენიძე (ონი),
გ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

**დისკვალიფიცირებულნი**

| კ. წიკლაური

ქუთაისი
„გივი კილაძე"
22 მაისი

**ტორპედო ?:? მაღაროელი**

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი);
კ. სამხარაძე (სოხუმი),
გ. ცირდავა (გულრიფში)

**დისკვალიფიცირებულნი**

დ. ჯანაშია | აბრამიშვილი, თ. სამხარაძე

ზესტაფონი
ცენტრალური
22 მაისი

**მარგვეთი ?:? გურია**

მსაჯები: თ. მაჭარაძე (ხონი);
ს. შალამბერიძე (თბილისი),
გ. ჩიგოგიძე (ლანჩხუთი)

გორი
ცენტრალური
22 მაისი

**დილა ?:? ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: მ. მალაღურაძე;
მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი),
კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

მცხეთა
„არმაზი"
22 მაისი

**დინამო ?:? სამგურალი**

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე;
ა. ქარქაშაძე,
ა. მეშკოვი (სამივე თბილისი)

## მეორე ჯგუფი

მეორე ჯგუფშიც პირველის მსგავსად ბოლო ტურიღა დარჩა სათამაშო. უძლიერესთა შორის ალზევებულთა ვინაობა ხომ კარგახნის ცნობილია და გადათამაშებაში მონაწილენიც გამოირკვნენ.

თბილისში, „ისნის", იგივე ასკ-ს სტადიონზე 28 მაისს ხაშურის „ივერია" ხობის „კოლხეთს" გაეჯიბრება. წაგებულს გაისადაც მეორეჯგუფური მინდვრების თელვა მოუწევს, მოგებული კი პირველი ჯგუფის ფლეი ოფში დამარცხებულს გაეჯიბრება.

ერთიც, „სარბიელში" რომ გვეწერა მეორე ჯგუფიდან სამი გუნდი ვარდებაო, არასწორია, საგაისოდ ფედერაცია ქვედა ეშელონს 18 გუნდამდე აფართოვებს, მხოლოდ ერთს აგდებს და მესამე ჯგუფის სამი ქვეჯგუფის გამარჯვებული გადმოჰყავს.

XXIX ტური

კოდაკო — სამეგრელო 2:1
იმერეთი — იბერია (ს) 1:4
იბერია (ქ) — ივერია 0:1
ფაზისი — მეშახტე 3:0
თორი — ცხინვალი 0:0
აკადემია — სქური 3:0
საპოვნელა — მერცხალი 0:3
კოლხეთი — ასკ 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 29 | 26 | 3 | 0 | 94:14 | 81 |
| იბერია (ს) | 29 | 22 | 4 | 3 | 73:18 | 70 |
| ივერია | 29 | 20 | 4 | 5 | 68:25 | 64 |
| კოლხეთი | 29 | 18 | 3 | 8 | 66:46 | 57 |
| აკადემია | 29 | 17 | 4 | 8 | 77:32 | 50 |
| ცხინვალი | 29 | 14 | 4 | 11 | 61:35 | 46 |
| ფაზისი | 29 | 11 | 5 | 13 | 55:53 | 38 |
| მერცხალი | 29 | 12 | 1 | 16 | 42:56 | 37 |
| სქური | 29 | 11 | 2 | 16 | 37:64 | 35 |
| მეშახტე | 29 | 11 | 2 | 16 | 47:58 | 35 |
| თორი | 29 | 9 | 6 | 14 | 46:63 | 33 |
| სამეგრელო | 29 | 9 | 5 | 15 | 42:62 | 32 |
| კოდაკო | 29 | 9 | 3 | 17 | 37:56 | 30 |
| იბერია (ქ) | 29 | 8 | 3 | 18 | 40:64 | 22 |
| იმერეთი | 29 | 6 | 1 | 22 | 36:108 | 19 |
| საპოვნელა | 29 | 3 | 2 | 24 | 26:92 | 11 |

## მესამე ჯგუფი

დასავლეთი

XIX ტური

გაგრა — ოქროს საწმისი 3:0
სულორი — სალხინო 3:1
შუქურა — ეგრისი 0:1
ტორპედო 2 — ბათუმი 2 0:0
ოდიში 2 — სამგურალი 2 2:1

XX ტური

სამგურალი 2 — ტორპედო 2 0:2
ბათუმი 2 — შუქურა 4:1
ეგრისი — სულორი 4:2
სალხინო — გაგრა 1:3
ოქროს საწმისი — ენგური 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ენგური | 18 | 15 | 3 | 0 | 48:10 | 48 |
| ეგრისი | 18 | 15 | 2 | 1 | 41:18 | 47 |
| გაგრა | 18 | 8 | 3 | 7 | 36:25 | 27 |
| შუქურა | 18 | 7 | 6 | 5 | 25:25 | 27 |
| ოქროს საწმისი | 19 | 7 | 3 | 9 | 29:27 | 24 |
| ოდიში 2 | 17 | 6 | 3 | 8 | 17:20 | 21 |
| ბათუმი 2 | 17 | 5 | 5 | 7 | 20:21 | 20 |
| ტორპედო 2 | 19 | 5 | 5 | 9 | 19:31 | 20 |
| სამგურალი 2 | 18 | 4 | 4 | 10 | 22:33 | 16 |
| სალხინო | 18 | 4 | 3 | 11 | 25:44 | 15 |
| სულორი | 18 | 3 | 3 | 12 | 19:47 | 12 |

ცენტრი

XVII ტური

დილა 2 — თსუ 2 2:1
ლოკომოტივი 2 — დინამო 2 1:2
ბაია ქასქი — ჟინერი 2:6
35 სტუ — ვარძია 0:3
მრეტები — მესხეთი (გადაიდო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 17 | 13 | 2 | 2 | 52:34 | 41 |
| თსუ 2 | 17 | 10 | 4 | 3 | 43:20 | 34 |
| მესხეთი | 16 | 8 | 5 | 3 | 45:23 | 29 |
| ლოკომოტივი 2 | 17 | 9 | 1 | 7 | 33:24 | 28 |
| დილა 2 | 17 | 9 | 1 | 7 | 43:27 | 28 |
| ჟინერი | 17 | 8 | 4 | 5 | 36:28 | 28 |
| ბაია ქასქი | 17 | 5 | 3 | 9 | 22:44 | 18 |
| მრეტები | 16 | 5 | 2 | 9 | 22:39 | 17 |
| არძია | 17 | 3 | 3 | 11 | 21:50 | 7 |
| 35 სტუ | 17 | 1 | 1 | 15 | 8:56 | 4 |

აღმოსავლეთი

XVII ტური

ჭაბუკიანი — თელეთი 5:0
ხალიბი 97 — ალაზანი 3:0
შირაქი — სამგორი 0:3
იბერია — ყვარელი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყვარელი | 15 | 13 | 1 | 1 | 40:5 | 40 |
| ალგეთი | 15 | 10 | 3 | 2 | 23:8 | 33 |
| ალაზანი | 15 | 7 | 3 | 5 | 22:18 | 24 |
| ხალიბი 97 | 15 | 7 | 0 | 8 | 19:17 | 21 |
| სამგორი | 15 | 6 | 2 | 7 | 29:29 | 20 |
| შირაქი | 16 | 5 | 3 | 8 | 22:25 | 18 |
| ჭაბუკიანი | 15 | 5 | 2 | 8 | 18:20 | 17 |
| იბერია | 15 | 5 | 1 | 9 | 16:27 | 16 |
| თელეთი | 15 | 2 | 1 | 12 | 18:58 | 7 |

# რუსები თეთრაძესაც გვაახლებენ

რუსთა ნაკრების მწვრთნელმა ბორის იგნატიევმა პოლონეთსა და საქართველოში სათამაშო შემადგენლობა გამოაცხადა.

რუსეთის ნაკრებს ერთი წლის შემდეგ დაუბრუნდა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ტრავმირებული ომარ თეთრაძე.

ჩვენი ყოფილი თანამემამულე იგნატიევმა ნაკრების ცხრამეტკაციან ნუსხაში სამშაბათს ჩართო.

აქამდე ესპანურ ხიხონის „სპორტინგში" მოთამაშე მცველი იური ნიკიფოროვი, რომელიც ამასწინათ ჰოლანდიურმა „ეინდჰოვენმა" გადაიბირა, თანაგუნდელ დმიტრი ხოხლოვთან ერთად ნაკრების ამ მატჩებს გამოტოვებს.

რუსებს არც გერმანული „ბოხუმის" თავდამსხმელი სერგეი იურანი და ვლადიკავკაზის „ალანიას" ნახევარმცველი იგორ იანოვსკი ეყოლებათ.

იგნატიევმა განაცხადა, რომ სერია A-ში გატარებული რთული სეზონის შემდეგ დაასვენებს იტალიური „ბოლონიას" თავდამსხმელ იგორ კოლივანოვს.

ეს ფეხბურთელები რუსთა ნაკრებს აგვისტოში შვედეთთან თამაშისას დაუბრუნდებიან, როცა რუსები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს დაიწყებენ.

მეკარეები: ალექსანდრ ფილიმონოვი (სპარტაკი, მოსკოვი), სერგეი ოვჩინიკოვი (ბენფიკა, პორტუგალია), სტანისლავ ჩერჩესოვი (ტიროლი, ავსტრია)

მცველები: არტურ პაგაევი (ალანია), იური კოვტუნი (დინამო, მოსკოვი), იგორ ჩუგაინოვი (ლოკომოტივი, მოსკოვი), ვიქტორ ონოპკო (ოვიედო, ესპანეთი), დმიტრი ხლესტოვი (სპარტაკი, მოსკოვი), ალბერტ ბორზენკოვი (როტორი), ომარ თეთრაძე (რომა, იტალია)

ნახევარმცველები: ალექსეი გერასიმენკო (დინამო, კიევი), ანდრეი ტიხონოვი, დმიტრი ალენიჩევი, ილია ციმბალარი (სამივე — სპარტაკი, მოსკოვი), სერგეი სემაკი (ცსკა, მოსკოვი)

თავდამსხმელები: ვლადისლავ რადიმოვი (სარაგოსა, ესპანეთი), ვლადიმირ ბესჩასტნიხი (რასინგი, ესპანეთი), იგორ სიმუტენკოვი (რეჯანა, იტალია), დენის ზუბკო (როტორი)

# სილაგაძით გალათასარაიც დაინტერესდა

*სულ ცოტა დრო რჩება რუსეთის ნაკრებთან შეხვედრამდე. ჩვენი ლეგიონერები ნელ-ნელა ჩამოდიან. ექვს დღეში ლევან სილაგაძეც შეუერთდება გუცაევის რჩეულთ. ლევანს გუშინ რიგაში დავუკავშირდით და იქაური ამბები გამოვკითხეთ.*

— ჯანმრთელობას არ ვუჩივი. მშვენიერ ფორმაში ვარ.

**— ქვეყნის ჩემპიონატზე როგორ გაქვთ საქმე?**

— ერთი თვეა, რაც ლატვიაში ჩემპიონატი დაიწყო. დებიუტი არცთუ სახარბიელო გვქონდა. პირველივე მატჩში 3:3 ვითამაშეთ „რანტოსთან". თანდათან ფორმაში შევდივართ. დღეისთვის ორი ქულით ვუსწრებთ „დაუგავას". ვფიქრობ, ჩემპიონობის მოპოვება არ უნდა გაგვიჭირდეს.

**— რა, ჩემპიონატის ბოლომდე აპირებთ ლატვიაში დარჩენას?**

— რამდენიმე წინადადება შემომთავაზეს.

**— გავიგეთ, „გალათასარაი" ცდილობს გადაბირებასო.**

— ვინ გითხრათ?.. არის ასეთი ვარიანტი, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ჩამოვალ და...

**— რუსებთან შეხვედრაზე რას იტყვით?**

— ეს თამაში ჩემთვის ამხანაგურზე მეტია. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გავიმარჯვოთ.

გერმანული „დორტმუნდის" და რუსული „ალანიის" და უკრაინული „დინამოს" შემდეგ „გალათასარაი" მორიგი კლუბია, სილაგაძით დაინტერესება რომ გამოთქვა.

**პაატა კვანტალიანი**

## ვეტერანებმაც თქვეს...

ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის მოახლოებასთან ნელ-ნელა ყველამ დაიწყო თავისი აზრის გამოთქმა. გუშინ ეროვნულ სტადიონზე მდებარე ვეტერან ფეხბურთელთა კავშირში ვეტერანები შეიკრიბნენ. ბევრი არ უსაუბრიათ, 10-15 წუთში დაიშალნენ. ამ თავშეყრის მიზეზს ადვილად მიხვდებოდით. მათ ხომ საპრეზიდენტოდ თავიანთი კანდიდატიც ჰყავთ — ილია დათუნაშვილი.

## ყიფიანი ხელს აწერს

წინა „სარბიელში" ვწერდით, რომ მოსალოდნელი იყო, თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ეროვნული გუნდის ყოფილი მწვრთნელი დავით ყიფიანი რუსეთში გადაბარგებულიყო და იაროსლავის „შინიკი" გაეწვრთნა. გუშინ კი შევიტყვეთ, რომ დავით ყიფიანი უკვე იაროსლავს გაფრინდა კონტრაქტის გასაფორმებლად.

## ქუთაისში იწყებენ

ქუთაისის „ტორპედოს" პრეზიდენტ ბესიკ ჯიქიას თქმით, მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ქუთათურები „გივი კილაძის" სტადიონის რემონტს დაიწყებენ. 10 000 ინდივიდუალურ სკამსაც დაამონტაჟებენ, რომლებსაც ქუთაისის სატრაქტორო ქარხანა დაამზადებს. შეგახსენებთ, „ტორპედო" ერთ თვეში ინტერტოტოს გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. 20 ან 21 და 27 ან 28 ივნისს სომეხ ფეხბურთელებთან მოუწევს მეტოქეობა, მათთან წარმატებქის შემთხვევაში კი ორი კვირის შემდეგ ბელგიელთ დაუპირისპირდებიან.

## მშველელი არმაზი

არ ვიცით, რას იზამდნენ ჩვენი ფეხბურთის მამები მცხეთაში „არმაზის" სტადიონი რომ არ იყოს. ეროვნული გუნდი იქნება თუ ახალგაზრდული, ანაც თვრამეწლამდელთა ნაკრები, სავარჯიშოდ თუ სათამაშოდ ყველა მცხეთაში გარბის. ვინმეს მინდორი სჭირდება, ისევ „არმაზს" მიადგებიან. იქაურებიც ნაწყენს არავის უშვებენ. ჩემპიონატის გასრულებამდე კინკილა ტური დარჩა. მცხეთაში დაბინავებული თსუ ბათუმს მიეშურება, მაგრამ „არმაზი" მაინც ვერ დაისვენებს. ამჯერად მცხეთა „დინამო" — „სამგურალის" პაექრობას უმასპინძლებს.

## დავეხმაროთ ცხუმს და საქართველოს!

სოხუმის „ცხუმი" ყველას გვახსოვს. დაუვიწყარია ამ გუნდის სილაღე, თამაშის უჩვეულო სტილი. აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ და „ცხუმსაც" დაატყო თავისი კვალი. გუნდი დაიშალა. გავიდა ხანი და კეთილმა ადამიანებმა „ცხუმი" აღადგინეს. ახალ ჩემპიონატში სოხუმის გუნდი მესამე ჯგუფში იასპარეზებს. კლუბის მომაგრებას და ფეხზე დაყენებას ბევრი სჭირდება. შეძლებულ ადამიანებსაც საშუალება ეძლევათ, საშვილიშვილო საქმე გააკეთონ. გავუწოდოთ „ცხუმს" დახმარების ხელი. გუნდის საკეთილდღეოდ გაღებული ყოველი ლარი არა მარტო ფეხბურთს, არამედ უპირველესად საქართველოს წაადგება.

| ეროვნულ ვალუტაში | აშშ ვალუტაში |
|---|---|
| ანგარიშსწორების ანგარიში: 000700257 | Tbilisi, Georgia |
| საკორესპონდენტო ანგარიში: 000164587 | Acc. Nr: 001070850 Football Club Sukhumi Tskhumi |
| კოდი 220101687 | at: swift: UgebGe 22 |
| გაერთიანებული ქართული ბანკის | United Georgian Bank in favor of: Abkhazcki dranch |
| აფხაზეთის რეგიონალური ფილიალი, | c/a Nr: 36021436 usd |
| ქ. თბილისი გია ჭანტურიას №14 | at: citi us 33; Citi Bank, New york USA |

# 29 ტური

# ტორპედო, დაცვას მიხედე, დაცვას!

**სიონი 3:4 ტორპედო** — მოვლენა

ბოლო ოთხი გასვლიდან ქუთაისელებმა ვერც ერთი მოიგეს. თუკი პირველ სამ მატჩში არც წაუგიათ, ბოლნისში იშვიათი სირცხვილი ჭამეს. მეხუთე წუთზე იგებდე, მერე კი წაგებული მატჩი მოატრიალო და დაწინაურდე, ძნელი და ბოლნისში სულაც წარმოუდგენელი საქმეა. „ტორპედომ" ეს კი მოახერხა, მაგრამ ანგარიში ველარ შეინარჩუნა, ოც წუთსაც ველარ გაძლო და 3:4 დამარცხდა. არადა, „ტორპედოს" დაცვა ოქტომბერს აქეთ 13 მშრალი თამაშით იწონებდა თავს. ერთბაშად ოთხი გოლი კი ამ ჩემპიონატში „დინამოს" გარდა არავისთან გაუშვია.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

სიონი — ტორპედო. გიორგი ჩომახიძე (№2) და კახა კვეტენაძე

**მოულოდნელობა** — მაღაროელი 0:1 მერანი

მერანელთაგან ეს მოულოდნელო აღარცაა. გუნდმა თამაშს საგრძნობლად უმატა. სათქმელი ერთია — ტურის წინ კალენდარს რომ ჩახედავ და იფიქრებ, ეს ამას მოუგებსო, ნაფიქრალს ყველაზე ხშირად „მერანის" შედეგი არ დაემთხვევა. ამ ტურში მოულოდნელი სხვა არაფერი მომხდარა. ვისაც მოგება სხვაზე მეტად სჭირდებოდა, კიდეც მოიგო, მაგრამ „მაღაროელმა" რომ ტრანსპორტელებთან ვერაფერი გააწყო, ეს პირველ რიგში თბილისელთა დამსახურებაა.

**ამ ტურმა** — უსკანდალოდ — **ჩაიარა**

**ბუბა ტყავაძე** — გმირი

ივანე მახარაძემ ამ ჩემპიონატში მცველისთვის შესაფერად ბევრი ბურთი გაიტანა. ფოთშიც ამ მარჯვენაფლანგელის გოლით მოიგო „ბათუმმა" და აქამდე სანუკვარი ვერცხლის მედლებიც თითქმის დაიბევა. ვინ უნდა ყოფილიყო ამ ტურის გმირი, თუ არა ვანიჩკა, მაგრამ ამაზე მეტი და უფრო პრინციპული გოლების გამტანიც გამოჩნდა. ბუბა ტყავაძემ „ტორპედოს" ჯერ გაუთანაბრა, მერე სხვაობა გაუქვითა და ბოლოს გამარჯვებისაც გაუტანა. „სიონის" მწვრთნელ ანზორ გძელიძესაც ტყუილი არ უთქვამს — სამი გოლი ასეთ მეტოქესთან დიდი საქმეაო.

**ანტიგმირი** — **ამ ტურს არ ჰყოლია**

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| ლევან ხომერიკი | დინამო | 23 |
| დავით მუჯირი | დინამო | 18 |
| ჯუმბერ კალანდაძე | ოდიში | 16 |
| გია მეგრელაძე | ტორპდო | 16 |
| პაატა მაჭუტაძე | ბათუმი | 14 |
| ნუგზარ მიქაბერიძე | კოლხეთი | 13 |
| სულიკო დავითაშვილი | მერანი | 10 |
| მალხაზ თევდორაძე | სამგურალი | 10 |
| მამუკა რუსია | თსუ | 10 |
| ბუბა ტყავაძე | სიონი | 10 |
| მიხეილ აშვეთია | დინამო | 9 |
| ელდარ გვასალია | კოლხეთი | 9 |
| დავით გოდერძიშვილი | ლოკომოტივი | 9 |
| დავით ჯანაშია | ტორპედო | 9 |

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანიის** ნაკრების თავდამსხმელი ოლივერ ბირჰოფი მომავალი სეზონიდან „მილანს" შეუერთდება. კლუბის მესვეურთა განცხადებით, კონტრაქტი სავარაუდოდ ოთხწლიანი იქნება. ბუნდესლიგაში ბირჰოფი „ჰამბურგისა" და მიონხენგლადბახის „ბორუსიას" შემადგენლობაში გამოდიოდა, 1991 წელს კი იტალიაში, „ასკოლიში" გადავიდა. მოგვიანებით, 1995 წელს, გერმანელი ფორვარდი „უდინეზეს" რიგებში აღმოჩნდა და ამ კლუბში სამი სეზონი გაატარა. წლეულს იგი 27 გატანილი გოლით სერია ფ-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა. „მილანში" ბირჰოფი, ალბათ, ლიბერიელ თავდამსხმელ ჟორჟ ვეას შეუწყვილდება.

**პორტუგალიაში**, მას შემდეგ, რაც ლისაბონის „სპორტინგი" საბოლოოდ მეოთხე ადგილზე დამკვიდრდა, გუნდის ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა კარლოს მანუელი. მართალია, მას კონტრაქტი 2000 წლამდე ჰქონდა გაფორმებული, მაგრამ ბოლო ტურში „ბრაგასთან" 0:2 მარცხისა და ჩემპიონ „პორტოსთან" 21 ქულით ჩამორჩენის შემდეგ მანუელს დედაქალაქური კლუბის დატოვება მოუხდა. ჯერჯერობით ახალი მწვრთნელის ვინაობა უცნობია, თუმცა დაირხა ხმები, რომ „სპორტინგს" დიდი სურვილი აქვს, რუსეთის ნაკრების თავკაცმა, ბორის იგნატიევმა უხელმძღვანელოს. ლისაბონელებს ქვეყნის ჩემპიონატში 1982 წლიდან მოყოლებული, არ გაუმარჯვიათ.

**იტალიის** „ემპოლის" მთავარმა მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ განაცხადა, რომ გენუის „სამპდორიაში" აპირებს გადასვლას. წლევანდელი წარუმატებელი სეზონის შემდეგ, რის შედეგადაც იტალიის 1991 წლის ჩემპიონები უეფას ზონაში ვერ მოხვდნენ, გენუელთა იუგოსლაველი თავკაცი ვუიადინ ბოშკოვი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. რაც შეეხება სპალიეტის, მან „ემპოლი" სერია ს-დან სერია ფ-ში გადაიყვანა, სადაც წელს მე-13 ადგილი დაიკავებინა. მისივე თქმით, მომავალ სეზონში „სამპდორიას" მთავარი ამოცანა ევროტურნირებზე მოხვედრა იქნება.

**ფრანგი** მცველი ჟან-მიშელ ფერი, რომელიც ძალიან დაეხმარა „ნანტს" 1995 წელს საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში, თურქეთის „ისთანბულსფორში" გადავიდა. ტრანსფერთან დაკავშირებული დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

**ზაგრების** „კროაციის" ყოფილმა მწვრთნელმა ოტო ბარიჩმა ავსტრიის პირველი დივიზიონის „ლინცთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 65 წლის ბარიჩი, რომელიც „ლინცს" ჯერ კიდევ 1972-74 წლებში წვრთნიდა, ამ თანამდებობაზე ნორვეგიელ პერ ბროგელანდს შეცვლის. ხორვატი მწვრთნელის მეთაურობით ავსტრიული კლუბები შვიდჯერ გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები — სამჯერ ვენის „რაპიდი", ხოლო ორ-ორჯერ „ტიროლი" და „ზალცბურგი". ეს უკანასკნელი 1994 წელს ბარიჩმა უეფას თასის ფინალში გაიყვანა, 1985 წელს კი ვენის „რაპიდთან" ერთად თასების თასის ფინალამდე მიაღწია.

**ინგლისის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა განაცხადა, რომ არ არის დარწმუნებული, წაიყვანს თუ არა პოლ გესქოინს მსოფლიოს ჩემპიონატზე. „მე ვიცი, რომ დღესდღეობით გაზა ვერ არის სათანადო ფორმაში და მისი სამსოფლიოჩემპიონატო ნაკრებში მოხვედრა ასი პროცენტით გადაწყვეტილი ნამდვილად არ არის, მაგრამ მჯერა, იგი თავის თავს ხელში აიყვანს და ყველაფერი რიგზე იქნება". გესქოინის მხარდასაჭერად ინგლისურ პრესაში ორმა ცნობილმა სპეციალისტმა გამოთქვა საკუთარი აზრი. ბობი რობსონმა, რომლის ხელმძღვანელობითაც 1990 წელს ინგლისელები იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდნენ, განაცხადა: „მე არ ვფიქრობ, რომ გესქოინისნაირი ჭკვიანი ნახევარმცველის არწაყვანა უპრიანი იქნება. იგი თავის თანაგუნდელებს ყოველთვის უქმნის შესანიშნავ მომენტებს". ტერი ვენეიბლზმა, გესქოინის მწვრთნელმა „ტოტენჰემ ჰოთსფურში" კი ასეთი რამ თქვა: „მას საერთოდ არა აქვს მოწინააღმდეგის შიში, იცის მეგობრების აყოლიება და ამიტომ ძალიან უყვართ. ჩვენ ყველამ ვიცით გაზასთან დაკავშირებული პრობლემები, მაგრამ მის ნიჭთან შედარებით ეს არაფერია".

**შვედეთის** ჩემპიონატი: ორგრიტი — ჰელსინგბორგი 0:2, ტრელებორგი — ნორჩეპინგი 0:0, ორებრო — გიოტებორგი 4:0, ელფსბორგი — ოსტერი 2:1, ჰაკენი — ვასტრა ფროლუნდა 0:1, მალმიო — ჰალმსტადი 5:0, აიკი — ჰამარბი 0:1. სატურნირო მდგომარეობა: ვასტრა ფროლუნდა 15 ქულა, ჰამარბი — 12, ჰელსინგბორგი — 12.

**გერმანელმა** ნახევარმცველმა დარიუს ვოშმა ბერლინის „ჰერტასთან" გააფორმა ოთხწლიანი კონტრაქტი. მისი ყოფილი კლუბი „ბოხუმი" ამ ტრანსფერიდან 6 მილიონ მარკას (3,4 მლნ დოლარი) მიიღებს.

**საფრანგეთის** ნაკრების ნახევარმცველი საბრი ლამუში „ოსერიდან" „მონაკოში" გადავიდა. კონტრაქტი ხუთწლიანია, ხოლო სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით უცნობია. „მე ერთი დიდი კლუბიდან მეორე დიდ კლუბში გადავედი" — განაცხადა ლამუშიმ.

**ჰოლანდიის** ნაკრების მცველი არტურ ნუმანი 5 მილიონ ფუნტ სტერლინგად (8,1 მლნ დოლარი) „გლაზგო რეინჯერსში" გადავიდა. ნუმანმა „ეინდჰოვენი" მთავარ მწვრთნელ დიკ ადვოკაატთან ერთად დატოვა და „რეინჯერსი" მესამე კლუბი იქნება, სადაც იგი ჰოლანდიელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით ითამაშებს. პირველი ორი გუნდი კი „ჰაარლემი" და „ეინდჰოვენი" იყო. სავარაუდოდ, კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ ნუმანი ჰოლანდიის ნაკრებს შეუერთდება, რომელიც სამსოფლიოჩემპიონატო სამზადისს შვეიცარიაში გადის.

**გერმანელმა** ფეხბურთელმა, ქვეყნის ვიცე-ჩემპიონის, მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველმა მეჰმედ შოლმა განაცხადა, რომ კლუბის დატოვებას და რომელიმე უცხოურ გუნდში გადასვლას აპირებს. „მინდა ისეთ ქვეყანაში ვითამაშო, სადაც ჩემი თამაშის სტილი უფრო დაფასდება, ვიდრე გერმანიაში" — თქვა შოლმა. მის გადაწყვეტილებას ხელი ალბათ იმანაც შეუწყო, რომ მომავალ სეზონში „ბაიერნში" ძალიან სერიოზული კონკურენტი - მიონხენგლადბახის „ბორუსიიდან" გადასული შტეფან ეფენბერგი ეყოლება. 27 წლის შოლსა და მიუნხენურ კლუბს შორის კონტრაქტი 2002 წლამდეა გაფორმებული.

**გერმანიის** ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიის" მეკარეს შტეფან კლოსს დიდი პრობლემები შეექმნა შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსში" გადასვლასთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც დორტმუნდის სასამართლომ ფეხბურთელს ნება დართო, კონტრაქტის გასრულების შემდეგ სურვილისამებრ ნებისმიერ კლუბში გადასულიყო, კლოსმა კარიერის გაგრძელება შოტლანდიაში არჩია. იგი იმედოვნებდა, რომ ივნისში, როცა დორტმუნდელებთან დადებულ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდოდა, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გადაბარგდებოდა „რეინჯერსში", მაგრამ „ბორუსია" თურმე სხვაგვარად ფიქრობს და მეკარის გაშვებას არსადაც არ აპირებს. საქმე იმაშია, რომ გერმანულ ფეხბურთში არსებული წესების თანახმად, მოთამაშე სხვა კლუბში გადასვლამდე აუცილებლად სატრანსფერო სიაში უნდა მოხვდეს. იქ კი ეგრეთ წოდებული საბოლოო ვერდიქტის გარეშე არავინ შეჰყავთ. ვერდიქტს წესით ფეხბურთელის მფლობელმა გუნდმა უნდა მოაწეროს ხელი და რადგან დორტმუნდელებს თავიანთი მეკარე გასაშვებად არ ემეტებათ, კლოსი გამოუვალ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. „იმედია, კლუბის ხელმძღვანელები შეცვლიან ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას და შოტლანდიაში წასვლის ნებას დამრთავენ" — განაცხადა კლოსმა, რომელსაც წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანიაში კიდევ მინიმუმ ერთი წლით მოუწევს დარჩენა.

# გარეუბნელები გაერთიანდნენ

რამდენიმე დღის წინ პარიზის შემოსასვლელთან შეიკრიბნენ ქალაქის გარეუბნელები, რომელთა უმრავლესობაც დედაქალაქის ჩრდილოეთიდან იყო (გუტ'დ'ორი, კლინგანკურტი), ხოლო ამ შეკრების ორგანიზატორი გუტ'დ'ორის გარეუბნის საფეხბურთო გუნდი იყო, რომელთა უმრავლესობაც ზანგები არიან. მათ სურთ, ჩემპიონატის დღეებში ჩაატარონ კონცერტები (ძირითადად რეპის სტილში) და შემოიკრიბონ ქალაქის ყველა გარეუბანი, მოაწყონ დღესასწაულები. მათთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ გიმნაზიების საფეხბურთო თხუთმეტი გუნდი. ამ ამბის ორგანიზატორმა მუსტაფა ტერკიმ ასეთი განცხადება გააკეთა: „იდეა შესანიშნავია. ეს ყველას ჩემპიონატია და არ იქნება ლამაზი, სენ-დენის მცხოვრებლებმა თავიანთ სტადიონზე ჩატარებულ მატჩებს ლუდის ბარებში უყურონ". ზანგების ამ შეკრებამ იმდენი ხალხი მოიცვა, რომ მათი შეჩერება პოლიციასაც კი მოუწია, მაგრამ ყველაფერი მაინც მშვიდობიანად დასრულდა. გადაწყდა, რომ ჩემპიონატის პარალელურად მოეწყობა შეკრებები, სახელად „ჩემპიონატის სოფელი", რომელშიც ხუთივე კონტინენტის ახალგაზრდები მიიღებენ მონაწილეობას. მხოლოდ ერთადერთი პრობლემა გაჩნდა, ალჟირელების სახით. „მოგეხსენებათ, ჩვენთან ალჟირელებს როგორი თვალით უყურებენ, საკმარისია აქაურებმა ერთი ალჟირელი დაინახონ, იქ რა მოხდება, არავინ არ იცის" — ამბობს მუსტაფა ტერკი. ამ პროექტის განხორციელება კი თვითონ სენ-დენის მერიამ იკისრა. ამისთვის მათ 4,9 მილიონი ფრანკი გამოყვეს. მუსტაფა ტერკი და კომპანია პირველიდან თორმეტ ივლისამდე მოაწყობენ შეკრებებს სტად დე ფრანსიდან რამდენიმე მეტრში.

**გიორგი ჩიქვაიძე**

## საბერძნეთი

34-ე ტური. ოლიმპიაკოსი — ვერია 0:2; ოფი — კალამატა 1:0; პანათინაიკოსი — პანილიაკოსი 7:0; აეკ — ქსანტი 2:0; იონიკოსი — პანიონისი 2:2; ათინაიკოსი — პაოკ 0:5; ირაკლისი — აპოლონი 4:2; ეთნიკოსი — პროდეფტიკი 1:0; კავალა — პანახაიკი 4:0.

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 34 | 29 | 1 | 4 | 88:25 | 88 |
| პანათინაიკოსი | 34 | 28 | 1 | 5 | 90:24 | 85 |
| აეკ | 34 | 22 | 8 | 4 | 61:30 | 74 |
| პაოკ | 34 | 21 | 7 | 6 | 74:41 | 70 |
| იონიკოსი | 34 | 18 | 8 | 8 | 46:31 | 62 |
| ირაკლისი | 34 | 14 | 9 | 11 | 49:45 | 51 |
| ოფი | 34 | 15 | 4 | 15 | 45:53 | 49 |
| ქსანტი | 34 | 13 | 6 | 15 | 52:51 | 45 |
| ვერია | 34 | 12 | 6 | 16 | 36:48 | 42 |
| პანილიაკოსი | 34 | 9 | 9 | 16 | 41:54 | 36 |
| აპოლონი | 34 | 10 | 6 | 18 | 37:51 | 36 |
| პანიონისი | 34 | 10 | 6 | 18 | 41:54 | 36 |
| კავალა | 34 | 10 | 5 | 19 | 40:58 | 35 |
| პროდეფტიკი | 34 | 9 | 7 | 18 | 35:57 | 34 |
| ეთნიკოსი | 34 | 10 | 3 | 21 | 27:51 | 33 |
| პანახაიკი | 34 | 9 | 5 | 20 | 29:62 | 32 |
| კალამატა | 34 | 7 | 8 | 19 | 27:49 | 29 |
| ათინაიკოსი | 34 | 6 | 9 | 19 | 23:55 | 27 |

## შვეიცარია

მე-13 ტური. არაუ — გრასჰოპერი 0:3; სერვეტი — ლოზანა 1:2; სენტ გალენი — სიონი 1:1; ციურიხი — ლუცერნი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 13 | 10 | 1 | 2 | 35:14 | 54 |
| სერვეტი | 13 | 5 | 6 | 2 | 16:11 | 41 |
| ციურიხი | 13 | 6 | 5 | 2 | 25:14 | 38 |
| ლოზანა | 13 | 4 | 4 | 5 | 14:17 | 37 |
| სიონი | 13 | 5 | 4 | 4 | 20:19 | 34 |
| სენტ გალენი | 13 | 3 | 5 | 5 | 11:18 | 29 |
| არაუ | 13 | 1 | 4 | 8 | 12:23 | 25 |
| ლუცერნი | 13 | 1 | 5 | 7 | 10:27 | 23 |

## სლოვენია

31-ე ტური: ბელტინჩი — ველენიე 1:3; კოროტანი — ვევჩე 0:1; გორიცა — აიდოვშინა 2:1; პუბლიკუმი — მარიბორი 1:5; ოლიმპია — მურა 1:2.

32-ე ტური: მარიბორი — ოლიმპია 4:4; ველენიე — მურა 0:1; აიდოვშინა — პუბლიკუმი 1:0; ვევჩე — გორიცა 2:3; ბელტინჩი — კოროტანი 4:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 32 | 21 | 3 | 8 | 57:30 | 66 |
| მურა | 32 | 18 | 7 | 7 | 56:38 | 61 |
| გორიცა | 32 | 18 | 4 | 10 | 59:33 | 58 |
| აიდოვშინა | 32 | 16 | 4 | 12 | 57:41 | 52 |
| ოლიმპია | 32 | 12 | 11 | 9 | 55:50 | 47 |
| პუბლიკუმი | 32 | 12 | 7 | 13 | 54:52 | 43 |
| ველენიე | 32 | 10 | 11 | 11 | 36:32 | 41 |
| ბელტინჩი | 32 | 8 | 6 | 18 | 40:68 | 30 |
| კოროტანი | 32 | 7 | 8 | 17 | 25:57 | 29 |
| ვევჩე | 32 | 4 | 7 | 21 | 31:69 | 19 |

დარჩა
FRANCE 98
19 დღე

## ფუტიქსის დროშით
# ... ადგილი კი მხოლოდ ოცდაორია

ნიგერიის ნაკრებისა და „უიმბლდონის" ფეხბურთელის — ეფან ეკოკუსათვის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ბავშვობის ოცნება ყოფილა. ეს არც არის გასაკვირი — ამქვეყნად ვერც ერთ ბიჭუნას ვერ ნახავთ, ბურთს აგორებდეს და ამაზე არ ფიქრობდეს. მაგრამ ოცნება ერთია და რეალობა მეორე. დაბალი და საშუალო კლასის ფეხბურთელები კი არა, ოსტატები დარჩენილან უპირველესი სპორტული შეჯიბრის გარეშე. თუმცა ეკოკუს შემთხვევაში ცოტათი განსხვავებულია. „უიმბლდონის" 30 წლის ვეტერანს ნაკრებშიც უთამაშია და საკმაოდ კარგ ფეხბურთელადაც ითვლება, მაგრამ...

— მართალია, თებერვალში კოჭის უმძიმესი ოპერაციის შემდეგ ფეხბურთს ცოტა ხნით ჩამოვშორდი, მაგრამ, გარწმუნებთ, დღესდღეობით თამაში შემიძლია. ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბორა მილუტინოვიჩს უკვე ვესაუბრე და ავუხსენი, რომ სრულიად მზად ვარ, თუმცა, ასე მგონია, 22 საუკეთესოს შორის მხოლოდ სამი-ოთხი წამყვანი ფეხბურთელის სერიოზულად დაშავების შემთხვევაში თუ მოვხვდები — განაცხადა ეკოკუმ კლუბის მიერ სახელდახელოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

ნიგერიელს თურმე გული წყდება, რომ, შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის ბოლო შანსი გამოეცალოს ხელიდან. არადა, ალბათ, ასეც მოხდება, რადგან მექსიკელი მწვრთნელის მიერ 30 მაისს ბელგიაში იუგოსლავიელების წინააღმდეგ ჩასატარებელი ამხანაგური მატჩისთვის მიწვეულ 25 კაცს შორის ეკოკუ არ დაუსახელებიათ.

— მილუტონოვიჩი ნაკრებში მხოლოდ იანვრიდან მივიდა და ჩემი თამაში, ფაქტობრივად, არ უნახავს. მიუხედავად იმისა, რომ სრულად გამოვჯანმრთელდი და კარგ ფორმაში ვარ, მას, ალბათ, ჰგონია, რომ გამოუცდელობა თავისას იზამს და არც გუნდს გამოვდგები. ამიტომ, ვფიქრობ, ემოციები უნდა დავიოკო, მით უმეტეს, ეჭვი არ მეპარება, რომ ბორამ სასაფრანგეთო 22 კაცი, კარგა ხანია, შეარჩია — ეკოკუ ნაღვლიანად საუბრობდა.



ბორა მილუტინოვიჩს ოცდაორი კაცი უკვე კარგა ხანია შეგულებული ჰყავს

ამ დროს კი ნაკრები გამალებით ემზადება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის განცხადებით, საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ 25 ფეხბურთელს კიდევ ოთხიც დამატებია.

უილბლო „ციურიხის" მეკარე იკე შორუნმუს კი, ალბათ, შინ დარჩენა მოუწევს, რადგან შვეიცარიის ჩემპიონატის გასულ ტურში ხელი მოიტეხა და რამდენიმე კვირით ჩამოშორდა ფეხბურთს.

შეგახსენებთ, რომ ბორა მილუტინოვიჩი ნაკრების საბოლოო შემადგენლობის გამოქვეყნებას 2 ივნისს აპირებს.

იუგოსლაველებთან ამხანაგურად შეხვედრისთვის 29 ნიგერიელი ემზადება:

მეკარეები: ადემოლა ბანკოლე (ქრიუ, ინგლისი), ვილი ოკპარა (ორლანდო პაირატსი, სამხრეთ აფრიკა), ჯასტინ აკუბუკე (იესპერ იუნაიტედი, სამხრეთ აფრიკა), აბიოდუნ ბარუკა (სიონი, შვეიცარია); მცველები: მობი ოპარაკუ (კაპელენი, სამხრეთ აფრიკა), უჩე ოკეჩუკვუ (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ტარიბო უესტი (ინტერი, იტალია), სელესტინ ბაბაიარო (ჩელსი, ინგლისი), იერო შაკპოკე (რეჯანა, იტალია), კინგსლი ობიეკვუ (გოუ ეჰედი, ჰოლანდია), აჯიბადე ბაბალადე (ჩითასი, კორეა), უჩე ოკაფორი (კანზას სიტი, აშშ); ნახევარმცველები: გარბა ლავალი (როდა, ჰოლანდია), სანდი ოლისე (აიაქსი, ჰოლანდია), აუგუსტინ ოკოჩა (ფენერბაჰჩე, თურქეთი), კარიბე ოჯიგვე (კაიზერლაუტერნი, გერმანია), სტევენ მუსა (ზაარბრიუკენი, გერმანია), გოდვინ ოკპარა (სტრასბური, საფრანგეთი), მუტიუ ადეპოჟუ (სოსიედადი, ესპანეთი), უილსონ ორუმა (ლანსი, საფრანგეთი), ჯეიმს ობიორა (ანდერლეჰტი, ბელგია); თავდამსხმელები: ფინიდი ჯორჯი (ბეტისი, ესპანეთი), ტიჯანი ბაბანგიდა (აიაქსი, ჰოლანდია), ნვანკვო კანუ (ინტერი, იტალია), ვიქტორ იკპება (მონაკო, საფრანგეთი), დანიელ ამოკაჩი (ბეშიქთაში, თურქეთი), რაშიდი იეკინი (ციურიხი, შვეიცარია), ემანუელ ამუნიკე (ბარსელონა, ესპანეთი), ანრი ონვუზურიკე (ჰერენვენი, ჰოლანდია).

### იუგოსლავია

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ორშაბათს გამოაქვეყნა იმ 26 ფეხბურთელის სია, რომელთაგანაც 2 ივნისს 22 საუკეთესოს შეარჩევს.

მეკარეები: ივიცა კრალი (პარტიზანი), დრაგოილ ლეკოვიჩი (სპორტინგი, ესპანეთი), დრაგოსლავ იევრიჩი (ცრვენა ზვეზდა);

მცველები: ზორან მირკოვიჩი (ატლანტა, იტალია), ალბერტ ნადი (რეალ ბეტისი, ესპანეთი), სინიშა მიხაილოვიჩი (სამპდორია, იტალია), მიროსლავ ჯუკიჩი (ვალენსია, ესპანეთი), გორან ჯოროვიჩი (სელტა, ესპანეთი), ნიშა საველიჩი (ბორდო, საფრანგეთი), სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი, გერმანია), ზელკო პეტროვიჩი (ურავა, იაპონია);

ნახევარმცველები: სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე, ესპანეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ლაციო, იტალია), დრაგან სტოიკოვიჩი (გრამპუს ეითი, იაპონია), ლუბინკო დრულოვიჩი (პორტუ, პორტუგალია), დეიან გოვედარიცა (ლეჩე, იტალია), დეიან სავიჩევიჩი (მილანი, იტალია), მიროსლავ სტევიჩი (მიუნხენ 1860, გერმანია), ბრანკო ბრნოვიჩი (ესპანიოლი, ესპანეთი), დეიან სტანკოვიჩი (ცრვენა ზვეზდა);

თავდამსხმელები: პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), სავო მილოშევიჩი (რეალ სარაგოსა, ესპანეთი), დარკო კოვაჩევიჩი (რეალ სოსიედადი, ესპანეთი), ანტო დრობნიაკი (ლენსი, საფრანგეთი), პერიცა ოგნიენოვიჩი (ცრვენა ზვეზდა), ზორან რანკოვიჩი (ობილიჩი).

### დანია

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბო იოჰანსონმა ორშაბათს იმ 17 მოთამაშის ვინაობა დაასახელა, რომელთაც 28 მაისს მალმეში შვედეთის ეროვნულ გუნდთან ჩასატარებელ ამხანაგურ მატჩზე წაიყვანს. ფეხბურთელთა სიას თუ თვალს გადავავლებთ, მრავალ ნაცნობთან ერთად ერთ კარგა ხნის მივიწყებულ გვარსაც აღმოვაჩენთ. არა, „დუისბურგის" ნახევარმცველ სტიგ ტოფტინგისთვის ნაკრებში თამაში უცხო ხილი როდია, მაგრამ მას 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, აგერ უკვე ორი წელია, ქვეყნის დროშის ფერებში გაწყობილი მაისური არ მოურგია.

შვედების წინააღმდეგ გამართული მატჩი დანიელთათვის წელს ჩატარებული პირველი ამხანაგური არ იქნება. ყოფილმა ევროპის ჩემპიონებმა მარტში გასვლაზე შოტლანდია 1:0 დაამარცხეს, ხოლო აპრილში კი უკვე საკუთარ კედლებში ნორვეგიელებთან 0:2 წააგეს.

სკანდინაველებთან 28 მაისის შეხვედრით დანიელები არ აპირებენ თავიანთი სასაფრანგეთო სამზადისის დასრულებას. 5 ივნისს მათ კიდევ ერთი, ახლა უკვე გენერალური რეპეტიციის გავლა მოუწევთ კამერუნელ ლომებთან.

დანიის ნაკრების შემადგენლობა მალმეს ამხანაგური მატჩისთვის:

მეკარეები: პეტერ შმაიხელი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), მოგუნს კროგი (ბრონდბიუ);

მცველები: იეს ჰოგი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მარკ რიპერი (სელტიკი, შოტლანდია), მიქაელ შიონბერგი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), იან ჰაინცე (ლევერკუზენი, გერმანია), იაკობ ლაურსენი (დერბი, ინგლისი);

ნახევარმცველები: ტომას ჰელვეგი (უდინეზე, იტალია), სტიგ ტოფტინგი (დუისბურგი, გერმანია), პერ ფრანდსენი (ბოლტონი, ინგლისი), ალან ნილსენი (ტოტენჰემი, ინგლისი), მორტენ ვიგჰორსტი (სელტიკი, შოტლანდია), მიქაელ ლაუდრუპი (აიაქსი, ჰოლანდია), მარტინ იორგენსენი (უდინეზე, იტალია);

თავდამსხმელები: მიკლოშ მოლნარი (სევილია, ესპანეთი, პეტერ მიოლერი (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ბრაიან ლაუდრუპი (რეინჯერსი, შოტლანდია).

# ააფრინე ალალიო...

საკვირველია, რის იმედად იყო ირანელთა ხორვატი მწვრთნელი ტომისლავ ივიჩი, როდესაც მთელი ბოლო ორი თვის მანძილზე პრესასა თუ ტელევიზიაში წარმოუდგენელი განცხადებებით გამოდიოდა. ირანის ნაკრები დიდი ვერაფერი შვილი რომ არის, ჯერ კიდევ იმ ტურნირზე გამოჩნდა, რომელზეც საქართველოს ნაკრებსაც უნდა ესპარეზა. მაგრამ მასპინძლებმა მიწვევის ღირსად არ ჩაგვთვალეს, აქაოდა უფრო ძლიერებს გვინდა შევერკინოთო. „უფრო ძლიერ" უნგრეთთან კი 0:2 შერცხვნენ და კარგად დაინახეს, რის მაქნისნი არიან. თუმცა, მიუხედავად ამისა, ივიჩმა ბაქიაობა განაგრძო და ისეთ ინტერვიუებს იძლეოდა, გეგონებოდა, ბოგანო აზიელების კი არა, თავად მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის — ბრაზილიის ნაკრების თავკაციაო. ლამის იყო, თავად ირანის ფეხბურთის ფედერაციამ და ქვეყნის მთელმა მოსახლეობამაც ირწმუნეს ეროვნული გუნდის სიძლიერე, მაგრამ...

ახლა, როცა მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატის დაწყებამდე სულ რაღაც სამიოდ კვირაა, ირანის ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ივიჩის ქვეშევრდომებმა სამშაბათს ამხანაგურ მატჩში იტალიის სერია A-ს მონაწილე „რომასთან" 1:7 წააგეს.

„იტალიურ გუნდთან განადგურების შემდეგ ირანის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ტომისლავ ივიჩი თანამდებობიდან გაათავისუფლა, რადგან მისი ხელმძღვანელობით ნაკრები მეტად სუსტად თამაშობდა" — ერთ-ერთი ირანული საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული ცნობა, ალბათ, ახლა მაინც მოიყვანს გონს ტრაბახა მწვრთნელს და ირანის ნაკრების რეალურ შესაძლებლობებსაც დაანახებს. მაშინ იგი შეიგნებს, რომ მისი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატს ვერასდროს მოიგებს.

მართალია, აზიელებს განთავისუფლებული ივიჩის შემცვლელი უკვე მოუძებნიათ, მაგრამ საეჭვოა, ახლადანიშნულმა ჯალალ ტალებიმ დარჩენილ დროში რაიმე ტაქტიკური სიახლე შესთავაზოს ირანელებს.

ახალ მწვრთნელზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ წარსულში თავად ირანის ეროვნული ნაკრების წევრი ტალები ამ თვის დასაწყისში ივიჩის მრჩევლად მუშაობდა.

# ძირს მლიქვნელობა!

სპორტული პრინციპების გადასარჩენად და დასაცავად უეფამ გადაწყვიტა, ევროშეჯიბრებებზე არ დაუშვას ერთი და იმავე კომპანიის მფლობელობის ქვეშ მყოფი კლუბების შეხვედრა. ახალი წესის მისაღებად და დასამტკიცებლად ივნისში იმსჯელებენ პარიზში, ფიფას აღმასრულებელ სხდომაზე.

მაინც რას უნდა ნიშნავდეს უეფას მორიგი კანონპროექტი? მოგახსენებთ: მაგალითად, თუ ბრიტანული საინვესტიციო კომპანია ENIC-ი ჩეხური „სლავიას", ბერძნული აეკის, იტალიური „ვიჩენცას" და შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსის" მფლობელია, ეს კლუბები ვერაფრის დიდებით ვერ შეხვდებიან ერთმანეთს ევროთასებზე. მიზეზი? ამათი დაპირისპირების შემთხვევაში არაა გამორიცხული, გამარჯვებული საფეხბურთო მინდვრებზე კი არა, ნაადრევად კაბინეტებში გამოვლინდნენ. ეს კი ყველანაირ სპორტულ პრინციპს ეწინააღმდეგება.

# ავსტრალიელებს მასპინძლობა სურთ

ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ დევიდ ჰილმა ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მწვანე კონტინენტს 2006 ანაც 2010 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობა სურს.

— ეს გადაწყვეტილება კარგა ხანია, მივიღეთ და ახლა ოფიციალური განცხადების გაკეთებას ვაპირებთ. ჩვენ სალად ვაფასებთ საკუთარ შესაძლებლობებს და ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს ისეთივე მაღალ დონეზე ჩავატარებთ, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყანა — თქვა ჰილმა.

როგორც აღმოჩნდა, ავსტრალიელები ამ ნაბიჯის გადასადგმელად თვით ფიფას გენერალურ მდივანს ზეპ ბლატერს შეუგულიანებია.

ახლა ავსტრალიელები მათთვის საინტერესო საკითხის უფრო დეტალურად განხილვას აპირებენ კვირას ბრისბენში გასამართ ოკეანიის ფეხბურთის ასოციაციის კონგრესზე. ამ სხდომას მსოფლიოს ნომერი პირველი თამაშის მამები — ზეპ ბლატერი, ჟოაო ავილანჟი და ლენარტ იუჰანსონიც დაესწრებიან.

ავსტრალიელების განაცხადის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას კი ფიფა 8 ივნისს პარიზში გასამართ კონგრესზე გამოიტანს.

— თუ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის მცირედი შანსი მაინც გამოგვიჩნდა, მას უეჭველად გამოვიყენებთ, თუ არა და განაცხადს 2010 წლისთვის შევიტანთ — ოპტიმისტურ ნოტაზე დაასრულა თავისი გამოსვლა ჰილმა.

# ავანთოთ სანთლები!

რუმინეთის ნაკრების თავგადაკლული გულშემატკივარი, 67 წლის პეტერ ჩიობანუ თვლის, რომ ეროვნული გუნდი საფრანგეთში წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს, თუ მთელი ჩემპიონატის მსვლელობისას ქვეყნის უდიდეს ეკლესიაში ერთდროულად 10 ათასი სანთელი ენთება. ჩიობანუმ ერთ-ერთ დამოუკიდებელ საინფორმაციო სააგენტოს განუცხადა, რომ რუმინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე ქალაქ იასის მე-19 საუკუნის მართლმადიდებლურ ეკლესიაში ჯერ კიდევ გასულ კვირაში დაანთო აღნიშნული რაოდენობის სანთლები. პეტერს სხვა ორიგინალური აზრებიც ჰქონია. იგი ნაკრებს საფრანგეთში გაჰყვება და სტადიონებზე ნაპოლეონის, ჩარლი ჩაპლინის, ანაც რუმინული თოჯინის „პაკალას" ფორმაში გამოწყობილი ივლის.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | |
|---|---|---|---|
| **გერმანია. II ბუნდესლიგა. 32-ე ტური** | | | |
| ფრაიბურგი — დიუსელდორფი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| აინტრახტი — მაინცი | 1,25 | 4,7 | 7,5 |
| კიკერსი — კოტბური | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| გიუტერსლო — უნტერჰახინგი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| **ინგლისი. პრემიერლიგაში გადასასვლელი მატჩი** 25 მაისი | | | |
| ჩარლტონი — სანდერლენდი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| **იტალია. სერია B. 35-ე ტური** 24 მაისი | | | |
| ანკონა — პესკარა | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| დი სანგრო — ფოჯა | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| კიევო — ტრევიზო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ლუკეზე — ვენეცია | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| პადოვა — კალიარი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| პერუჯა — ჯენოა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| რავენა — ფ. ანდრია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| რეჯანა — ტორინო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| რეჯინა — ვერონა | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| სალერნიტანა — მონცა | 1,5 | 4,0 | 4,4 |
| **ესპანეთი. I დივიზიონში გადასასვლელი მატჩი. I მატჩი** 22 მაისი | | | |
| ოვიედო — ლას პალმასი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| **პორტუგალია. თასის ფინალი** 24 მაისი | | | |
| ბრაგა — პორტუ | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| **რუსეთი. მე-9 ტური** 23 მაისი | | | |
| ლოკომოტივი — როსტსელმაში | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| დინამო — ზენიტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ჟემჩუჟინა — ჩერნომორეცი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ალანია — შინიკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ურალანი — როტორი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| კრ. სოვეტოვი — ტორპედო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ბალტიკა — ცსკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ტიუმენი — სპარტაკი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| **ჰოლანდია. გადასასვლელი ტურნირი. მე-3 ტური** 23 მაისი | | | |
| დენ ჰააგი — ვალვაიკი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ეინდჰოვენი — ემენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| დენ ბოსხი — ცვოლე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გრონინგენი — კამბური | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| **შვეიცარია. მე-14 ტური** 23 მაისი | | | |
| გრასჰოპერი — სერვეტი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| ლოზანა — აარაუ | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| ლუცერნი — სენტ გალენი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| სიონი — ციურიხი | 2,3 | 3,0 | 2,7 |

ესპანეთში საპასუხო და ამხანაგური შეხვედრების ფსონებს ადგილზე გაეცნობით.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# სარბიელი FRANCE 98



# წარმოგიდგენთ მონაწილეებს

adidas | Canon | Coca-Cola | FUJIFILM | Gillette | JVC | MasterCard | McDonald's | OPEL | PHILIPS | SNICKERS

## C ჯგუფი

**12 ივნისი**

საუდეთი - დანია
*ლანსი. 19:30*

საფრანგეთი - ს. აფრიკა
*მარსელი. 23:00*

**18 ივნისი**

ს. აფრიკა - დანია
*ტულუზი. 19:30*

საფრანგეთი - საუდეთი
*სენ დენი. 23:00*

**24 ივნისი**

საფრანგეთი - დანია
*ლიონი. 18:00*

ს. აფრიკა - საუდეთი
*ბორდო. 18:00*

## საფრანგეთი

ტერიტორია: 551 000 კმ²
მოსახლეობა: 57 700 000
დედაქალაქი: პარიზი
ფედერაცია: *Fédération Française de Football*
რეზიდენცია: პარიზი
დაარსდა: 1919
ფიფა: 1904
უეფა: 1954
პრეზიდენტი: კლოდ სიმონე

**მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | ჯგუფი | 1958 | III ადგილი | 1978 | ჯგუფი |
| 1934 | 1/8 ფინალი | 1962 | შესარჩევი | 1982 | IV ადგილი |
| 1938 | 1/4 ფინალი | 1966 | ჯგუფი | 1986 | III ადგილი |
| 1950 | შესარჩევი | 1970 | შესარჩევი | 1990 | შესარჩევი |
| 1954 | ჯგუფი | 1974 | შესარჩევი | 1994 | შესარჩევი |

## ს. აფრიკა

ტერიტორია: 1 223 000 კმ²
მოსახლეობა: 42 388 000
დედაქალაქი: პრეტორია
ფედერაცია: *South African Football Association*
რეზიდენცია: იოჰანესბურგი
დაარსდა: 1892
ფიფა: 1992
კაფ: 1992
პრეზიდენტი: სოლომონ მორევა

**მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | — | 1958 | — | 1978 | — |
| 1934 | — | 1962 | — | 1982 | — |
| 1938 | — | 1966 | — | 1986 | — |
| 1950 | — | 1970 | — | 1990 | — |
| 1954 | — | 1974 | — | 1994 | შესარჩევი |

## საუდეთი

ტერიტორია: 2 240 000 კმ²
მოსახლეობა: 18 000 000
დედაქალაქი: რიადი
ფედერაცია: *Saudia Arabian Football Federation*
რეზიდენცია: რიადი
დაარსდა: 1959
ფიფა: 1959
აფკ: 1972
პრეზიდენტი: ფაიზალ აბდულაზიზი

**მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | — | 1958 | — | 1978 | შესარჩევი |
| 1934 | — | 1962 | — | 1982 | შესარჩევი |
| 1938 | — | 1966 | — | 1986 | შესარჩევი |
| 1950 | — | 1970 | — | 1990 | შესარჩევი |
| 1954 | — | 1974 | — | 1994 | 1/8 ფინალი |

## დანია

ტერიტორია: 43 070 კმ²
მოსახლეობა: 5 230 000
დედაქალაქი: კოპენჰაგენი
ფედერაცია: *Dansk Boldspil Union*
რეზიდენცია: კოპენჰაგენი
დაარსდა: 1889
ფიფა: 1904
უეფა: 1954
პრეზიდენტი: პოულ ჰილდგაარდი

**მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | — | 1958 | შესარჩევი | 1978 | შესარჩევი |
| 1934 | — | 1962 | — | 1982 | შესარჩევი |
| 1938 | — | 1966 | შესარჩევი | 1986 | 1/8 ფინალი |
| 1950 | — | 1970 | შესარჩევი | 1990 | შესარჩევი |
| 1954 | — | 1974 | შესარჩევი | 1994 | შესარჩევი |



სტად ფელიქს ბოლერი ლანსი
*41 275 მაყურებელი, აშენდა 1932 წელს*



სტად დე ფრანსი სენ დენი
*80 000 მაყურებელი, აშენდა 1997 წელს*



სტად ველოდრომი მარსელი
*60 000 მაყურებელი, აშენდა 1937 წელს*



სტად ჟერლანი ლიონი
*44 000 მაყურებელი, აშენდა 1924 წელს*



სტად მუნისიპალი ტულუზი
*37 000 მაყურებელი, აშენდა 1948 წელს*



სტად ლესკიური ბორდო
*35 200 მაყურებელი, აშენდა 1938 წელს*

ამბობენ ფრანგებს ძლიერი ნაკრები ჰყავთ და თასსაც იმედით უცქერენო. ეგეც არ იყოს, მავანთ წამოსცდათ მასპინძელთა იმედებს ისიც აათკეცებს შინ რომ თამაშობენო. ვნახოთ რა მოხდება. ფრანგებს მართლაც ძლიერი ნაკრები ჰყავთ, ჩემპიონატიც მათთან ტარდება, მაგრამ წინაპართა სიბრძნე გვეუბნება, რომ შინ თამაში სულაც არ იძლევა მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების გარანტიას — წინა 15 ტურნირის მასპინძელთაგან ათმა (!) ტიტულის მოგება ვერ შეძლო. ხელმოცარულთა შორის კი თვით იტალია, ბრაზილია, თუნდაც იგივე საფრანგეთია. დანიელებზეც არ ამბობენ აუგს, საუდელებიც არ არიან ჯაბანნი, მაგრამ არის კიდევ ერთი გუნდი, იდუმალ შიშს რომ აფრქვევს. ბოროტი ენები ამბობენ სამხრეთ აფრიკელები ეგრეც ჯგუფელებად დარჩებიანო, თუმცა რა თავს ვიტეხთ — მსოფლიოს ჩემპიონატამდე სულ ცოტა დრო რჩება!

*C ჯგუფის გუნდებს გაგაცნობთ*

*ლაშა გოდუაძე*

# საფრანგეთი

## მიზანი ერთია — თასი!



საფრანგეთის ნაკრები. დგანან: ბლანი, უედეკო, ტურამი, ნგოტი, დუგარი, ვიეირა; სხედან: ბარტეზი, ჯორკაეფი, კელერი, დეშამი, ლაილე

— მახსოვს, შვეიცარიაში მთელი დღე მივემგზავრებოდით მატარებლით. რამდენიმე მოთამაშე პირველი მატჩისთვის ვემზადებოდით. ძალიან, ძალიან ვღელავდით. ეს დაუვიწყარი დღე იყო. ეცით, ჩვენ მაშინ ჟიულ რიმე გვაცილებდა. კაცი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატებს ჩაუყარა საფუძველი — მსოფლიოს ერთ-ერთ უხუცეს ფეხბურთელს, 101 წლის ჟორჟ ჟერონიმის კარგად ახსოვს ფრანგული ფეხბურთის პირველი დღეები. მაშინ, ჩვენი საუკუნის დასაწყისში, ფრანგთა ნაკრები ყალიბდებოდა, ის გუნდი, რომელსაც ახლა უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია — მსოფლიოს ჩემპიონატისთვის განკუთვნილი თასი აუცილებლად საფრანგეთში უნდა დარჩეს. მსოფლიოს ახალი, რიგით მეშვიდე ჩემპიონი უნდა მოევლინოს.

ნოვატორული იდეებით აღვსილნი არიან ფრანგები — ბარონმა პიერ დე კუბერტენმა ოლიმპიური თამაშობანი აღადგინა, ჟიულ რიმემ საერთოდაც მსოფლიოს ყველაზე პოპულარული საფეხბურთო ტურნირი, მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგონა. ევროთასების გათამაშების მოწყობაც ფრანგთა აზრია — „ეკიპის“ სპორტულმა ჟურნალისტმა გაბრიელ ანომ წამოაყენა ეს იდეა, ისევე როგორც ანრი დელონეს მიგნება, მსოფლიოს ჩემპიონატის დარი შეჯიბრი ევროკონტინენტის მასშტაბით ჩატარებულიყო. ერთი სიტყვით, ფრანგებს საფეხბურთო ტურნირების გამოგონების ნიჭი ნაღდად აქვთ, მაგრამ მათთვის, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირი, ევროპის ჩემპიონატი და ევროთასები, კარგა ხანს მიუწვდომელი რჩებოდა. აი, მსოფლიო ჩემპიონატის ოქრო კი ფრანგთათვის დღემდე საოცნებოა. ახლა, როცა თავად საფრანგეთია მასპინძელი, ტიტულის მოგების ყველაზე რეალური შანსი გაჩნდა. რაც არ უნდა იყოს, შინ თამაში დიდ უპირატესობაა, ამასთანავე ნაკრებიც არაა ურიგო. მეტიც, ერთ-ერთი ძლიერია მსოფლიოში.

ოცნება! აი, რა ასაზრდოებს ფრანგებს. ოცნება, ისევე როგორც იმედი, არასდროს კვდება, სწორედ იმედით და ოცნებით ცოცხლობს ადამიანიც. ფრანგებიც, მიუხედავად იმისა, რომ მართლაც შესანიშნავი ნაკრები ჰყავთ და ბრწყინვალე საფეხბურთო წარსულითაც იწონებენ თავს, დღემდე ოცნებობენ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულზე. ბევრჯერ ჰყოლიათ ფრანგებს „ოცნების გუნდი“, თუმცა ბრწყინვალე ნაკრებს ვერასდროს მოუხერხებია მსოფლიო ჩემპიონთა, იგივე ჟიულ რიმეს თასის ალმართვა. არადა, რამდენჯერ და თან რა ახლოს იყვნენ ფრანგები ოცნებასთან.

...1938 წელს მსოფლიოს რიგით მესამე და მეორე მსოფლიო ომამდე უკანასკნელ ჩემპიონატს საფრანგეთმა უმასპინძლა. გაჩნდა იმედი თასის მოპოვებისა, მით უმეტეს, პრეტენზიებს საფუძველიც ჰქონდა. გარდა იმისა, რომ შინ, მაყურებელთა მხარდაჭერით გამხნევებული ფრანგები შესამჩნევად ძლიერად ირჯებოდნენ, არც გუნდი იყო ხელწამოსაკრავი — ნიკოლა, დელფური, ასტონი, კაზენავი, ბასტინი და სხვები და სხვები იმ დროის ვარსკვლავები იყვნენ, მაგრამ ფრანგების ცდა მაინც უშედეგოდ დასრულდა: მეოთხედფინალში, პარიზში კოლაუსის და პიოლას ორ შედეგიან დარტყმას ფრანგებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს და ფინალისკენ სვლაც იტალიელებმა გააგრძელეს. როგორც ერთ კვირაში გამოჩნდა, ფრანგებს მსოფლიოს მომავალ ჩემპიონებთან წაეგოთ.

ოცი წლის შემდეგ, 1958 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის მაშინდელ მასპინძელ შვედეთს კვლავ ესტუმრა ფრანგთა „ოცნების გუნდი“ — კოპა, ფონტენი, პიანტონი, ვენსანი, კელბელი — ამათ ფეხბურთის თამაში იცოდნენ და თან ბრწყინვალედ. პირველი მეტოქე პარაგვაი მიწასთან გაასწორეს — 7:3 (!). ასე გაგრძელდა ნახევარფინალამდე — 24 ივნისს სტოკჰოლმში ბრაზილიამ 5:2 დაამარცხა საფრანგეთი. მსოფლიოს ფეხბურთის მეფედ შერაცხული, მაშინ კი ჯერ კიდევ ამომავალი ვარსკვლავი პელე ფრანგებმა ვერ შეაჩერეს — მთლიანობაში ხუთჯერ, ხოლო სახელდობრ პელესგან ფრანგთა მეკარე ებე სამჯერ შებრუნდა კარში ბურთის გამოსატანად. ის ტურნირი ფრანგებმა მესამე ადგილზე დაასრულეს — „პატარა ფინალში“, ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში ფრანგებმა 6:3 (!) დაამარცხეს ჯერ კიდევ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები. ეს მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანელებისთვის ჯერჯერობით ყველაზე საშინელი მარცხია. დიდებულმა ფონტენმა არიელთა მეკარე კვიატკოვსკის არც მეტი, არც ნაკლები, ოთხი გოლი გაუტანა!

1958 წლის შემდეგ დაიწყო ფრანგული ფეხბურთის კრიზისი. ორი ათწლეული გრძელდებოდა მათი მდუმარება და ბოლოს ბნელეთსაც მოეღო ბოლო — 80-იან წლებში ფრანგულმა ფეხბურთმაც გაიბრწყინა... თუმცა მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მაინც ვერ შესწვდა. განა შეიძლება, გულშემატკივრები მსოფლიოს 1982 და 1986 წლის ჩემპიონატებზე საუბრობდნენ და საფრანგეთის დიდებული გუნდი არ ახსენონ? განა შეიძლება, დაივიწყო 1982 წლის საფრანგეთი — გფრ-ს ფრედ 3:3 დასრულებული შეხვედრა? წარმოუდგენელია ნახო ასეთი მატჩები და იგი სამუდამოდ არ ჩაგებეჭდოს მეხსიერებაში. ასევე დაუვიწყარია 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი საფრანგეთსა და ბრაზილიას შორის. ამ დროს განცდილი ემოციები და გრძნობები ქომაგთ მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებათ.

80-იანი წლების საფრანგეთი მართლაც ბრწყინვალე გუნდი იყო. ნაკრები, რომელიც ჭეშმარიტ ფეხბურთს ქადაგებდა და მაინც მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს გარეშე რჩებოდა. ზედიზედ წაგებული ორი ნახევარფინალი. ორი მარცხი მაშინდელ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. ეს იყო ტრაგედია დიდი გუნდისა.

— ყველაფერს, რასაც ჩვენ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ვაკეთებდით, მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — მოგვეგო მსოფლიოს ჩემპიონატი. ახლა დადგა ის დრო, როცა თასი საფრანგეთში უნდა დავტოვოთ. გუნდი ღირსია, გახდეს მსოფლიოში უპირველესი — სამფეროვანთა თავკაცი ემე ჟაკე გამარჯვებაში ღრმადაა დარწმუნებული.

რწმენა კარგია, მაგრამ გადაჭარბებულიც არ ვარგა. ცხადია, მწვრთნელს გუნდის თამაში აიმედებს, ფრანგთა ნაკრები კი ნაღდად ძლიერი გუნდია. სხვათა შორის, ეროვნული გუნდი რაც ჟაკემ ჩაიბარა, მას შემდეგ ნათამაშევ ორმოცამდე მატჩში მხოლოდ სამჯერ დამარცხდა. ასეთი შესანიშნავი შედეგით კი საფრანგეთის ის ბრწყინვალე ნაკრებებიც ვერ დაიკვეხნიდნენ 1982 და 1986 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მოგების ერთ-ერთ რეალურ კანდიდატებად რომ ითვლებოდნენ. მიშელ იდალგოს რჩეულნი მართლაც ბრწყინვალე ფეხბურთს თამაშობდნენ, მაგრამ თუ 1984 წელს კონტინენტზე დაიგდეს უძლიერესის სახელი, მსოფლიოს მასშტაბით ეს ვერ მოახერხეს. შეძლებს ჟაკე სანატრელი და დიადი გამარჯვების მოპოვებას?

— დღესდღეობით გუნდის ხერხემალი გამოკვეთილია. ნათელია იმ მოთამაშეების ვინაობა, ვიზეც გადაივლის კიდეც მსოფლიოს ჩემპიონატი. ნაკრების რჩეულნი ძირითადად შეგულებული მყავს, თუმცა არაა გამორიცხული, თითო-ოროლა, ახალბედაც დავიმატო — ჟაკემ კარგად იცის თავის საქმე.

მაინც როგორი იქნება გუნდის ძირითადი შემადგენლობა? ბოლო წლების შეხვედრებით თუ ვიმსჯელებთ, თერთმეტი ფეხბურთელის ამორჩევა არ გაგვიჭირდება, მაგრამ აქ ყველაზე საოცარი ისაა, რომ დღესდღეობით რეალობად იქცა ის პროგნოზი, 1993 წელს რომ გამოთქვეს „ფრანს ფუტბოლის“ ექსპერტებმა. მაშინ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩის უკანასკნელ წამზე, ბულგარეთთან 1:2 წაგებული შეხვედრის შემდეგ, ზემოხსენებული ჟურნალის საფეხბურთო მიმომხილველებმა თავისი ვერსია წარადგინეს ქვეყნის იმ ნაკრებისა, 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ ითამაშებდა: მეკარე — ბარტეზი (მარსელი); მცველები — დესაი (მილანი), პეტი (მონაკო), სიპრიენი (სენტ ეტიენი); ნახევარმცველები — კარემბუ (ნანტი), ჯორკაეფი (მონაკო), ლისარასუ, ზიდანი (ბორდო), დეშამპი (მარსელი); თავდამსხმელები — უედეკო (ნანტი), დიუგარი (ბორდო). ხედავთ? ფრანსფუტბოლელთა ხუთი წლის წინ დასახელებული ნაკრები თითქმის დაემთხვა ჟაკეს გუნდს. ზემოჩამოთვლილ ფეხბურთელთაგან მაშინ უმრავლესობა ფრანგულ კლუბებში ირჯებოდა, ახლა კი იტალიაში, გერმანიაში, ესპანეთსა და ინგლისში ლეგიონერებად იწოდებიან. ამ ხნის განმავლობაში უმეტესმა მათგანმა აშკარად აიმაღლა კლასი, რაც ცხადია, მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრების საკეთილდღეოდ იმოქმედებს.

ემე ჟაკემ ყველაფერი გააკეთა ნაკრების ასაღორძინებლად, მაგრამ მას მაინც აკრიტიკებენ. ხოლო ევროპის ბოლო ჩემპიონატზე ერიკ კანტონა და დავიდ ჟინოლა, რომ არ წაიყვანა, ამის გამო მწვრთნელი საერთოდ მიწასთან გაასწორეს. კრიტიკის ქარცეცხლი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მას შემდეგ, რაც უგოლო მეოთხედფინალის და ნახევარფინალის შემდეგ (ჰოლანდიასთან და ჩეხეთთან) გუნდი პენალტების სერიაში გამოეთიშა ჩემპიონატს. მაშინ მავანნი ჟაკეს გადაყენებასაც ითხოვდნენ, მაგრამ მწვრთნელი დარჩა. ნაკრებსაც თამაშისთვის არ უღალატია. ძლიერ, რთულად დასამარცხებელ გუნდად დარჩა.

თავდამსხმელის პრობლემა — აი, რა აწუხებს ჟაკეს ყველაზე მეტად. ფორვარდები არიან, მაგალითად, ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, ოსერელი სტეფან გივარში, ანაც მონაკოელი დავიდ ტრეზეგე, მაგრამ ნაკრებში გამოუცდელობის გამო მათი ნდობა ძნელია. გოლების გატანა ზინედინ ზიდანსაც და იური ჯორკაეფსაც ეხერხებათ, მაგრამ ესენი უფრო გოლების შემქმნელები არიან, ვიდრე ბომბარდირები. არადა, იყო დრო, ფრანგებს ჭეშმარიტი თავდამსხმელები არ აკლდათ. პლატინისა და სხვა 80-იანელ ფრანგებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რაიმონ კოპა, ან თუნდაც ჟიუსტ ფონტენი გავიხსენოთ. ამ უკანასკნელის მიერ 1958 წელს დამყარებული რეკორდი — 13 გოლი ერთ მსოფლიოს ჩემპიონატში დღემდე მიუწვდომელია.

და მაინც, მიუხედავად ყველანაირი პრობლემისა, იმედი ვიქონიოთ, რომ ემე ჟაკე და მისი ლაშქარი მსოფლიოს ჩემპიონატს მომზადებული შეხვდება. მით უმეტეს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ უკლებლივ ყველა ფრანგს კარგად აქვს გათვითცნობიერებული — შინ მსოფლიოს ჩემპიონობის ხელიდან გაშვება არაფრით იქნება!



## ქომაგთა გულთამპყრობელი

— ზიდანი მთელი გუნდია. მას გააჩნია ყველა ის ღირსება, რაც აუცილებელია 21-ე საუკუნის ფეხბურთის ვარსკვლავისთვის. იგი მოედანზე უპირველეს ყოვლისა, გუნდისთვისაა და არა საკუთარი თავის წარმოსაჩენად. ასე მგონია, თუ მან მსოფლიოს ჩემპიონატიც დღევანდელის დარად ითამაშა, მაშინ ფრანგებს თასის მოპოვებაში ვეღარავინ შეეცილება, ის კი აუცილებლად საუკეთესო ფეხბურთელი გახდება — ეს სიტყვები კიევის „დინამოს“ თავკაც ვალერი ლობანოვსკის ეკუთვნის. როცა მან ეს თქვა, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი კიეველებსა და „იუვენტუსს“ შორის დასრულებული გახლდათ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ამ შეხვედრაში, ისევე როგორც სეზონის უამრავ სხვა მატჩში, ზიდანმა გაიბრწყინა, უფრო სწორედ, მისი ბრწყინვალება მორიგ შეხვედრაშიც გაგრძელდა.

1993 წელს „კანი“ საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონიდან გავარდა, გუნდის ნიჭიერი ნახევარმცველი ზინედინ ზიდანი კი „ბორდოში“ გადაბარგდა. საცოდაობა იყო ასეთი ფეხბურთელის ქვედა ლიგებში მოცდენა და ზიდანიც ზემოთ დარჩა, იქ, სადაც ბრძოლაა. „ბორდოში“ გატარებულმა პირველივე წელმა ფეხბურთელს ნაკრების მაისური არგუნა და მიუხედავად იმისა, რომ ზიდანმა ჩეხებთან სადებიუტო შეხვედრაში მხოლოდ 17 წუთი ითამაშა, ორი გოლის შეგდება მაინც მოასწრო. ფრანგულ ფეხბურთს ახალი ვარსკვლავი ემატებოდა.

1996 წელს მოსახდენი მოხდა — ზიდანის სახელმა მთელ ევროპაში დაიქუხა. მაშინ, კონტინენტის ჩემპიონატის წინ, უეფას თასზე „ბორდომ“ მანამდე დაუმარცხებლად შერაცხული „მილანი“ ციდან მიწაზე დააბრუნა — 3:0 სძლია. ამ შეხვედრაში ზიდანმა ნიჭი და შესაძლებლობები სრულად გამოავლინა. ამის შემდეგ უმალ ალაპარაკდნენ ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების გაათმაგებულ შანსებზე, მაგრამ ევრო 96 ზიდანს აშკარად ჩაუვარდა — ასეთი დონის ტურნირისთვის იგი მზად არ აღმოჩნდა, თან მეტად მომქანცველი სეზონიც უკან იყო...

— მისი იმედი მაქვს. მჯერა, იგი დიდი პოტენციის ფეხბურთელია. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, მას შესაძლებლობების სრულად გამოვლინების საშუალება მივცეთ — განაცხადა ტურინელთა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ, როცა ზიდანი „იუვენტუსში“ გადავიდა.

ალჟირული წარმოშობის ფრანგი ფეხბურთელის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო — „იუვენტუსი“ და ზღაპრული მიზნები. 1996-97 წლების სეზონში, უფრო სწორედ კი მის დასაწყისში, ზიდანს მაინცდამაინც არ გაუმართლა, იყო ჩავარდნები. ზიდანი კი არა, „იუვენტუსში“ მისვლისთანავე ვარსკვლავებს არც დიდებული მიშელ პლატინი შეთამაშებია. და მიუხედავად ყველაფრისა სერია A-სთან შეგუება ზიდანს არ გასჭირვებია, 1996 წლის შემოდგომიდან ფრანგი „იუვენტუსის“ გულად იქცა — „ბებერ ქალბატონს“ არ შეუძლია ზიდანის გარეშე, ისევე როგორც ზიდანს უიუვენტუსოდ. ასე გრძელდება მესამე წელია და ზიდანიც, ისევე როგორც „იუვენტუსი“, მთელს მსოფლიოში ბრწყინავს. საინტერესოა, როდემდე გაგრძელდება ასე. ამ ქვეყნად ხომ არაფერია უსასრულო. დადგება დრო და ზიდანიც წავა ფეხბურთიდან, თუმცა ეს დღე თუნდაც ხვალვე რომ დადგეს, თმაშეთხელებული ზიდანი სამუდამოდ დარჩება საფეხბურთო მატიანეში.

შეუძლებელია არ მოგვესმინათ, რომ ზიდანს პლატინის ადარებენ, თუნდაც ერთსა და იმავე კლუბში და ნაკრებში თამაშის გამო. გასულ ათწლეულში ბრწყინავდა მიშელ პლატინი და, მწვერვალს მწვერვალზე იპყრობდა „იუვენტუსი“. ძლიერი იყო საფრანგეთის ნაკრებიც, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატებზე უმეტესწილად ბოლო მომენტებში არ უმართლებდა. ახლა ზინედინ ზიდანიც კაშკაშებს და „იუვენტუსიც“ ჩვეულ სიმაღლეზეა. და უძლიერესია ფრანგთა ნაკრები, მაგრამ...

შეძლებენ მასპინძლები თასის შინ დატოვებას?

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ფრანგთა შედეგები ბოლო ორი წლის განმავლობაში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.01.96 | (ა) | პარიზი | პორტუგალია | 3:2 | ჯორკაეფი 2, პედროსი |
| 21.02.96 | (ა) | ნიმი | საბერძნეთი | 3:1 | ლოკო 2, ზიდანი |
| 27.03.96 | (ა) | ბრიუსელი | ბელგია | 2:0 | საკ.კარში, ლამუში |
| 29.05.96 | (ა) | სტრასბური | ფინეთი | 2:0 | ლოკო, პედროსი |
| 01.06.96 | (ა) | შტუტგარტი | გერმანია | 1:0 | ბლანი |
| 05.06.96 | (ა) | დასკი | სომხეთი | 2:0 | ანგლომა, მადარი |
| 10.06.96 | (ეჩ) | ნიუკასლი | რუმინეთი | 1:0 | დიუგარი |
| 15.06.96 | (ეჩ) | ლიდსი | ესპანეთი | 1:1 | ჯორკაეფი |
| 18.06.96 | (ეჩ) | ნიუკასლი | ბულგარეთი | 3:1 | ბლანი, საკ.კარში, ლოკო |
| 22.06.96 | (ეჩ) | ლივერპული | ჰოლანდია | 0:0 (პენ 5:4) | |
| 26.06.96 | (ეჩ) | მანჩესტერი | ჩეხეთი | 0:0 (პენ 5:6) | |
| 31.08.96 | (ა) | პარიზი | მექსიკა | 2:0 | უედეკი, ჯორკაეფი |
| 09.10.96 | (ა) | პარიზი | თურქეთი | 4:0 | ბლანი, პედროსი, ჯორკაეფი, პირესი |
| 09.11.96 | (ა) | კოპენჰაგენი | დანია | 0:1 | |
| 22.01.97 | (ა) | ბრაგა | პორტუგალია | 2:0 | დეშამპი, ბა |
| 26.02.97 | (ა) | პარიზი | ჰოლანდია | 2:1 | პირესი, ლოკო |
| 02.04.97 | (ა) | პარიზი | შვედეთი | 1:0 | ჯორკაეფი |
| 03.06.97 | (ოთ) | ლიონი | ბრაზილია | 1:1 | კელერი |
| 07.06.97 | (ოთ) | მონპელიე | ინგლისი | 0:1 | |
| 10.06.97 | (ოთ) | პარიზი | იტალია | 2:2 | ზიდანი, ჯორკაეფი |
| 11.10.97 | (ა) | ლანსი | ს. აფრიკა | 2:1 | გივარში, ბა |
| 12.11.97 | (ა) | სენტ ეტიენი | შოტლანდია | 2:1 | ლეილე, ჯორკაეფი |
| 28.01.98 | (ა) | პარიზი | ესპანეთი | 1:0 | ზიდანი |
| 25.02.98 | (ა) | მარსელი | ნორვეგია | 3:3 | ბლანი, ზიდანი, დესაი |
| 25.03.98 | (ა) | მოსკოვი | რუსეთი | 0:1 | |
| 22.04.98 | (ა) | სტოკჰოლმი | შვედეთი | 0:0 | |

შემოკლებანი: (ეჩ) — ევროპის ჩემპიონატი; (ა) — ამხანაგური; (ოთ) — ოთხთა ტურნირი

### საფრანგეთი მონაწილეობდა 9 მსოფლიო ჩემპიონატში

1930, 1934, 1938, 1954, 1958, 1966, 1978, 1982, 1986 წწ.

მესამე ადგილი: 1958, 1986 წწ. მეოთხე ადგილი: 1982 წ. მასპინძელი: 1938

34 +15 =5 −14 71:56

| | | |
|---|---|---|
| 1930 | | |
| მექსიკა | 4:1 | მეშინო 2, ლორანი, ლენჟილე |
| არგენტინა | 0:1 | |
| ჩილე | 0:1 | |
| 1934 | | |
| ავსტრია | 2:3 | ნიკოლა, ვერიე |
| 1938 | | |
| ბელგია | 3:1 | ნიკოლა 2, ვინანი |
| იტალია | 1:3 | ისერე |
| 1954 | | |
| იუგოსლავია | 0:1 | |
| მექსიკა | 3:2 | ვინსენი, კოპა, საკ.კარში |
| 1958 | | |
| პარაგვაი | 7:3 | ფონტენი 3, პიანტონი, ვიშნიესკი, კოპა, ვინსენი |
| იუგოსლავია | 2:3 | ფონტენი 2 |
| შოტლანდია | 2:1 | ფონტენი, კოპა |
| ჩ. ირლანდია | 4:0 | ფონტენი 2, ვიშნიესკი, პიანტონი |
| ბრაზილია | 2:5 | ფონტენი, პიანტონი |
| გფრ | 6:3 | ფონტენი 4, კოპა, დუი |
| 1966 | | |
| მექსიკა | 1:1 | უსე |
| ურუგვაი | 1:2 | დე ბურჟუინი |
| ინგლისი | 0:2 | |
| 1978 | | |
| იტალია | 1:2 | ლაკომბი |
| არგენტინა | 1:2 | პლატინი |
| უნგრეთი | 3:1 | ლოპესი, ბერდოლი, როშტო |
| 1982 | | |
| ინგლისი | 1:3 | სოლერი |
| ქუვეიტი | 4:1 | ჟენგინი, პლატინი, სიქსი, ბოსი |
| ჩეხოსლოვაკია | 1:1 | სიქსი |
| ავსტრია | 1:0 | ჟენგინი |
| ჩ. ირლანდია | 4:1 | ჟირესი 2, როშტო 2 |
| გფრ | 3:3 (პენ 4:5) | პლატინი, ტრეზორი, ჟირესი |
| 1986 | | |
| კანადა | 1:0 | პაპენი |
| სსრკ | 1:1 | ფერნანდესი |
| უნგრეთი | 3:0 | სტოპირა, ტიგანა, როშტო |
| იტალია | 2:0 | პლატინი, სტოპირა |
| ბრაზილია | 1:1 (პენ 4:3) | პლატინი |
| გფრ | 0:2 | |
| ბელგია | 4:2 | ფერერი, პაპენი, ჟენგინი, ამორო |

# სულერთია, ის მაინც წავა

ერთ თვეში ყველაფერი გამოჩნდება. მსოფლიოს საფეხბურთო სამყარო ცხადად დაინახავს, თუ რა შრომა გასწია ემე ჟაკემ გუნდისთვის. ახლა, ერთთვიანი ტურნირი მასპინძელთა ნაკრების ძალას გამოავლენს. არავინ იცის, თუ რა შედეგით დასრულდება მსოფლიოს ჩემპიონატი, მაგრამ ის, რომ ფრანგები აუცილებლად გამარჯვებისთვის იბრძოლებენ, ცხადია.

— ჩვენ ბევრი დიდი ნაკრები გვყოლია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატებზე მუდამ ხელმოცარულნი ვრჩებით. გუნდი ნახევარფინალებს ვერ სცდებოდა. ამ ზაფხულს საფრანგეთის ნაკრების მორიგმა თაობამ მსოფლიოს უნდა დაუმტკიცოს, რომ დღესდღეობით ჩვენ უძლიერესნი ვართ დედამიწაზე. თასი აუცილებლად საფრანგეთში უნდა დარჩეს. სხვაგვარად არ იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში წლების მანძილზე გაწეული შრომა წყალში გადაგვყვება — ემე ჟაკეს მსოფლიოს ჩემპიონთათვის განკუთვნილი თასის გარდა არაფერი აინტერესებს.

...56 წლისაა ემე ჟაკე და ხანგრძლივი საფეხბურთო ცხოვრების მანძილზე ბევრი რამ უნახავს. ძლიერი მწვრთნელის სახელი ჟაკემ 80-იანი წლების შუაში, შესანიშნავ „ბორდოში“ მუშაობისთვის დაიმკვიდრა. სხვათა შორის, 1987 წელს, თბილისში მოსკოვის „ტორპედო“ სწორედ ემე ჟაკეს „ბორდოს“ დაუპირისპირდა. ჟაკემ მანამდე ნაკლებად ცნობილი „ბორდო“ გასულ ათწლეულში საფრანგეთის ერთ-ერთ ძლიერ კლუბად აქცია — გუნდი სამჯერ გახდა ჩემპიონი, ხოლო თასი ორჯერ მოიგო. ხელხვავიანი მწვრთნელი არც ფეხბურთელობისას ყოფილა ურიგო მოთამაშე. ჟაკე 12 წლის განმავლობაში იცავდა მაშინ ქვეყნის უძლიერესი კლუბის „სენტ ეტიენის“ ღირსებას. ამ ხნის მანძილზე ქვეყნის ჩემპიონი ხუთჯერ გახდა, თასი კი სამჯერ აღმართა. ვერაფერს იტყვი, შესანიშნავი საფეხბურთო კარიერა აქვს ჟაკეს. საინტერესოა, შეძლებს თუ არა, ნაკრები მსოფლიოში უძლიერეს გუნდად აქციოს.

— იგი შესანიშნავი პიროვნებაა და ამასთანავე, ფეხბურთი ბრწყინვალედ ესმის. იცის ფეხბურთელთა ავ-კარგი, მოთამაშეებთან მიდგომა ეხერხება, გუნდში ბრწყინვალე ატმოსფეროა, ამან კი წარმატებებზე არ იმოქმედოს, არ იქნება — 80-იანი წლების მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავი, ახლა კი მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე მიშელ პლატინი ჟაკეზე კარგი აზრისაა.

მართლაც ჟაკეს გუნდში მისვლის შემდეგ საფრანგეთის ნაკრები შესამჩნევად გარდაიქმნა. თუ წინამორბედ ჟერარ ულიეს დროს ფრანგები უმეტესწილად შეტევით ფეხბურთს თამაშობდნენ, ახლა გუნდი უფრო დაღვინდა და თავქუდმოგლეჯილ თავდასხმას აღარ ქადაგებს. სამაგიეროდ, გაცილებით ძნელად დასამარცხებელ გუნდად იქცა. ერთი სიტყვით, საფრანგეთის ნაკრებმა ჟაკეს ხელში გარკვეულწილად დაკარგა ხიბლი. თან ჩამოყალიბა სახე იმ გუნდისა, რომელიც შედეგისთვის თამაშობს.

— თითქმის ერთი წელი ვფიქრობ, ნაკრების ფეხბურთელთა საბოლოო არჩევანში შეცდომა არ დავუშვა. საფრანგეთში და არც მის გარეთ ჩატარებული მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი შეხვედრა არ გამომიტოვებია და მუდამ ვცდილობდი, ნაკრების კანდიდატები საქმეში მენახა. ქვეყნის პირველი გუნდის დაკომპლექტების საკითხს მე ვწყვეტ და აქედან გამომდინარე, გუნდის თამაშზეც უპირველეს ყოვლისა მე ვაგებ პასუხს — როგორც ჩანს, მწვრთნელი ძალიან ღელავს 22 ფეხბურთელის ამორჩევისას.

...10 ივნისს მსოფლიო ჩემპიონატი იწყება, რომელიც 12 ივლისამდე გასტანს. არავინ იცის, მიაღწევენ თუ არა ფრანგები ფინალამდე, მაგრამ ის, რომ ემე ჟაკე გუნდს მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დასტოვებს, ყველასთვის ცნობილია. შემოდგომიდან ფრანგებს ახალი მწვრთნელი ეყოლებათ.






წლეულს, 28 იანვარს. საფრანგეთი — ესპანეთი. პირველი გოლი „სენ დენზე“ — ზიდანმა კარს ჯადო ახსნა

# ნაკრების კანდიდატები

### მეკარეები

ფაბიენ ბარტეზი (მონაკო, 26 წლის, ნაკრებში 11 თამაში) — თავგადაპარსულმა მეკარემ ევრო 96-ის შემდეგ გუნდის ძირითადში დაიმკვიდრა ადგილი. ძლიერია კარიდან გამოსვლისას. როცა „მარსელში“ თამაშობდა, ევროტურნირების მატჩებში ტაიმებს სხვადასხვა მაისურით ატარებდა.

ბერნარ ლამა (ვესტ ჰემი, ინგლისი, 35, 36) — ერთი პერიოდი ანაშის მოწევისთვის ორი თვით იყო დისკვალიფიცირებული და, ცხადია, ნაკრებშიც არ თამაშობდა. წელს ლონდონურ კლუბში კარგად ითამაშა და ნაკრებშიც ამიტომ დააბრუნეს. ხშირ შემთხვევაში საიმედოდ კი ირჯება, მაგრამ უცნაური გოლების გაშვება სჩვევია.

ლიონელ ლეტისი (მეცი, 24, 2) — ცივსისხლიანი მეკარეა. კლუბში კარგად ირჯებოდა და ამიტომ პირველად ითამაშა ნაკრებში სამხრეთაფრიკელთა წინააღმდეგ. გაზაფხულზე მოსკოვში, რუსებთან თამაშისას დაშვებული ერთადერთი შეცდომა მას გოლად, ნაკრებს კი ნაგებად დაუჯდა. 28 მაისს 25 წლისა შესრულდება.

ლიონელ შარბონიე (ოსერი, 31, 1) — ქვეყნის ღირსება ერთადერთხელ, შარშან ზაფხულს, ოთხთა ტურნირის ბოლო მატჩში, იტალიელებთან ფრედ 2:2 დასრულებულ მატჩში დაიცვა. ასაკოვანი, მაგრამ გამოცდილი მეკარეა. არაა გამორიცხული, სამსოფლიოსჩემპიონატო გუნდში მოხვდეს.

### მცველები

ლორან ბლანი (მარსელი, 32, 66) — შესანიშნავი მცველია. ნაკრებში კი 12 გოლი აქვს შეგდებული. თავით კარგად თამაშობს და გოლების დიდი ნაწილი სწორედ ასე აქვს გატანილი. გამოირჩევა ზუსტი გადაცემებით. ერთი ხანობა საფრანგეთის წლევანდელი ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერი გახლდათ.

მარსელ დესაი (მილანი, იტალია, 29, 40) — გამრჯე და ფიზიკურად ძლიერი მცველია. 1993 და 1994 წლებში ჯერ „მარსელის“, ხოლო შემდეგ „მილანის“ შემადგენლობაში მოიგო ჩემპიონთა თასი. ნაკრებში ბრწყინვალედაა შეწყვილებული ბლანთან. საჰაერო ორთაბრძოლებში დესაის ძლევა მუდამ ძნელია.

ფრანკ ლებეფი (ჩელსი, ინგლისი, 30, 12) — ემე ჟაკემ პრემიერლიგაში ძლიერი თამაშის გამო მიიწვია ნაკრებში, სადაც ორი გოლის გატანაც მოახერხა. „ჩელსისთან“ ერთად ინგლისის ლიგის და ასოციაციის თასები, ხოლო ახლახანს კი თასების თასიც მოიგო. ფეთქებადი ხასიათის ფეხბურთელია.

ლილიან ტურამი (პარმა, იტალია, 26, 31) — სერია A-ს ერთ-ერთ უძლიერეს მცველად ითვლება. „პარმაში“ კარგი თამაშის გამო ევროპის 1996 წლის ჩემპიონატამდე გაინაღდა ნაკრებში ადგილი და მას შემდეგ ჟაკე მუდამ ენდობა — შეტევებში ჩართვა უყვარს და ეხერხება კიდეც.

ვინსენ კანდელა (რომა, იტალია, 24, 9) — როცა გუნდი დაცვაში ოთხი ფეხბურთელით თამაშობს, კანდელაც მინდორზეა, სამი მცველის შემთხვევაში კი სათადარიგოთა შორის გადანაცვლება უწევს. წელს კარგი სეზონი ჰქონდა და მსოფლიოს ჩემპიონატზეც ალბათ ითამაშებს.

ბიქსენტ ლისარასუ (ბაიერნი, გერმანია, 28, 30) — ბასკი წარმოშობის ფრანგი ბევრს მანუელ ამოროს აგონებს. შესანიშნავი ფლანგელია. სწრაფია და ამასთანავე ტექნიკურიც. შარშან მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და კინაღამ კარიერაც დაასრულა.

პიერ ლეილე (სამპდორია, იტალია; 27, 8) — ნაკრებში იმიტომაა, რომ ჯერ საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი ლისარასუს საკითხი. მარცხენა მცველია და შუაშიც ხშირად გაუმწესებიათ. შეტევაში უცაბედი ჩართვა უყვარს.

მარტინ ჯეტუ (მონაკო; 23, 3) — წელს უდავოდ უძლიერესადითამაშა, თუმცა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „იუვენტუსის“ თანამემამულე ლეგიონერ ზინედინ ზიდანთან ვერაფერი გააწყო.

### ნახევარმცველები

ალან ბოგოსიანი (სამპდორია, იტალია; 27, 5) — ჟაკე მას დიდხანს აკვირდებოდა და საბოლოოდ ნაკრებშიც დაუძახა. რა შეიძლება ითქვას მასზე? — თავდადებული ფეხბურთელია, გამრჯე და მეტად მოძრავი.

ემანუელ პეტი (არსენალი, ინგლისი; 27, 18) — 1990 წელს საფრანგეთის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარეს. მებრძოლი მცველია, ატარებს კიკინას. „მონაკოს“ შემადგენლობაში ჩემპიონატიც და თასიც მოუგია. წელს ინგლისის ჩემპიონი და თასის მფლობელიც გახდა.

დიდიე დეშამპი (იუვენტუსი, იტალია; 29, 67) — მუშა ნახევარმცველია. არაეფექტური, მაგრამ ძალიან სარგებლიანი თამაშით გამოირჩევა. ნაკრებში ჩატარებული მატჩების მიხედვით მხოლოდ მანუელ ამოროს (82 თამაში), მაქსიმ ბოსის (76) და მიშელ პლატინის (72) ჩამორჩება. მსოფლიო ჩემპიონატზე სავარაუდოდ გუნდის კაპიტანი იქნება.

პატრიკ ვიეირა (არსენალი, ინგლისი; 21, 6) — სენეგალელი წარმოშობის ყმაწვილმა წელს „არსენალის“ გაჩემპიონებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ფიზიკურად ძლიერი ჭაბუკია და ფაქტობრივად მოუღლელია. ემოციურია, თუმცა ამბობენ, გაიზრდება და დაღვინდებაო.

კრისტიან კარემბუ (რეალი, ესპანეთი; 27, 30) — დიდებული „ნანტის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო, თუმცა არც „რეალშია“ უკანა პლანზე. ადრე გრძელ თმებს ატარებდა. ძლიერი ნახევარმცველია, ძალიან ძლიერი.

ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია; 25, 31) — საფრანგეთის ნაკრებსა და „იუვენტუსში“ მიშელ პლატინის მემკვიდრედ მიიჩნევენ. ტურინულ კლუბში შარშანწინ გადაბარგდა. უკვე იტალიის ორგზის ჩემპიონია, თან საკონტინენტთაშორისო და ევროპის სუპერთასის მოპოვება მოასწრო. დიდებული ფეხბურთელია. თამაშის შემქმნელიცაა და შემსრულებელიც. წლევანდელი სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა.

იბრაჰიმ ბა (მილანი, იტალია; 25, 8) — „ჩიკაგო ბულსის“ მოთამაშის დენის როდმანის გულშემატკივარია და მის დარად თმებსაც იღებავს. შარშან პორტუგალიელებს სადებიუტო მატჩში გოლიც შეუგდო. იტალიის ჩემპიონატში თავდაპირველად ვერ თამაშობდა, მაგრამ როცა ათამაშდა, არც მაშინ განუცვიფრებია ხალხი.

საბრი ლამუში (ოსერი; 26, 11) — 1996 წლის ნოემბერში თურქებთან მატჩში მიღებულმა ტრავმამ ლამის დაასრულა ფეხბურთელის კარიერა. თუმცა გადარჩა და იმდენი ქნა, აგერ, ნაკრების კანდიდატიცაა.

### თავდამსხმელები

იური ჯორკაეფი (ინტერი, იტალია; 30, 35) — თუ მისი თამაში ზიდანის მოქმედებას სათანადოდ შეეწყო, მაშინ ფრანგთა ნახევარდაცვის გავლა შეუძლებელი იქნება. სერია A-ში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

რობერტ პირესი (მეცი; 24, 3) — წელს ძლიერად ითამაშა, „მარსელს“ და პსჟ-ს მისი გადაბირება აფიქრებინა. თამაშით ზიდანს ჩამოჰგავს, თუმცა ამ უკანასკნელს პირესი კლასით აშკარად ჩამოუვარდება. მთლიანობაში კარგი სათადარიგო ფეხბურთელია.

ბერნარ დიომედი (ოსერი; 24, 3) — გამრჯე თავდამსხმელია და სადებიუტო მატჩში ესპანელებთან შესანიშნავად ითამაშა.

სტეფან გივარში (ოსერი; 27, 5) — ნაკრებში სამხრეთაფრიკელებთან სადებიუტო მატჩში გოლი გაიტანა, თუმცა მას შემდეგ ვერ გაუხარია. ბოლო ორი სეზონია, ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირი ხდება, ნაკრებში ფეხის მოკიდება კი უჭირს.

დავიდ ტრეზეგე (მონაკო; 20, 3) — არგენტინელი წარმოშობის ახალგაზრდაა. მთელ საფრანგეთის ჩემპიონატში ერთ-ერთ ყველაზე ზრდილ ყმაწვილად ითვლება. საგოლე მომენტები ბლომად ეძლევა, მაგრამ ბევრს ვერ იყენებს.

კრისტოფ დიუგარი (მარსელი; 26, 21) — თავდამსხმელია, გუნდში კი ორ გოლზე მეტი არ შეუგდია. უფრო მომენტების შექმნა უყვარს, ვიდრე გატანა. ძალიან მოძრავია და აქედან გამომდინარე, მცველთათვის სახიფათოა.

ფლორიან მორისი (პსჟ; 24, 3) — საფრანგეთის ოთხთა ტურნირზე ბრაზილიის და იტალიის წინააღმდეგ ითამაშა, მას შემდეგ ქვეყნის ღირსება აღარ დაუცავს.

ნიკოლა ანელკა (არსენალი, ინგლისი; 19, 1) — „არსენალში“ იან რაიტის მემკვიდრედ ითვლება. ნაკრებში სწორედ ლონდონურ გუნდში კარგი თამაშის გამო მიიწვიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხრეთი აფრიკა

# უბრალოდ „ბიჭები“



სამხრეთი აფრიკა. დგანან: ბარტლეტი, ისა, ფიში, ანდერსონი, მასინგა, რადებე ; სხედან: მკალელე, მნგუნი, აუგუსტინე, ტინკლერი, ნიატი

გასული საუკუნის მიწურულს სამხრეთი აფრიკა ჯერ კიდევ ინგლისის კოლონია იყო. სწორედ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს დასაბამს აქაური ფეხბურთის ისტორია, რომელიც აგერ უკვე საუკუნეზე მეტს ითვლის.

მაშინ, შორეულ 1860-70-იან წლებში, შავი კონტინენტის უკიდურესი სამხრეთით მდებარე ქვეყანაში თავდაპირველად ბურთაობა ინგლისელმა კოლონიზატორებმა დაიწყეს, რამდენიმე წელიწადში მათ დაპყრობილებმაც აუბეს მხარი და ქვეყნის საფეხბურთო ისტორიის პირველი ფურცლებიც ჩაწერეს. როცა სამხრეთ აფრიკაში ფეხბურთი ფეხს იკიდებდა, რაგბს და კრიკეტს უკვე დაპყრობილი ჰქონდა ქომაგთა გულები, თუმცა, მიუხედავად ამისა, ფეხბურთის თაყვანისმცემლებიც გამოჩნდნენ. დასაწყისში ფეხბურთის ტრფიალი მხოლოდ შავკანიანი მოსახლეობა იყო. თეთრკანიანთათვის ფეხბურთი დამამცირებელ თამაშად ითვლებოდა, თუმცა გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან მოყოლებული სამხრეთ აფრიკაში თეთრკანიანთა კლუბებიც შეიქმნა.

ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებას, მით უმეტეს კლუბების ჩამოყალიბებას, ნაკრების შექმნა უნდა მოჰყოლოდა. ასეც მოხდა. სამხრეთ აფრიკის რჩეულ ფეხბურთელთაგან დაკომპლექტებული გუნდის პირველი ამხანაგური მატჩი არგენტინელებთან 1906 წელს შედგა. ნაკრების პირველ შეხვედრაში შავი კონტინენტის შვილებმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს — 4:1. საინტერესოა ისიც, რომ ნაკრებმა მეორე შეხვედრა მხოლოდ 18 წლის შემდეგ ჩაატარა, 1924 წელს.

1952 წელს სამხრეთ აფრიკა ფიფაში გაწევრიანდა, ხოლო როცა 11956 წელს აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის წევრობა მოინდომა, ამ ორგანიზაციის დამაარსებლებმა — ეგვიპტემ, სუდანმა და ეთიოპიამ ცივი უარი სტკიცეს. მიზეზი — სამხრეთ აფრიკაში გავრცელებული რასიზმი გახლდათ.

60-70-იანი წლები ყველაზე კოშმარულია სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ისტორიაში. 1970 წელს სამხრეთ აფრიკა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გააძევა ორგანიზაციიდან რასიზმის მძვინვარების და აპარტეიდის გამო. 1976 წელს კი ფიფამაც იუარა თავის რიგებში სამხრეთ აფრიკის ყოფნა. ერთი სიტყვით, ამ ქვეყნის ფეხბურთი უკანმოუხედავად გადაეშვა უფსკრულში.

მსოფლიო სპორტისგან ხანგრძლივი იზოლაციის შემდეგ მოსახდენი მოხდა — სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციამ 1992 წელს ფიფაში აღიდგინა სტატუსი.

იმ ხანებში სამხრეთ აფრიკა საერთაშორისო სარბიელს უბრუნდება: სამმატჩიანი სერია კამერუნთან, შეხვედრა ზიმბაბვესთან. თავისუფლებადაჭაშნიკებულ სამხრეთაფრიკელებს ბურთიც მიეცათ და მოედანიც, თუმცა შედეგები ვერ იყო სასურველი.

და სწორედ მაშინ, როცა თითქოს არავინ იყო ისეთი, რომელსაც სამხრეთ აფრიკაში ჩასვლის და იქაური ფეხბურთის აყვავების სურვილი ექნებოდა, გამოჩნდა საქმის მცოდნე კლაივ ბარკერი. სწორედ ამ კაცს უკავშირდება სამხრეთ აფრიკის ნაკრების, იგივე „ბაფანა ბაფანას“ ახალი ისტორია. სწორედ 54 წლის ბარკერის დარგულმა ნერგმა იხარა დღეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ უწევს თამაში.

1994 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში განცდილი მარცხის შემდეგ, სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციამ ბარკერს ნაკრების გაწვრთნა შესთავაზა და ეს უკანასკნელიც დათანხმდა. ბარკერმა დაგეგმა ოთხწლიანი პროგრამა, რომლის პიკი საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინაიდან 1996 წელს კენიამ აფრიკის თასის მასპინძლობაზე უარი განაცხადა და ტურნირის მიღება სამხრეთაფრიკელებმა იტვირთეს, აუცილებელი იყო, წარმატებისთვის მიეღწიათ. შინ მარცხს ბარკერს არავინ აპატიებდა. ერთი სიტყვით, ნაკრებს აუცილებლად უნდა მოეგო და მართლაც აფრიკის თასის 1996 წლის გათამაშება „ბაფანა ბაფანას“ გამარჯვებით დასრულდა.

და კაცი, რომელმაც სამხრეთაფრიკული ფეხბურთი ფეხზე დააყენა, კონტინენტის თასის მოგებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ საკუთარი ნება-სურვილით გადადგა თანამდებობიდან. აშკარად ჩანდა იყო რაღაც მიზეზი, ოფიციალურად კი ითქვა, მწვრთნელი გადაიღალაო. საინტერესოა რისგან? გამარჯვებებისგან? არა, აქ რაღაც სხვა ამბავი იყო.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ბარკერმა სამხრეთი აფრიკის ნაკრებს უგანა. გუნდი დიდხანს არ ყოფილა უმწვრთნელოდ. ნაკრების თავკაცად იომო სონო დანიშნეს. კაცი, რომლის გუნდში მისვლაც დიდი ზარ-ზეიმით არ აღუნიშნიათ.

სამხრეთი აფრიკის ფეხბურთის ასოციაციამ გადაწყვიტა, რომ ვინაიდან სონო საფეხბურთო წრეებში მიღებული კაცი იყო და მწვრთნელობის გამოცდილებაც საკმაო ჰქონდა, ნაკრების გაძღოლაც არ გაუჭირდებოდა. სონოს მწვრთნელობა არც გასჭირვებია. ერთი ეგ იყო, ფეხბურთელები გაწამდნენ. რატომ? იმიტომ, რომ იომო სონოს გულქვა კაცად იცნობდნენ.

სხვათა შორის, იომო სონო კლუბ „იომო კოსმოსის“ დამაარსებელი, მფლობელი და მწვრთნელია, რომლის სახელწოდების პირველი ნაწილი თავად სონოს სახელია, ხოლო მეორე ნახევარი — „კოსმოსი“, სონომ ამერიკული, კერძოდ კი ნიუ იორკის „კოსმოსის“ საპატივცემულოდ დაარქვა, სადაც იგი 70-იან წლებში პელეს და ბეკენბაუერის მხარდამხარ თამაშობდა.

თუმცა დავუბრუნდეთ ნაკრებს. „ბაფანა ბაფანას“ ახალი მწვრთნელის ხელში არანაირი მიღწევა არ ჰქონია. ჯერ იყო და შარშან დეკემბერში, საუდის არაბეთში კონფედერაციათა თასზე მარცხის შემდეგ, სონომ ნაკრებიდან შვიდი წამყვანი ფეხბურთელი დაითხოვა — ხუმალო, მოშოუ, ტინკლერი, არენდსე, ტოვი, მოტაუნგი და ბარტლეტი, აქაოდა გუნდს გაახალგაზრდავება სჭირდებაო. ლიდერთა გარეშე დარჩენილი ნაკრები დაჩაჩანაკდა და პირველივე შეხვედრა წააგო უსუსტეს ნამიბიასთან 2:3.

საბოლოოდ იომო სონო, კაცი გულქვა და დესპოტი, ნაკრებს გაშორდა. ოღონდ მას შემდეგ, რაც წინამორბედი კლაივ ბარკერის წლობით ნაშენები სამ თვეში დაანგრია.

— მწამს, ჩვენ შევძლებთ წინააღმდეგობის დაძლევას. ნაკრებს შესწევს უნარი, გადალახოს პირველი ეტაპი, მერე კი რაც უფრო შორს წავალთ, მით უფრო უკეთესი იქნება — სწორედ ეს სიტყვები წარმოთქვა ფრანგმა ფილიპ ტრუსიემ, 1 მარტს, „ბაფანა-ბაფანას“ მწვრთნელის პოსტზე ოფიციალურად დამტკიცებისას.

თეთრი შამანის სამხრეთაფრიკელებს სჯერათ. ტრუსიეს მთელ კონტინენტზე შედეგიან მწვრთნელის სახელი აქვს გავარდნილი. ჯერ არ მომხდარა, მისი ხელმძღვანელობით გუნდს პროგრესი არ განეცადოს. იქ, აფრიკის სამხრეთშიც, იმის იმედი აქვთ, რომ „ბაფანა ბაფანა“ საფრანგეთში თავის სიტყვას იტყვის.

როცა ფრანგმა მწვრთნელმა ნაკრები ჩაიბარა, მსოფლიოს ჩემპიონატამდე სულ სამი თვე იყო დარჩენილი. ვითომ შეძლებდა ტრუსიე გადაგვარებული ნაკრებისთვის ჩვეული, ლაღი ფეხბურთის მოყვარული გუნდის სახე დაებრუნებინა? ამაზე ძნელია პასუხის გაცემა. იმის თქმა კი შეიძლება, რომ მან ამავე ვადაში არაფრისმაქნისი, გაცილებით სუსტი ბურკინა ფასო ისე ალაზევა, რომ ეს უკანასკნელი აფრიკის თასის ნახევარფინალშიც გავიდა.

...ადრე, რამდენიმე წლის წინ, სამხრეთი აფრიკის ნაკრებს მეტსახელი არ ჰქონდა, მაგრამ ერთხელ, კამერუნთან თამაშის შემდეგ, მათ „ბაფანა ბაფანა“ დაერქვათ. ეს კი ასე მოხდა:

მატჩი ქალაქ დურბანში მიმდინარეობდა. იქ, სადაც ძირითადად ზულუსურ ენაზე საუბრობენ. ჰოდა, კამერუნელებთან ბურთაობას რომ უცქერდნენ, ადგილობრივმა ქომაგებმა საყვარელი ფეხბურთელების გასამხნევებლად სწორედ „ბაფანა ბაფანას“ ძახილი იწყეს. უცხოელი ჟურნალისტებისთვის ეს სიტყვები გაუგებარი იყო და იმდენი იკირკიტეს, იქამდე იწვალეს, სანამ მისი მნიშვნელობა არ გაიგეს — რამდენიმე დურბანელმა ისინი „გაანათლა“ — „ბაფანა ბაფანა“ ბიჭებს კი ნიშნავს, მაგრამ ამ შემთხვევაში წაქეზებისთვის უფრო ნათქვამი დაახლოებით ასე — მიდით, ბიჭებო, მიდითო!

დიდი ცრუმორწმუნე ხალხია აფრიკელები. აი თუნდაც რატომ: სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციამ რომ გაიგო, ნაკრებს მეტსახელად სხვა რამე კი არა, უბრალოდ „ბაფანა ბაფანა“ შეურჩიესო ძალიან გაწყრა. მიზეზს არ იკითხავთ? — ქვეყნის ფეხბურთის მამების აზრით, ნაკრებს რაიმე ისეთი მეტსახელი უნდა ჰქონდეს, მეტოქეს შიშს რომ მოჰგვრის, მაგალითად, „მოუთვინიერებელი ლომები“, „შავი პანტერები“, „უდაბნოს მებრძოლნი“, უბრალოდ „ბიჭები“ კი აბა ვის დააფრთხობსო.

ტრუსიეს თქმისა არ იყოს, სამხრეთი აფრიკის ნაკრები ის გუნდია, რომელზეც მეტოქეთ ყველაზე ნაკლებად მოეხსენებათ. „ბაფანა ბაფანა“ სავარაუდოდ საფრანგეთში საკმაო სიურპრიზებს მოახდენს, მაგრამ მაინც გუნდის მაქსიმუმი ალბათ მერვედფინალი იქნება.

უმთავრესი მეტოქე, ცხადია, ტურნირის მასპინძელი საფრანგეთი იქნება. იმის მტკიცება, გინდა თუ არა ფრანგები აფრიკელთ სძლევენო, სისულელე იქნება, თუმცა ამის დიდი შანსი რომ აქვთ აშკარაა. მასპინძლებთან შედარებით „ბაფანა ბაფანა“ ტაქტიკური თვალსაზრისით საკმაოდ მოიკოჭლებს. შემსრულებლებიც არ ჰყავს იმ დონის, როგორც, მაგალითად, ზიდანი ან ჯორკაეფი.

ტრუსიემ ამასწინათ განაცხადა, სწორედ დანიელებთან გადაწყდება ჩვენი ჯგუფიდან გასვლა არგასვლის საკითხიო. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დანიელებს უცნაური წაგებები სჩვევიათ, მაშინ „ბაფანა ბაფანას“ გამარჯვება სულაც არ იქნება მოულოდნელი.

კიდევ ერთი ჯგუფელი საუდეთია. აქ რაიმეს თქმა ძნელია. აზიელები შედარებით ნელი ფეხბურთის მოყვარულნი არიან, ვიდრე იგივე სამხრეთაფრიკელები.

მოკლედ, აფრიკელთა თამაშის წინასწარ განჭვრეტა ძნელია, მაგრამ თუ შედეგის გამოცნობა ჭირს, იმის თქმა სულაც არაა რთული, რომ თეთრი შამანი და მისი შავი „კუდიანი ალქაჯები“ ბევრ სიურპრიზს შემოგვთავაზებენ.



მოდი და ნუ შეუშინდები! სამხრეთ აფრიკელებს ალქაჯებიც ქომაგობენ

**სამხრეთ აფრიკელთა შედეგები ბოლო ორი წლის განმავლობაში**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.01.96 | (აფთ) | იოჰანესბურგი | კამერუნი | 3:0 | მასინგა, უილიამსი, მოშოუ |
| 20.01.96 | (აფთ) | იოჰანესბურგი | ანგოლა | 1:0 | მასინგა |
| 24.01.96 | (აფთ) | იოჰანესბურგი | ეგვიპტე | 0:1 | |
| 27.01.96 | (აფთ) | იოჰანესბურგი | ალჟირი | 2:1 | ფიში, მოშოუ |
| 31.01.96 | (აფთ) | იოჰანესბურგი | განა | 3:0 | მოშოუ — 2, ბარტლეტი |
| 03.02.96 | (აფთ) | იოჰანესბურგი | ტუნისი | 2:0 | უილიამსი — 2 |
| 24.04.96 | (ა) | იოჰანესბურგი | ბრაზილია | 2:3 | მასინგა, ხუმალო |
| 01.06.96 | (მშ) | ბლენტეირი | მალავი | 1:0 | ტინკლერი |
| 15.06.96 | (მშ) | იოჰანესბურგი | მალავი | 3:0 | ბარტლეტი — 2, ფიში |
| 14.09.96 | (ა) | დურბანი | კენია | 1:0 | ნგობე |
| 18.09.96 | (ა) | იოჰანესბურგი | ავსტრალია | 2:0 | მოშოუ, უილიამსი |
| 21.09.96 | (ა) | პრეტორია | განა | 0:0 | |
| 09.11.96 | (მშ) | იოჰანესბურგი | ზაირი | 1:0 | მასინგა |
| 11.01.97 | (მშ) | ლუსაკა | ზამბია | 0:0 | |
| 06.04.97 | (მშ) | კონგო | კონგო | 0:2 | |
| 27.04.97 | (მშ) | ლომე | ზაირი | 2:1 | ხუმალო, მასინგა |
| 24.05.97 | (ა) | მანჩესტერი | ინგლისი | 1:2 | მასინგა |
| 04.06.97 | (ა) | იოჰანესბურგი | ჰოლანდია | 0:2 | |
| 08.06.97 | (მშ) | იოჰანესბურგი | ზამბია | 3:0 | მკალელე — 2, მასინგა |
| 16.08.97 | (მშ) | იოჰანესბურგი | კონგო | 1:0 | მასინგა |
| 11.10.97 | (ა) | ლანსი | საფრანგეთი | 1:2 | ბარტლეტი |
| 15.11.97 | (ა) | დიუსელდორფი | გერმანია | 0:3 | |
| 07.12.97 | (ა) | იოჰანესბურგი | ბრაზილია | 1:2 | მკალელე |
| 13.12.97 | (კთ) | რიადი | ჩეხეთი | 2:2 | აგუსტინი, მკალელე |
| 15.12.97 | (კთ) | რიადი | საამიროები | 0:1 | |
| 17.12.97 | (კთ) | რიადი | ურუგვაი | 3:4 | რადებე, მკალელე, ნდლენია |
| 24.01.97 | (ა) | ვინდოკი | ნამიბია | 2:3 | მოკი, მასინგა |
| 08.02.97 | (აფთ) | ბობო დიულასო | ანგოლა | 0:0 | |
| 11.02.98 | (აფთ) | ბობო დიულასო | კოტ დივუარი | 1:1 | მკალელე |
| 16.02.98 | (აფთ) | ბობო დიულასო | ნამიბია | 4:1 | მაკართი — 4 |
| 22.02.98 | (აფთ) | უგადუგუ | მაროკო | 2:1 | მაკართი, ნაიტი |
| 25.02.98 | (აფთ) | უგალუგუ | კონგო | 2:1 | მაკართი — 2 |
| 28.02.98 | (აფთ) | უგადუგუ | ეგვიპტე | 0:2 | |

შემოკლებანი: (აფთ) — აფრიკის თასი; (ა) — ამხანაგური მატჩი; (მშ) — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი; (კთ) — კონფედერაციათა თასი

# ნაკრების კანდიდატები

### მეკარეები

ანდრე არენდსე (ფულემი, ინგლისი; 30 წლის, ნაკრებში 27 მატჩი) — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ყველა შეხვედრაში კი ითამაშა, მაგრამ ნაკრებში ადგილი იანვარში დაკარგა. ისე, წელს მაინც და მაინც არ გაუმართლა. მეტიც, „ფულემის" ძირითადშიც დაკარგა ადგილი.

ბრაიან ბალუი (კაიზერ ჩიფსი; 24, 8) — თებერვალში, ბურკინა ფასოში გამართული აფრიკის თასის გათამაშებაში შესანიშნავად ითამაშა, თუმცა ვინაიდან ახალგაზრდაა, გამოსვლებზე თამაში დასახვეწი აქვს. გამოირჩევა თმის ექსტრავაგანტული შეფერილობით.

პოლ ევანსი (სანსპორტ იუნაიტედი; 24, 0) — დაიბადა და აღიზარდა უელსში, თუმცა მშობლების წარმომავლობით სამხრეთ აფრიკელად დარჩა. ქვეყნის პირველი გუნდის ღირსება არასდროს დაუცავს, ისე კი სამხრეთ აფრიკელთა 23 წლამდე ნაკრებში უთამაშია. ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „ლიდსში" გატარებული ორი წარუმატებელი სეზონის შემდეგ შინ დაბრუნდა.

ჰანს ვონკი (ჰერენვენი, ჰოლანდია; 26, 0) — ფიზიკურად ძლიერი აღნაგობის მეკარე სამხრეთ აფრიკაშია დაბადებული, სწავლა-განათლება კი ჰოლანდიაში აქვს მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ღირსება ჯერ არ დაუცავს, მისით ტრუსიე ისეა მოხიბლული, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდის ძირითადი მეკარე იქნება.

### მცველები

მარკ ფიში (ბოლტონი, ინგლისი; 24, 37) — ძლიერი ფეხბურთელია, განსაკუთრებით ლიბეროს პოზიციაზე თამაშისას. უყვარს შეტევებში ჩართვა. ორი წლის წინ ბრაზილიის წინააღმდეგ მსოფლიო ნაკრების ღირსება დაიცვა. პრემიერლიგაში წელს მაინც და მაინც არ გაუმართლა.

პიერ ისა (მარსელი, საფრანგეთი; 22, 1) — მშობლები ლიბანელები არიან, თუმცა იოჰანესბურგში რადგანაა დაბადებული, სამხრეთ აფრიკელადაც იმიტომ ითვლება. ოთხი წლიდან საფრანგეთში იზრდება. სულ ერთი კვირაა, რაც მუხლის ტრავმა დაიამა.

ვილემ ჯეკსონი (ორლანდო პაირატსი; 26, 12) — მას შემდეგ, რაც შარშან საფრანგეთთან ამხანაგურ მატჩში შესანიშნავად ითამაშა, ნაკრების მუდმივი წევრია. განსაკუთრებით სახიფათოა თავით თამაშისას.

ტემბა მნგუნი (მამელოდი სანდაუნსი; 24, 3) — ქვეყნის პირველ გუნდში თებერვალში, აფრიკის თასზე ითამაშა. ნაკრებში მნგუნის მიწვევა კი შინაურ სარბიელზე ჩემპიონობის და თასის ერთდროულად მომგებ გუნდში შესანიშნავმა გარჯამ განაპირობა.

სიზვი მოტაუნგი (ორლანდო პაირატსი; 28, 49) — ყველაზე გამოცდილი სამხრეთ აფრიკელი ფეხბურთელია, თუმცა მწვრთნელ იომო სონოსთან უთანხმოების გამო აფრიკის თასის ფინალში არ უთამაშია. მონაწილეობდა უკლებლივ 12-ვე შესარჩევ შეხვედრაში.

დევიდ ნიატი (სენტ გალენი, შვეიცარია; 29, 35) — საიმედო მცველია და აქტიურია კონტრშეტევებისას. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კარიერას, ალბათ, სერია A-ში გააგრძელებს, ვინაიდან მიწვევები ბლომად აქვს.

ენდრიუ რაბუტლა (იომო კოსმოსი; 27, 7) — ერთი ხანობა საბერძნეთის „პაოკში" ირჯებოდა, თუმცა მუხლის მძიმე ტრავმის გამო ელინთა დატოვება მოუხდა. ახლა ჯანმრთელადაა და, ალბათ, ტრუსიე დაცვის ხაზშიც ანდობს ადგილს.

ლუკას რადებე (ლიდსი, ინგლისი; 29, 41) — ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აფრიკელი ფეხბურთელია. ასევე ნაკრების კაპიტანია. თანაბრად ძალუძს დაცვაში და ნახევარდაცვაში თამაში. „ლიდსის" ძირითადის მოთამაშეა.

### ნახევარმცველები

მარკ არნოლდი (ჰერტა, გერმანია; 27, ნაკრებში არ უთამაშია) — ტრუსიეს აღმოჩენაა. ძლიერი სეზონი ჰქონდა ბუნდესლიგურ კლუბში და მწვრთნელის ყურადღებაც ამიტომ დაიმსახურა.

ალექს ბაპელა (მამელოდი სანდაუნსი; 28, ნაკრებში არ უთამაშია) — ნაკრებში მუდმივად იწვევენ, თუმცა როგორც წესი, სათადარიგოთა სკამს ვერ სცდება. ვნახოთ, საფრანგეთში რა იქნება.

კუინტონ ფორტუნი (ატლეტიკო, ესპანეთი; 21, 6) — სამხრეთ აფრიკის ნაკრების ისტორიაში უმრწემესი ფეხბურთელია, ქვეყნის ღირსება რომ დაუცავს. ნახევარდაცვის ცენტრშიც ათამაშებენ, ისე კი მარცხენა ფლანგზეა ძლიერი.

დოქტორ ხუმალო (კაიზერ ჩიფსი; 30, 43) — ხასიათის მოთამაშეა. თუ კარგ გუნებაზეა, იცოცხლე, კარგია, მაგრამ თუ ნირწამხდარია... ყოფილა შემთხვევები, მარტოს მოუგია თამაშები. 26 ივნისს 31 წლისა გახდება.

ჰელმან მკალელე (ქაისერსფორი, თურქეთი; 28, 35) — მეტად ტექნიკური მოთამაშეა. უყვარს და რაც მთავარია, ძალუძს მცველთა გაბითურება. შესარჩევ ტურნირში რამდენიმე გადამწყვეტი გოლი შეაგდო.

ჯონ მოეტი (ორლანდო პაირატსი; 30, 23) — გამრჯე ნახევარმცველია. მისი დაღლა თითქმის შეუძლებელია. ტრუსიეს გუნდში ალბათ, ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იქნება. შეიძლება კაპიტნადაც ვიხილოთ.

ტაბო მუკი (კაიზერ ჩიფსი; 25, 3) — ნაკრებში ნათამაშევ მეორე შეხვედრაშივე შეაგდო გოლი. აფრიკის თასზე უმეტესწილად სათადარიგოთა სკამს ხებდა. ისე კი, ნიჭიერი მოთამაშეა და ბევრი რამ ძალუძს.

დუმისა ნგობე (ორლანდო პაირატსი; 25, 10) — სამხრეთ აფრიკული ფეხბურთის ლეგენდის შვილია და მამის მაკოდოს ჩრდილქვეშაა მოქცეული. ობიექტურად ნაკრებში მეტჯერ უნდა ეთამაშა, მაგრამ სახელოვანი მამის საქმის გამგრძელებელია, ასეთი მძიმე ტვირთის ზიდვა კი ცოტა არ იყოს, უჭირს.

ჯონ მოშოუ (ფენერბახჩე, თურქეთი; 32, 44) — ყველაზე ძვირადღირებული სამხრეთ აფრიკელი ფეხბურთელია, თუმცა „ფერენბახჩეს" მასში გადახდილი 4,2 მილიონი დოლარი არ უნანია. ნიჭიერია და ნაკრების წარმატების საფუძველსაც წარმოადგენს. მეტსახელად „ფეხსაცმელებს" (!) ეძახიან.

ბრენდონ საილენტი (ორლანდო პაირატსი; 25, 5) — ნაკრებში ადგილის დამკვიდრება უჭირს, კლუბის შემადგენლობაში კი 1995 წელს კონტინენტის ჩემპიონთა თასს ფლობდა.

ერიკ ტინკლერი (ბარნსლი, ინგლისი; 27, 30) — შესარჩევ ტურნირში ნაკრების პირველი გოლი გაიტანა, თუმცა მას შემდეგ წარუმატებლობა მუდამ თან სდევდა. ერთი [illegible] უკვე ყოფილ პრემიერლიგელ „ბარნსლის" ძირითადშიც დაჰკარგა ადგილი.

### თავდამსხმელები

ბრენდან ავგუსტინი (ლასკი, ავსტრია; 26, 26) — ავსტრიულ კლუბში კარგი სეზონი ჰქონდა. გამრჯე თავდამსხმელია, თუმცა ნაკრებში უმეტესწილად ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშებენ.

დელრონ ბაკლი (ბოხუმი, გერმანია; 20, ნაკრებში არ უთამაშია) — „ბოხუმის" მწვრთნელი კლაუს ტოპმიულერი ბაკლის „პატარა რონალდოს" ეძახის. ერთი წლის წინ მძიმე მუხლის ტრავმა მიიღო და ერთი ხანობა აღარ თამაშობდა, ახლა კი ქვეყნის ღირსების დასაცავად მზადაა.

ფილ მასინგა (ბარი, იტალია; 28, 41) — 14 გოლით ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია. ამ სეზონში როცა „ბარიმ" „ინტერი" და „მილანი" დაამარცხა, მასინგას გადამწყვეტი გოლები გაჰქონდა. 28 ივნისს 29 წლის გახდება.

ბენედიქტ მაკართი (აიაქსი, ჰოლანდია; 20, 10) — სამხრეთ აფრიკელთა იმედად ითვლება, მეტად მოძრავი და ამასთანავე, სახიფათო თავდამსხმელია, თუმცა ამსტერდამის კლუბში მაინც სათადარიგოდ ითვლება.

პოლენ ნდლენია (ბურსასფორი, თურქეთი; 28, 11) — მეორე სეზონია, თურქეთში თამაშობს. მართალია, გოლები ხშირად არ გააქვს, თუმცა მეტოქის მცველებს ბოჭავს, რითაც მეორე თავდამსხმელს ხელ-ფეხს უხსნის. ნაკრებში სათადარიგოდ ითვლება.

# თეთრი შამანი



ზუსტად ათი წლის წინ საფრანგეთის მესამე დივიზიონის ერთ-ერთი პროვინციული კლუბის მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რომ გაივლიდა წლები და იგი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდის თავკაცი გახდებოდა. მაშინ, 1988 წელს, ეს წარმოუდგენელი ჩანდა, დღეს კი რეალობაა — სამხრეთ აფრიკის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ფრანგი ფილიპ ტრუსიე უხელმძღვანელებს. კაცი, რომელმაც შავ კონტინენტზე მოპოვებულ წარმატებებით საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. მეტიც, გულშემატკივრებმა მას თეთრი შამანი შეარქვეს.

პირველად იყო კოტ დივუარი. კონკრეტულად კი ამ ქვეყნის არაფრით გამორჩეული კლუბი აბიჯანის ASEC-ი. ამაყი ფრანგი მწვრთნელის აფრიკული კარიერა სწორედ სპილოს ძვლის ნაპირეთში იწყება და წარმატებითაც. ორ წელიწადში ASEC-ი არა მარტო შინაურ სარბიელზე, შავ კონტინენტზეც ამინდს ქმნიდა — მიღწეული წარმატებებით აბიჯანელ ფეხბურთელებს შორის გაუვარდათ სახელი, თავად ტრუსიე კი, სანამ სხვა, გაცილებით ძლიერი საფეხბურთო ქვეყნები მიიწვევდნენ, ქვეყნის პირველი გუნდის გასაწვრთნელად კოტ დივუარელებმა იხმეს. შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა — ნაკრებმა, ისტორიაში პირველად, 1992 წელს აფრიკის თასი მოიგო. ან უკვე სამხრეთ აფრიკელთა თავკაცი ამაყი კაცია და მითითებებს ვერ იტანს. სწორედ ამის გამო მიატოვა მან კოტ დივუარელთა წვრთნა — მავანთა მითითებები მობეზრდა.

შემდეგ იყო სამხრეთაფრიკული კლუბი „კაიზერ ჩიფსი", მაროკოს „რაჯა კასაბლანკა" და ნიგერიის ნაკრები. ყველა ზემოჩამოთვლილ გუნდს ფრანგი მწვრთნელის ხელი უმალ დაეტყო. წარმატება წარმატებას მოსდევდა, მაგრამ სამგანვე იჩინა თავი უკვე კარგად ცნობილმა პრობლემამ — ტრუსიემ დარიგებები და შენიშვნები არ იკადრა და სამივე გუნდს გაეცალა. სხვათა შორის, ნიგერიელებს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური სწორედ მან მოუპოვა.

ტრუსიეს ერთ ადგილზე გაჩერება შეუძლებელია, ჭირვეული ხასიათის გამო, თუმცა მის ნიჭს და შესაძლებლობებს ყველა აღიარებდა. „იქ, სადაც ტრუსიე მიდის, წარმატება გარანტირებულია" — წერდა მაროკოს გაზეთი „ისტად მეტიგი". მართლაც, არ ყოფილა შემთხვევა, აფრიკის კონტინენტზე ტრუსიეს ხელმძღვანელობით გუნდს ჯილდო არ მოეგო. თუნდაც მუდამ მარჩენალა ბურკინა ფასოს ნაკრები ავიღოთ — აფრიკის ფეხბურთის აუტსაიდერი გუნდი ტრუსიეს ხელმძღვანელობით ორიოდ თვეში კონტინენტის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა.

სამხრეთაფრიკელებს მწვრთნელის სწამთ. დიდი იმედი აქვთ იმის, რომ თეთრი შამანი მათ საყვარელ გუნდს, „ბაფანა ბაფანას" წარმატებებს მოუტანს. თავად ტრუსიეს რაც შეეხება, იგი ღრმადაა დარწმუნებული, რომ გუნდი ქვეჯგუფიდან გავა.

ცოტაც მოვიცადოთ. მსოფლიოს ჩემპიონატამდე თვეზე ნაკლები რჩება. ყველაფერი საფრანგეთში გამოჩნდება.



# განგსტერი კეიპტაუნიდან

— არ ვიცი, რით ავხსნა ჩემი წარმატება. ალბათ, ღვთისგან ბოძებული ნიჭი მაქვს — სწორედ ასე განაცხადა 20 წლის ბენედიქტ, იგივე ბენი მაკართიმ, როცა უსახური სამხრეთაფრიკული კლუბიდან პირდაპირ ამსტერდამის „აიაქსის" შემადგენლობაში მოხვდა.

ნიჭიერი რომ არ ყოფილიყო, ჰოლანდიური კლუბის სელექციონერები ანც მაკართის გუნდში არც მიიწვევდნენ, მაგრამ აქ მხოლოდ ტალანტთან არ გვაქვს საქმე. მაკართის უბრალოდ გაუმართლა! საოცარი არ არის, 18 წლის ბიჭი სამხრეთ აფრიკის საშუალო გუნდ „სევენ სტარზში" ბურთაობდა, უცბად, ერთ წელიწადში კი „აიაქსთან" ერთად ჰოლანდიის ჩემპიონი გახდეს?

ყველაფერი კი ასე დაიწყო: კეიპტაუნის გარეუბანში დაბადებული მაკართი ისეთ წრეში ტრიალებდა, სადაც ადამიანი ხეირს არ უნდა ელოდე. ირგვლივ ყაჩაღები, ერთთავად ავისმქმნელობაზე მაფიქრალი ხალხი ტრიალებდა, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მათ ფეხბურთი ძლიერ უყვარდათ. გამონაკლისი არც მაკართი გახლდათ, თუმცა ჭაბუკმა ბოლო ხანებამდე განგსტერთა ბუდე „ჰანოვერ პარკს" და საფეხბურთო მოედნებს შორის არჩევანი ვერ გააკეთა.

საბოლოოდ მაინც ნათელმა სძლია ბნელი — შარშან მაროკოში, აფრიკის 20 წლამდე ფეხბურთელთა ჩემპიონატში ნათამაშევი ოთხად-ოთხი მატჩი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ყველასთვის უცნობი „სევენ სტარზის" თავდამსხმელი ტიტების ქვეყანაში, სახელგანთქმულ „აიაქსში" გადაბარგებულიყო.

— იგი ნიჭიერია, მაგრამ თუ კვლავ იქ დაბრუნდება, სადაც გაიზარდა, თავს დაიღუპავს. ნიჭს გაფრთხილება უნდა, ბენი კი შესაძლებლობებს ვერ აფასებს. მას ჯერ კიდევ სჭირდება დალვინება — ეს სიტყვები ამსტერდამელთა თავკაცმა მორტენ ოლსენმა იანვარში განაცხადა, აფრიკის თასის მორიგი გათამაშების წინ.

იქ, ბურკინა ფასოში, 20 წლის ბენი მაკართიმ ნამდვილი ფურორი მოახდინა — შესანიშნავი თამაში, შვიდი გოლი, საყოველთაო აღიარება და ყველაფრის ამის ჯილდოდ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ შერაცხვა. ყმაწვილკაცს მხოლოდ იმან დასწყვიტა გული, რომ ნაკრები ფინალში ეგვიპტესთან დამარცხდა.

და სწორედ მაშინ, როცა სამხრეთ აფრიკაში „მაკართიზმი" მძვინვარებს, ნაკრების ფრანგმა თავკაცმა ფილიპ ტრუსიემ აიაქსელი ფორვარდის გუნდში მოხვედრა ეჭვქვეშ დააყენა, თუმცა ისიც განაცხადა, გუნდის გარეთ ისეთი არავინ დარჩება, სიკეთის მოტანა რომ შეეძლოთ.

# დანია

## ფრთხილად, ფეთქებადია!

— რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ბოლო ორ მატჩში მაქსიმუმს უნდა მივაღწიოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონატი ოცნებადლა დაგვრჩება — ეს სიტყვები ნაკრების თავკაცმა ბო იოჰანსონმა სარაევოში, ბოსნიელებთან 0:3 განადგურების შემდეგ წარმოთქვა. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დასასრულამდე რჩებოდა ორადორი შეხვედრა და თითქოსდა გაქარწყლებული იმედები.

საერთოდ, დანია ისეთი გუნდია, უცნაური წაგებები რომ სჩვევია. სარაევოში სწორედ ასე მოხდა — მასპინძლებს საშუალოზე სუსტი გუნდი ჰყავდათ, თუმცა სტუმრებმა იმდენი ქნეს, სანამ სამი ბურთი არ გაუშვეს. მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ მეორედ თამაშის შანსი ჩამოქროლილმა ქარმა ლამის წაიღო, თუმცა „დინამიტებმა“ (დანიელთა მეტსახელია) თავიანთი მაინც გაიტანეს — ბოლო ორი მეტად პრინციპული შესარჩევი მატჩი ხორვატიასთან და საბერძნეთთან მათ სასიკეთოდ დასრულდა. ბო იოჰანსონმა გუნდს უპირველეს საფეხბურთო ტურნირში თამაშის შესაძლებლობა არგუნა.

როცა ევროპის 1992 წლის ჩემპიონებმა ოთხი წლის შემდეგ ნისლიან ალბიონზე ტიტულის დაცვა ვერ შეძლეს, ქვეყნის ფეხბურთის განმგებლებმა სახელოვან რიქარდ მიოლერ ნილსენთან განშორება არჩიეს. მისი საქმის გამგრძელებელმა შვედმა ბო იოჰანსონმა კი პირველივე დღეს გუნდის გაახალგაზრდავების იდეა წამოჭრა. მართლაც, დანიელებს საკმაოდ ასაკოვანი ფეხბურთელები ჰყავდათ, თუმცა, იოჰანსონის განზრახვის მიუხედავად, გუნდს გაახალგაზრდავებისა მაინცდამაინც არაფერი დასტყობია — რამდენიმე ახალი მოთამაშის მიწვევით დასრულდა ყველაფერი. ან კი რომელი ვეტერანი უნდა შეეცვალა იოჰანსონს? პეტერ შმაიხელი, ძმები ლაუდრუპები, იან ჰაინცე, ოლე ბიური თუ სხვები? გუნდის ხერხემლის შეგნებულად გატეხვა როგორ იქნებოდა და შვედიც ბებრების, მაგრამ მაინც ლიდერთა იმედად დარჩა. როგორც ჩანს, ბევრისთვის საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატი უკანასკნელი დიდი ტურნირი იქნება კარიერაში. აი მიქაელ ლაუდრუპი კი საერთოდაც თავს ანებებს ფეხბურთს. სხვათა შორის, იგი ერთადერთია დანიელთაგან, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ უთამაშია — 1986 წელს მექსიკაში.

პრებენ ელკიაერ ლარსენი დიდი მოთამაშე იყო და ფეხბურთზე ერთი-ორი სიტყვაც ეთქმის. ბევრისგან განსხვავებით, იგი სულელურ აზრებს არ აფრქვევს — ერთს იტყვის და გონივრულს. შესარჩევი ტურნირის დასრულებისას რომ ჰკითხეს თქვენი ქვეყნის ნაკრებზე რას ფიქრობთო, უპასუხა, თუ ისე ვიბურთავეთ როგორც ბოსნიელებთან, ჯგუფში ბოლო ადგილზე გავალთ, ხოლო თუ ბერძნებთან თამაშის დარად გავირჯებით, ბევრი შეგვეძლებაო. ისე კი, ელკიაერ ლარსენმა გუნდის მაქსიმუმად მეოთხედფინალი მიიჩნია — ფეხბურთელები კი კარგი გვყავს, მაგრამ ისინი ისევე ვერ არიან გუნდური თამაშისას ძლიერნი, როგორც, ვთქვათ, ინდივიდუალურადო. ვერაფერს იტყვი, ჩინებული, ზედგამოჭრილი შეფასებაა. „დინამიტების“ შემადგენლობას რომ გადახედო, კაცი იფიქრებს, ბურთიც ამათი ყოფილა და მოედანიცო, მაგრამ მთლიანობაში ისინი ერთიან, მონოლითურ გუნდს ვერ ქმნიან. საფრანგეთში თუ ნაკრები მარცხს იწვნევს, მთავარი მიზეზი, ალბათ, ნაკრების შეუთამაშებლობა იქნება და არა მეტოქის სიძლიერე.

წლეულს დანიელებმა ძირითადი შემადგენლობით პირველად შოტლანდიელებთან ითამაშეს (იანვარში დანიის ერთვნული გუნდის სახელით მეორე ნაკრებმა აზიაში ოთხი შეხვედრა ჩაატარა) და იმარჯვეს კიდეც 1:0. თან სად? გლაზგოში. ის ერთადერთი გოლიც სქოთებს „გლაზგო რეინჯერსის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ბრაიან ლაუდრუპმა გაუტანა. მაშინ ერთთავად ნაკრების სიძლიერეზე ალაპარაკდნენ, ბო იოჰანსონის ტაქტიკის (კონტრშეტევებზე აგებული თამაში) სარგებლიანობაზეც თქვეს, მოთამაშეებიც აქეს. ერთი სიტყვით, უმნიშვნელო, ამხანაგური მატჩის მოგებამ დანიელები გაადიდგულა. კიდევ კარგი, მომდევნო შეხვედრაში მასპინძლები კოპენჰაგენში ნორვეგიამ დაამარცხა, თორემ ნაკრების ნაკლოვანებებს გუნდის მესვეურნი, ალბათ, ვერც შენიშნავდნენ, ან თუ მიხვდებოდნენ შეცდომებს, გვიანღა. ის შეხვედრა ეგილ ოლსენის გუნდმა საუცხოოდ ითამაშა, მასპინძელთა შეტევები ხომ საერთოდ მოაშთო, გუნდი წელში გატეხა და ორი უპასუხო ბურთის გატანაც არ გასჭირვებია. მაშინ კი მიხვდნენ დანიაში, რომ გუნდი მართლაც არ იყო ისეთი უძლეველი, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა.

— მსოფლიო ჩემპიონატი უდიდესი ტურნირია. მოითხოვს უშრეტ ძალას და ენერგიას. დღესდღეობით დანია ვერაა სათანადოდ მზად, მაგრამ როგორც ვგეგმავთ, ივნისის შუა რიცხვებიდან შესამჩნევი პროგრესი უნდა გვქონდეს — სცადა ბო იოჰანსონმა ნორვეგიასთან შინ მარცხის გამო აღშფოთებული ჟურნალისტების დაშოშმინება. პროგრესი ივნისის შუა რიცხვებში გვექნებაო, ამბობს მწვრთნელი. იქნებ გამოთვლებში შეცდა, ნუთუ ჰგონია, რომ თანამდებობაზე დატოვებენ? არამც და არამც. უკვე დაიწყეს საუბარი იმის შესახებ, რომ შვედი თავკაცის ხელში ნაკრებმა წინსვლა ვერ განიცადა. მეტიც, ვერაფრით დაიძრა იმ ადგილიდან, სადაც რიქარდ მიოლერ ნილსენის დროს გაჩერდა. ახალმა მოთამაშეებმა კი მხოლოდ და მხოლოდ „ჭაობში ჩაძირულნი“ შეცვალეს.



დანიის ნაკრები. დგანან: შმაიხელი, მიქაელ ლაუდრუპი, ჰოგი, ტობიასენი, შიონბერგი, ჰელვეგი ; სხედან: ბრაიან ლაუდრუპი, მოლნარი, ჰაინცე, ფრანდსენი, ალან ნილსენი

რა ახალი ამბავია, რომ თამაშის მოსაგებად გოლის გატანაა საჭირო. ნამდვილი გოლეადორის მოძებნა კი დანიელთა ნაკრებში დღესდღეობით ჭირს. კაცმა რომ თქვას, იმავე პრებენ ელკიაერ ლარსენის შემდეგ გუნდში არც ყოფილა ისეთი თავდამსხმელი, რომლის მეტოქის საჯარიმოში გამოჩენაც გოლს მოასწავებდა. კი, მეტ-ნაკლებად გამოჩნდებოდნენ ხოლმე ფეხბურთელები, რომლებსაც გარკვეული ხნის განმავლობაში უმართლებდათ და ბომბარდირობაზეც აცხადებდნენ პრეტენზიას, მაგრამ საბოლოოდ ისინი მაინც ისტორიის წყვდიადში ინაცვლებდნენ.

— ებესი მწამს. მის თამაშს მუდამ თვალყურს ვადევნებ და ასე მგონია, უნდა გაამართლოს. ნიჭიერი ბიჭია, წმინდა თავდამსხმელია. აქვს გოლის უტყუარი ალღო — „ბრონდბიუს“ 25 წლის ფორვარდი ებე სანდი ბო იოჰანსონმა ასე დაახასიათა. სანდი მართლაც მეგოლეა, დანიის ჩემპიონატის ბომბარდირია და პირველსავე სეზონში სამ ათეულზე მეტი გოლი გაიტანა. მაგრამ განა დანიის ან თუნდაც სხვა ქვეყნის პირველობა მსოფლიო ჩემპიონატს შეედრება? განა „სილკებორგი“ და „კოპენჰაგენი“ იგივეა, რაც, ვთქვათ, იტალია ან გერმანია? დამეთანხმებით, არა. ცხადია, სანდს ასე ხელაღებით არ უნდა გადავუსვათ ხაზი, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე თუ რამეს მიღწევა გინდა, მხოლოდ ერთი თავდამსხმელის იმედად არ უნდა იყო. მართალია, დანიელთა ნაკრებში არიან სხვა ფორვარდებიც, თუნდაც ნიუკასლელი იონ დალ ტომასონი, მიდლსბროელი მიკელ ბეკი, ეინდჰოვენელი პეტერ მიოლერი, მაგრამ ესენი იმათ კატეგორიას განეკუთვნებიან, ათიდან ცხრა შემთხვევაში სახიფათო მომენტს რომ ვერ იყენებენ.

შეგნებულად არაფერი უთქვამთ ბრაიან ლაუდრუპზე. მწვრთნელმა იგი თავდამსხმელად კი მიიწვია და, ალბათ, წინა ხაზზეც ათამაშებს, მაგრამ უმცროსი ლაუდრუპი უფრო ნახევარმცველია, ვიდრე ფორვარდი. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლაუდრუპმა გოლები არ უნდა შეაგდოს, პირიქით, არაა გამორიცხული, საფრანგეთში თავდამსხმელებს აჯობოს, მაგრამ წინწაწეული ბრაიან ლაუდრუპისგან სარგებელი, ალბათ, უფრო ნაკლები იქნება. ნაკრები მაშინ უფრო იხეირებს, თუ იგი თავდამსხმელებსა და ნახევარდაცვას შორის იმოქმედებს.

ხშირად საუბრობენ ხოლმე დანიის ნაკრების სამ კოზირზე: მეკარე პეტერ შმაიხელზე და ძმებ ლაუდრუპებზე. შესაძლოა, ეს ასეცაა, მაგრამ თუ დავფიქრდებით, აღმოვაჩენთ, რომ შმაიხელი მეკარეა, ლაუდრუპები კი ნახევარმცველები. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი იქნება კითხვა — კი მაგრამ, დაცვა?

მივადექით ბო იოჰანსონის გუნდის აქილევსის ქუსლს. მართალია, მცველებმა შესარჩევი ტურნირის მატჩები, თუ არ ჩავთვლით ბოსნიასთან სტუმრად თამაშს, შესანიშნავად ჩაატარეს, მაგრამ მას შემდეგ გუნდის უკანა ხაზი ისე აირ-დაირია, მტერს არ უსურვებს კაცი. ვინც დანიელთა თამაშები ნახა, ალბათ იგუმანებდა — ნაკრებს თუ რაიმე დაღუპავს, ეს დაცვა იქნება. უკანახაზელებს შოტლანდიასთან რომ გაუმართლათ, ეს არაფერს ნიშნავს — აკი ნორვეგიასთან ყველაფერი ნათელი გახდა. იმ შეხვედრაში დანიას დაცვა, როგორც ასეთი, სრულიად არ ჰყავდა. მეტიც, ეს საერთოდ არ იყო გუნდი.

რამდენიმე ხნის წინ ბო იოჰანსონმა თქვა, მსოფლიოს ჩემპიონატზე, სავარაუდოდ, ხუთი მცველით ვითამაშებთო. საინტერესოა, რომელ ფეხბურთელებზე აპირებს მწვრთნელი დაყრდნობას? კანდიდატთაგან ყველაზე საიმედონი გერმანულ „ლევერკუზენში“ მოთამაშე იან ჰაინცე და „უდინეზეს“ უკანახაზელი ტომას ჰელვეგი არიან, მაგრამ მხოლოდ ორმა კაცმა რა უნდა ქნას? ცხადია, ნაკრებში არიან სხვა მცველებიც, მაგრამ მათი საიმედობა მეტად საეჭვოა. თუ მოხდა და დანიამ მართლაც ხუთი მცველით ითამაშა, ეს იოჰანსონის მხრივ სავსებით დროული გადაწყვეტილება იქნება, რადგან გუნდის მცველებისა და მეტოქეთა გათვალისწინებით ოთხი უკანახაზელით თამაში, ვგონებ, ყოვლად გაუმართლებელია.

ნაკრების შანსებზე და ბო იოჰანსონის გადაწყვეტილებების სარგებლიანობასა და მოთამაშეთა ავ-კარგზე ბევრი ითქვა. ბოლოს კი ერთ სახუმარო ამბავს დავძენ: მავან სამხრეთაფრიკელ მჩხიბავს, კეიპტაუნში უპირველეს მკითხავად და საშინელი ძალის პატრონად რომ იცნობენ, დანიელთათვის სასიკეთო ამბავი უმცნია — მართალია ჯგუფის ფავორიტად მასპინძელი საფრანგეთი ითვლება, მაგრამ მათ თავზე შავი ყორნები დავლანდე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფავორიტები ჯგუფში დარჩებიანო. იმავე შამანმა ჯგუფის გამარჯვებულად დანია დაასახელა, ბოლოს კი მოკრძალებულად დასძინა, სამხრეთი აფრიკა მეორე ადგილზე გავა და შემდეგ ეტაპს ისე უწევსო.

ვენდოთ აფრიკელ გრძნეულს?



რა დრო იყო, დიდებული, ქებული!



აი, ისიც! პრებენ ელკიაერ ლარსენი

### დანიელთა შეხვედრები ბოლო ორი წლის განმავლობაში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 14.04.96 | (ა) | კოპენჰაგენი | შოტლანდია | 2:0 | მ. ლაუდრუპი, ბ. ლაუდრუპი |
| 27.05.96 | (ა) | მიუნხენი | გერმანია | 0:2 | |
| 02.06.96 | (ა) | კოპენჰაგენი | განა | 1:0 | ჰელვეგი |
| 09.06.96 | (ეჩ) | შეფილდი | პორტუგალია | 1:1 | ბ. ლაუდრუპი |
| 16.06.96 | (ეჩ) | შეფილდი | ხორვატია | 0:3 | |
| 19.06.96 | (ეჩ) | შეფილდი | თურქეთი | 3:0 | ბ. ლაუდრუპი 2, ე. ნილსენი |
| 14.08.96 | (ა) | გიოტებორგი | შვედეთი | 1:0 | ბიური |
| 01.09:96 | (მშ) | ლუბლიანა | სლოვენია | 2:0 | ე. ნილსენი, შიონბერგი |
| 09.10.96 | (მშ) | კოპენჰაგენი | საბერძნეთი | 2:1 | ავტოგოლი, ბ. ლაუდრუპი |
| 09.11.96 | (ა) | კოპენჰაგენი | საფრანგეთი | 1:0 | ა. პედერსენი |
| 30.04.97 | (მშ) | კოპენჰაგენი | სლოვენია | 4:0 | ა. ნილსენი 2, ა. პედერსენი, ბ. ლაუდრუპი |
| 29.05.97 | (მშ) | სპლიტი | ხორვატია | 1:1 | ბ. ლაუდრუპი |
| 08.06.97 | (მშ) | კოპენჰაგენი | ბოსნია | 2:0 | რიპერი, მოლნარი |
| 20.08.97 | (მშ) | სარაევო | ბოსნია | 0:3 | |
| 10.09.97 | (მშ) | კოპენჰაგენი | ხორვატია | 3:1 | ბ. ლაუდრუპი, მ. ლაუდრუპი, მოლნარი |
| 11.10.97 | (მშ) | ათენი | საბერძნეთი | 0:0 | |
| 25.03.98 | (ა) | გლაზგო | შოტლანდია | 1:0 | ბ. ლაუდრუპი |
| 22.04.98 | (ა) | კოპენჰაგენი | ნორვეგია | 0:2 | |

შემოკლებანი: (ეჩ) — ევროპის ჩემპიონატი, (ა) — ამხანაგური მატჩი, (მშ) — მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი

### დანია მონაწილეობდა ერთ მსოფლიოს ჩემპიონატში 1986 წელს

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | +3 | =0 | −1 | 10:6 | |
| 1986 | | | | | |
| შოტლანდია | 1:0 | ელკიაერ ლარსენი | | | |
| ურუგვაი | 6:1 | ელკიაერ ლარსენი 3, ლერბიუ, მ. ლაუდრუპი, ი. ოლსენი | გფრ | 2:0 | ი. ოლსენი, ერიკსონი |
| | | | ესპანეთი | 1:5 | ო. ოლსენი |

# კაცი, რომელიც ადგილზე ვერ ჩერდება



მწვრთნელთაგან თუ ვინმეა ღირსი, მოხვდეს გინესის რეკორდების წიგნში, უპირველესად, ალბათ, დანიის ნაკრების შვედი თავკაცი ბო იოჰანსონი. რაც ამ კაცს სკანდინავური გუნდები ჰყავს გაწვრთნილი, ორი-სამი მისი კოლეგა ალბათ ერთად აღებული ვერ მოახერხებდა ამდენს. ისიც საკითხავია უმოღვაწია თუ არა ვინმეს ამდენ გუნდში.

...1962-ში 20 წლის ბო იოჰანსონმა პირველი ნაბიჯი გადადგა ფეხბურთში და შვედეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბ „კალმარს" თითქმის 12 წელი შერჩა. ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას იუჰანსონმა სამწვრთნელო აკადემიაში ჩააბარა და წარმატებით დაამთავრა ინსტიტუტი, მერე კი თავს გამოცდაც მოუმზადა — სადღაც გადაკარგულში, ქვეყნის მეოთხე დივიზიონის ერთ-ერთ პროვინციულ კლუბში გადაიხვეწა და მოთამაშე მწვრთნელის თანამდებობაზე დამკვიდრდა. ორ სეზონში ბო იოჰანსონის პირველი გაწვრთნილი გუნდი ქვეყნის მესამე დივიზიონში ამაღლდა. ორი წლის შემდეგ მშობლიურ, მაგრამ აწ უკვე უმაღლესი ლიგიდან გავარდნილ „კალმარს" უთავკაცა და უკან, უმაღლესში დააბრუნა. „კალმარს" მომდევნო სამი წლით მწვრთნელმა „ესტერი" ანაცვალა, შემდეგ კვლავ „კალმარი". განვლო ორმა წელიწადმა და სკანდინავიური ფეხბურთის მცოდნე ბო იოჰანსონი ნორვეგიულ „იერვში" აღმოჩნდა. იქიდან კვლავ „ესტერში" დაბრუნდა, ხოლო 1988-89 წლებში შვედი საერთოდაც საბერძნეთში გადაბარგდა და იქაურ „პანიონისს" უთავკაცა. ელადიდან იოჰანსონმა ორი წლით ისლანდიას მიაშურა, ამ ქვეყნის ეროვნული გუნდი ჩაიბარა. ისლანდიიდან იოჰანსონმა დანიაში ამოყო თავი და „სილკებორგი" ჩემპიონი გახადა. დანიიდან მისთვის ჯერ კიდევ „აუთვისებელ" ფინეთში გადაინაცვლა და ჰიკ-ს უხელმძღვანელა. მერე კი დანიის ნაკრების თავკაცი რიქარდ მიოლერ ნილსენი გადადგა და ამ ქვეყნის ფეხბურთის მამებმაც პირველი გუნდი შვედ მწვრთნელს ანდეს.

— მაშინ, 1986-ში დანია მერვედფინალში დამარცხდა. ჩემი მოღვაწეობის პერიოდში ეს მსოფლიოს ჩემპიონატი დანიელთათვის უდიდესი გამოცდა იქნება. მწამს, მალცვიმს მეორე ეტაპზე გასვლა, რისთვისაც, ცხადია, ძალას არ დავიშურებთ. და მაინც, მე როგორც მწვრთნელი, გუნდს მეოთხედფინალში გასვლას ვუსახავ. ამის პოტენცია დანიას ნამდვილად აქვს — ბო იო-ჰანსონი იმედიანადაა.

ორი წლის წინ, ევროპის ჩემპიონატზე შერცხვენის შემდეგ რიქარდ მიოლერ ნილსენი ნაკრებს გამოეთხოვა. თუ დანიელებს ახლაც თავი მოეჭრათ, შვედი მწვრთნელი, ალბათ, მორიგი გუნდის მებნას დაიწყებს. ისე, საინტერესოა, რატომ ვერ ჩერდება ეს კაცი ერთ ადგილზე.

# გულისსწორის მძებნელი

— გუშინდელი დღესავით მახსოვს პირველი ნაბიჯები ფეხბურთში. როცა ვარჯიშს ვიწყებდი, სრულიად უცნობი ხალხი მოდიოდა და მეუბნებოდა, რომ დადგებოდა დრო და ნაკრების კარს მანდობდნენ და სახელს საზღვარგარეთულ კლუბში თამაშით მოვიხვეჭდი. მათ სიტყვებში ეჭვი წამითაც არ მეპარებოდა — პეტერ შმაიხელს ყველაფერი აუხდა. ახოვანმა დანიელმა მეკარემ სახელი შინ კი არა, ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშისას გაითქვა, ნაკრების კარს კი 90-იან წლებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სულ იგი იცავს.

დანიელთა ყველა მეტოქის თავდამსხმელები ეცდებიან, დალაშქრონ შმაიხელის კარი, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იქნება. ხანგრძლივი კარიერის მანძილზე გამოწრთობილი მეკარისთვის ბურთის გატანა ნამდვილად არაა იოლი და მიუხედავად იმისა, რომ შმაიხელი ფეხბურთელთათვის კრიტიკულ ასაკს მიუახლოვდა (35 წლისაა) გაცილებით ახალგაზრდებს ტოლს არ უდებს.

მაშინ, შორეულ 1984 წელს, პროფესიონალურ ფეხბურთში ფეხადგმული პეტერ ბოლოსლავ შმაიხელი ვერც წარმოიდგენდა, რომ მისი კარიერა ბრწყინვალედ წარიმართებოდა. პოლონელი მამისა და დანიელი დედის შვილს ფიზიკური მონაცემები ხელს უწყობდა გამოცდილ მეკარეთათვის კონკურენცია გაეწია. 1987 წელს, კოპენჰაგენის „ჰვიდოვრეში" გატარებული სამი წლის შემდეგ, შმაიხელი დანიის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა, „ბრონდბიუმ" მიიწვია, სადაც ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი გახდა. სწორედ ბრონდბიუდან იწყება მისი კარიერის აღმასვლა. კლუბში სადებიუტო წელს შესანიშნავი თამაშის გამო შმაიხელს ახალგაზრდული ნაკრების კარიც ანდეს, მას შემდეგ კი სულ უფრო და უფრო ხშირად უწევდა ქვეყნის ეროვნული გუნდის ღირსების დაცვა.

1991 წელს ახდა გულშემატკივართა და უპირველეს ყოვლისა თავად შმაიხელის ოცნება — „ბრონდბიუს", აღმავლობის გზაზე შემდგარმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" მეკარის სანაცვლოდ, ახლა სასაცილო, იმ დროისთვის კი საკმაოდ სოლიდური თანხა 924 ათასი დოლარი გადაუხადა და არც უნანია. პირიქით, რაც შმაიხელმა მანჩესტერელთათვის შეძლო, იშვიათად გაუკეთებია რომელიმე უცხოელს სხვა ქვეყნის კლუბისთვის — მეკარის და ცხადია, არამარტო მისი შესანიშნავი თამაშის წყალობით, თითქმის 25-წლიანი შესვენების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედმა" ინგლისის ოთხი ჩემპიონატი მოიგო, 1994 და 1996 წლებში კი დუბლიც შეასრულა. ერთი სიტყვით, „იუნაიტედში" შმაიხელის გამოჩენას წარმატებები მოჰყვა.

და რა ხდებოდა ამ დროს ნაკრებში? — კლუბისგან განსხვავებით, სადაც მეკარეს სეზონში რამდენიმე ჯილდო მაინც ჰქონდა დაბევებული, ნაკრებში შმაიხელმა ერთადერთ, მაგრამ მაინც ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია — 1992 წელს შვედეთში ჩატარებულ ულიმლამო ევროპის ჩემპიონატის ერთადერთ ნათელ მოგონებად სწორედ დანიის ნაკრები იქცა, გუნდი, რომლის კარიც შმაიხელს ებარა.

...იმ ჩემპიონატის მეტად დრამატულ ნახევარფინალში, დანიამ პენალტებით სძლია ჰოლანდიას, მერე კი გერმანიას გადამწყვეტი მატჩიც მოუგო. ნახევარფინალში ჰოლანდიელთაგან დიდებულმა მარკო ვან ბარტენმა ვერ გაიტანა, შმაიხელმა აუღო. მას შემდეგ მარკო შმაიხელის საყვარელი ფეხბურთელია. ამბობენ, საფრანგეთში შმაიხელი ახალი სიყვარულის ძებნაში იქნებაო. ვნახოთ.



# ნაკრების კანდიდატები

### მეკარეები

**პეტერ შმაიხელი** (მანჩესტერი, ინგლისი, 34 წლის, ნაკრებში 96 მატჩი) — გამოირჩევა ურთულესი ბურთების მოგერიების უნარით, თუმცა ხანდახან ისეთ გოლებს უშვებს, გასაკვირია. სახელი პრემიერლიგაში თამაშისას დაიგდო, სადაც „ბრონდბიუდან" გადავიდა 1991 წელს. დანიის და ინგლისის ოთხ-ოთხ გზის ჩემპიონია. მატჩისას უყვარს თანაგუნდელთა „რბილად გალანძღვა".

**მოგენს კროგი** (ბრონდბიუ, 34, 7). 1991 წელს „ბრონდბიუში" შმაიხელის ნაცვლად აიყვანეს. ნაკრებში პირველად 1992 წელს ითამაშა თურქების წინააღმდეგ. ძალუძს პენალტების მოგერიება. მართალია, შმაიხელის სიძლიერის ვერაა, მაგრამ მაინც საიმედოა.

**პეტერ ვიერი** (სილკებორგი, 32, 0) — იანვარში, ტაილანდში გამართულ მეფის თასის გათამაშებაში დანიის ნაკრების სახელით მოასპარეზე ქვეყნის მეორე გუნდში ითამაშა. 1994 წელს ნაკრების ახლანდელი მწვრთნელის ბო იოჰანსონის ხელმძღვანელობით მოთამაშე „სილკებორგში" დანიის ჩემპიონი გახდა.

### მცველები

**სორენ კოლდინგი** (ბრონდბიუ, 25, 3) — მუშა და მოუღლელი მცველია. ნაკრებში პირველად 1996 წლის ნოემბერში ითამაშა ფრანგთა წინააღმდეგ, ხოლო შესარჩევი ტურნირის ბოლო შეხვედრაში, ათენში ბერძნებთან 0:0 დასრულებულ მატჩში, უძლიერესი გახლდათ.

**იეს ჰოგი** (ფენერბახჩე, თურქეთი, 32, 35) — ფეხბურთელი, თუ მას ჰოგი მეურვეობს, თამამად შეიძლება, თამაშიდან გამოთიშულად ჩავთვალოთ. ნახევარდაცვაშიც უნარიანად ირჯება. ფლობს ხუთ უცხოურ ენას.

**იაკობ ლაურსენი** (დერბი, ინგლისი, 26, 21) — პრემიერლიგაში ევროპის 1996 წლის შემდეგ გადაბარგდა. თავის დროზე დანიის ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ.

**მარკ რიპერი** (სელტიკი, შოტლანდია, 29, 51) — არ აქვს სისწრაფე, მაგრამ კომპენსაციას დაცვაში დინჯი თამაშის ხარჯზე აკეთებს. ძლიერია საჰაერო ორთაბრძოლისას. ნაკრებში პირველი გოლი 47-ე მატჩში შეაგდო. „სელტიკში" „ვესტ ჰემიდან" გადავიდა.

### ნახევარმცველები

**იან ჰაინცე** (ლევერკუზენი, გერმანია, 34, 37) — 1996 წელს, ფრანგებთან 1:0 მოგებულ შეხვედრაში დააბრუნეს ნაკრებში თითქმის ოთხწლიანი შესვენების შემდეგ. კლუბის შემადგენლობაში შარშან, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ ორივე შეხვედრაში ძლიერად ითამაშა.

**მიქაელ შიონბერგი** (კაიზერსლაუტერნი, გერმანია, 31, 26) — ფიზიკურად ძლიერი მარცხენა მცველია. ბევრჯერ გადამწყვეტი გოლებიც გაუტანია. 1992 წელს „ჰანოვერის" შემადგენლობაში გერმანიის თასი მოუგია, წელს კი ბუნდესჩემპიონის სახელიც მოიპოვა.

**ტომას ჰელვეგი** (ჰამბურგი, გერმანია, 22, 0) — ნაკრებში არ უთამაშია, თუმცა ამის დიდი შანსი აქვს. იმედისმომცემი ლიბეროა.

**ტომას ჰელვეგი** (უდინეზე, იტალია, 26, 28) — 1993 წელს სერია A-ში „ოდენსედან" გადავიდა და იქ კარგი თამაშის გამო ნაკრებშიც მიიწვიეს. ძლიერია მეურვეობისას, ასევე თავდასხმაშიც უნარიანად ირჯება. 24 ივნისს 27 წლისა გახდება.

**ბიარნე გოლბეკი** (კოპენჰაგენი, 29, 11) — ახლა დანიის ყველაზე ტიტულოვან გუნდში კი ირჯება, მაგრამ მანამდე ბუნდესლიგურ „კაიზერსლაუტერნში" „შალკესა" და „კიოლნში" თამაში მოუსწრია. მეტად გამოცდილია.

**მორტენ ვიგჰორსტი** (სელტიკი, შოტლანდია, 27, 9) — ქვეყნის პირველ გუნდში პირველად 1994 წელს კი ითამაშა, მაგრამ მას შემდეგ ნაკრებში იშვიათად ჩნდებოდა. „სელტიკამდე" შოტლანდიურსავე „დანდიში" ირჯებოდა.

**პერ ფრანდსენი** (ბოლტონი, ინგლისი, 28, 10) — საოცარია, მაგრამ ფაქტია: ნაკრებში პირველად 1990 წელს ითამაშა, თუმცა ერთი წლის შემდეგ ფრანგულ „ლილში" გადასვლას გუნდში ადგილის დაკარგვა მოჰყვა.

**ალან ნილსენი** (ტოტენჰემი, ინგლისი, 27, 16) — ერთი პირობა მიუნხენის „ბაიერნის" შემადგენლობაში ირჯებოდა. გამრჯე ნახევარმცველი ნაკრებში პირველად ბო იოჰანსონმა მიიწვია. ამბობენ ლექსებს წერსო.

**მარტინ იორგენსენი** (უდინეზე, იტალია, 22, 2) — კარგა ხანი ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდს კაპიტნობდა და იქ ნათამაშევი მატჩების მიხედვით დღემდე რეკორდსმენია. „უდინეზეში" შარშან ზაფხულს გადავიდა.

**მიქაელ ლაუდრუპი** (აიაქსი, ჰოლანდია, 33, 97) — ნაკრებში ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც უთამაშია. იტალიის ორგზის, ესპანეთის ხუთგზის და ჰოლანდიის ჩემპიონია. ბრწყინვალე ნახევარმცველია. მახვილგონივრული პასების ნიჭი აქვს. მოედნის შეუდარებელი ხედვა ახასიათებს.

**ოლე ბიური** (ბრონდბიუ, 29, 3) — ორიოდ წლის წინ დაასრულა ხუთწლიანი კარიერა მიონხენგლადბახის „ბორუსიაში". 1996 წელს შვედებთან 1:0 მოგებულ მატჩში პირველად დაიცვა ქვეყნის ღირსება და გადამწყვეტი გოლიც შეაგდო.

### თავდამსხმელები

**იონ დალ ტომასონი** (ნიუკასლი, ინგლისი, 21, 4) — სანამ პრემიერლიგაში გადავიდოდა, ჰოლანდიურ „ჰერენვენში" 18 გოლით ბომბარდირი გახდა. სამწუხაროდ, „ნიუკასლის" ძირითადში ადგილი ვერ დაიმკვიდრა.

**მიკელ ბეკი** (მიდლსბრო, ინგლისი, 25, 14) — ნაკრებში ქვეყნის ახალგაზრდული გუნდიდან ალზევდა. თამაშობდა გერმანიის „კიოლნში".

**მიკლოშ მოლნარი** (სევილია, ესპანეთი, 28, 8) — არადანიური წარმოშობის თავდამსხმელი „სევილიამდე" ლიეჟის „სტანდარდში", ფრანგულ „სენტ ეტიენისა" და შვეიცარიულ „სერვეტში" თამაშობდა. 1997 წელი კი „ლუნგბიუს" შემადგენლობაში შეგდებული 26 გოლით ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა. ესპანეთიდან მიწვევაც სწორედ ამ წარმატებას მოჰყვა.

**ებე სანდი** (ბრონდბიუ, 25, 1) — ჩემპიონატში ზედიზედ რვა შეხვედრაში 18 გოლი შეაგდო და ნაკრებშიც ამის შემდეგ დაუძახეს. ეხერხება თავით თამაში. ფეთქებადი ხასიათის მოთამაშეა. ქალებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

**ბრაიან ლაუდრუპი** (რეინჯერსი, შოტლანდია, 29, 75) — 1992 წელს ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებული გუნდის წევრია. ძლიერია ნახევარდაცვაში და თავდასხმაში თამაშისას. „რეინჯერსამდე" იტალიურ „ფიორენტინაში", „მილანში" და გერმანულ „ურდინგენსა" და „ბაიერნში" თამაშობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუდეთი

## შეძლური მენავთოზენი

კიდევ კარგი, ფეხბურთში ფული არაა მთავარი, თორემ მსოფლიო თასი სპარსეთის ყურეს ვერ გასცდებოდა — შავი ოქროს, ნავთობის წყალობით სპარსეთის ყურის ქვეყნები, ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, უმდიდრესნი არიან. ფული კი, მოგეხსენებათ, ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია.

საუდეთში ნავთობის აღმოჩენის შემდეგ იქაურობა აყვავდა და სულ რამდენიმე წელიწადში უდაბნო ულამაზესმა ქალაქებმა შეცვალა. 40 წლის წინ საუდეთში ფეხბურთს არავინ უყურებდა სერიოზულად, ისევე, როგორც სამხრეთ აფრიკაში. მსოფლიოს ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობას იქაც მხოლოდ უცხოელები მისდევდნენ, ის ხალხი, ვინც საუდეთში ნავთობის ასათვისებლად იყო ჩასული. მიუხედავად თავდაპირველი გულგრილობისა, მალე ფეხბურთს საუდელი მიმდევრებიც გამოუჩნდნენ და 1959 წელს საუდეთის ფეხბურთის ფედერაციაც დააარსეს, რომელიც იმავე წელს გაწევრიანდა ფიფაში. მიუხედავად პროგრესული საფეხბურთო ცხოვრებისა, ნაკრების შექმნას არც მეტი, არც ნაკლები, 17 წელი დასჭირდა.

ქვეყანაში ფეხბურთის განვითარება მეფე ფახდის ხელისუფლებაში მოსვლას მოჰყვა. უმდიდრესმა შეიხმა ფეხბურთის განვითარების საქმეში წარმოუდგენლად დიდი თანხა — 500 მილიონი დოლარი ჩადო. განა შესაძლებელია, ამდენ ფულს შესამჩნევი წინსვლა არ მოჰყოლოდა? ცხადი გახდა, საუდელ მოთამაშეთა პრესტიჟი აშკარა იქნებოდა. აკი ასეც მოხდა.

ნაკრების დებიუტი მსოფლიოს ჩემპიონატზე 1978 წელს შედგა. შესარჩევი ტურნირის პირველი წრე საუდელებმა კი დაძლიეს (სირიას სძლიეს ორი მატჩის ჯამში 2:0 და 1:2), მაგრამ მეორე ეტაპზე გაცილებით გამოცდილმა ირანმა მათ სასტიკი მარცხი აწვნია 0:2 და 0:3. ხელი კი მოეცარათ, მაგრამ საუდეთში მუხლჩაუხრელი შრომა არ შეჩერებულა და მალე ნაყოფიც მოიმკეს — 1984, 86 და 88 წლებში ნაკრები ზედიზედ ხდება აზიის კონტინენტის უპირველესი გუნდი, ხოლო 1989 წელს ქვეყნის 16-წლამდელთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატშიც იმარჯვა. სხვათა შორის, იმ ტურნირში გამარჯვებული გუნდიდან შვიდმა ფეხბურთელმა 1994 წელს, აშშ-ში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშა.

საუდეთის ფეხბურთის მოკლე ისტორიაშიც არის ისეთი თარიღები და შემთხვევები, რომელზე საუბარიც არ ბეზრდებათ იქაურ გულშემატკივრებს.

არაბი ქომაგების ერთ-ერთი საყვარელი თემა „უდაბნოს პელედ“ შერაცხული მაჯიდ მუჰამედ აბდელაჰია, კაცი, რომელსაც არაოფიციალური ცნობებით ნაკრებში ჩატარებულ 167 შეხვედრაში 118 გოლი შეუგდია. მუჰამედ აბდელაჰი, გარდა ფენომენალური მიღწევებისა, გულშემატკივართა საყვარელი მოთამაშეცაა და მეტსახელი „უდაბონის პელეც“ სწორედ გოლის უტყუარი ალღოს გამო შეარქვეს. სხვათა შორის, 36 წლის მუჰამედ აბდელაჰმა ოთხი წლის წინ ამერიკაშიც ითამაშა, თუმცა თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში, პირველივე მატჩში ჰოლანდიელებთან მიღებულმა ტრავმამ შეუშალა ხელი.

საუდეთის ფეხბურთის ისტორიის კიდევ ერთი ოქროს ფურცელი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ბელგიელებთან ჯგუფური ტურნირის მოგებული მატჩია. მაშინ საიდ ალ ოვაირანის ბრწყინვალე (ფეხბურთელი რამდენიმე ბელგიელ მეტოქეს გასცდა და შემდეგ დალაშქრა პრიუდომის კარი) და თან ერთადერთი გოლის წყალობით, საუდელებმა არამარტო მეორე ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს, არამედ მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად გაიუმჯობესეს — საუდეთის მეფე ფახდმა შვილ და ამავდროულად საუდეთის უფლისწულ ფაისალს დაავალა, ნაკრების თითოეული მოთამაშისთვის 100 ათასი დოლარი გადაეცა (შედარებისთვის — ბრაზილიელებს ეს თანხა რომ მიეღოთ, მსოფლიო ჩემპიონატის მოგება დასჭირდათ) და თან „მერსედესის“ გასაღებები ჩაებარებინა. ეგ კიდევ არაფერი, მავანმა მეცენატმა მაჰმუდ საიდმა თითოეულ მოთამაშეს 33 ათასი დოლარი და წმინდა სისხლის არაბული ცხენები უსახსოვრა, ხოლო საუდეთში შვედური საავტომობილო გიგანტ „ვოლვოს“ წარმომადგენელმა ვაფა ზოვაკიმ ფირმის ავტომობილები დაურიგა ნაკრების თითოეულ წევრს. ვერაფერს იტყვი, ამხელა პრემიები და ჯილდოები მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიელებსაც არ მიუღიათ. თქვენ წარმოიდგინეთ, საუდელები, ფინალზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თუნდაც მეოთხედფინალში რომ გასულიყვნენ, პრემიალური რა ოდენობის იქნებოდა!

საბედნიეროდ, ფეხბურთში ფული არ წყვეტს ყველაფერს. საუდელებიც ერთ-ერთ უმდიდრეს, მაგრამ მაინც საშუალო გუნდად რჩებიან, თუმცა საფრანგეთში მათი პრეტენზიები, ალბათ, გასცდება მხოლოდ ტურნირში მონაწილეობის ფარგლებს. ნაკრების თავკაცი ხომ კარლოს ალბერტო პარეირაა!

ასეთი მწვრთნელის ხელში ყველა გუნდი წარმატებებზე იფიქრებდა, თუმცა თუ რეალურად ვიმსჯელებთ, გამოდის რომ საუდელთათვის წარმატებაში ჯგუფიდან გასვლა იგულისხმება და არა, ვთქვათ, გაჩემპიონება. სხვათა შორის, ოთხი წლის წინ ბრაზილიელთა თავკაცი პარეირა ბოლო სამ წელიწადში საუდელთა მერვე მწვრთნელია. ხელმძღვანელთა ხშირი ცვლა კი ნაკრებს აშკარად ატყვია. არაა გამორიცხული, გუნდში მიმდინარე მუდმივმა ცვლილებებმა და მილიონობით გაღებულმა დოლარმა სასიკეთოდ კი არა, პირიქით, დამღუპველადაც იმოქმედოს. თუმც თავიანთი საქმისა თავად საუდელებმა უწყიან.



საუდელთა ნაკრები. დგანან: ზებრამავი, ალ ხილაივი, ხამიზ ალ დოსარი, სულიმანი, ალ მუვაილიდი, ალ დეაიეა ; სხედან: ალ მეჰალელი, ალ ჰარბი, ობაიდ ალ დოსარი, ალ ჯაჰანი, ალ ტემავი

## ნაკრების კანდიდატები

### მეკარეები

**მუჰამედ ალ დეაია** (ალ ტეი; 25 წლის, ნაკრებში 94 მატჩი) — ნაკრებში საიუბილეო მეასე მატჩის თამაში საფრანგეთში სურს.

**ჰუსეინ ალ სადიყი** (ალ კადისიჰი; 24,64) — უმეტესწილად ალ დეაიას სათადარიგოდ ითვლება, ისე კი ძირითადშიც ხშირად ათამაშებენ, თუმცა მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში.

**ტურქი სალეჰ ავადი** (ალ ჰილალი; 25, ნაკრებში არ უთამაშია) — ქვეყნის ღირსება წამითაც არ დაუცავს და ამის გამო, ალბათ, საფრანგეთშიც არ ითამაშებს.

### მცველები

**აჰმად ჯამილ მადანი** (ალ იტიჰადი; 28,94) — შემტევი მცველია და მეტად საიმედო უკანახაზელი. იმპროვიზაციას ალმერთებს, რაშიც გამოცდილებაც უწყობს ხელს.

**მუჰამედ ალ ხილაივი** (ალ იტიჰადი; 28, 86) — სავარაუდოდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრების დაცვის ბურჯად მოგვევლინება.

**მუჰამედ ალ ჯაჰანი** (ალ აჰლი; 22, 64) — საუდეთში მისგან ბევრს ელიან. ნიჭიერ მცველად ითვლება. შეიძლება ნაკრების ძირითადშიც ანდონ ადგილი. მცველის კვალობაზე საკმაოდ ტექნიკურია.

**აჰმედ ალ დოსარი** (ალ ჰილალი; 22,12) — ბოლო შეხვედრებში ისე კარგად გაისარჯა, შეიძლება, მსოფლიო ჩემპიონატზე გაცილებით გამოცდილი უკანახაზელები შეცვალოს.

**აბდულა ზუბრამავი** (ალ აჰლი; 24,83) — თავის დროზე საუდის ახალგაზრდული გუნდის კაპიტანი გახლდათ. უძლიერესია ფეხბურთელის მეურვეობისას.

**ჰუსეინ სულიმანი** (ალ აჰლი; 21,40) — მეტად ემოციური ყმაწვილია, რის გამოც კარიერაში უკვე ექვსჯერაა გაძევებული.

**მუჰამედ ალ საჰაფი** (ალ იტიჰადი; 22,4) — ზანტი, მაგრამ საიმედო მცველია. მწვრთნელები, ალბათ, მაინც სათადარიგოდ გამოიყენებენ.

**აბდულაზიზ ალ ჯანუბი** (ალ ნასრი; 24,3) — გუნდში ადგილის დამკვიდრება ძალიან უნდა გაუჭირდეს.

### ნახევარმცველები

**ქამის ალ ოვაირანი** (ალ ჰილალი; 24,48) — საიდ ალ ოვაირანის ბიძაშვილს შეიძლება ნათესავის დარად არ ძალუძდეს ბურთთან მოპყრობა, მაგრამ ფეხბურთის თამაში რომ შეუძლია, ეს ნათელია.

**ქამის ალ ზაჰრანი** (ალ იტიჰადი; 21,10) — ნაკრებიდან თავის დროზე ედუარდო ვინგადამ გააძევა, შემდგომი მწვრთნელების დროს კი ძირითადად შეცვლაზე ათამაშებდნენ.

**იბრაჰიმ ალ ხარბი** (ალ ნასრი; 22, 47) — 1996 წელს ნაკრების აზიის თასზე გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. გამოცდილების ხარჯზე ბოლო ხანებში ნაკრების მუდმივი წევრია. უძლიერესად ურტყამს შორიდან.

**ქალიდ ალ მუვალიდი** (ალ აჰლი; 26, 91) — აშშ-ს მსოფლიოს ჩემპიონატზეც უთამაშია. მისმა პენალტმა ნაკრებს ორი წლის წინ აზიის თასი არგუნა.

**ჰამზა სალეჰი** (ალ აჰლი; 31, 38) — ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე მასაც უთამაშია. მას შემდეგ კი ფორმაში ვერ იყო. ბოლო სეზონში ბრწყინვალედ ითამაშა და კრიტიკოსებს ტკბილი სიტყვებიც დასტყუა.

**ფუად ამინი** (ალ შაბაბი; 25, 95) — აშშ-ში ორი გოლის შეგდება მოახერხა. გასულ წელს კი კლუბი საუდეთის ჩემპიონი გახადა. დღესდღეობით ყველაზე მეტი მატჩი აქვს ნაკრებში ნათამაშევი.

**ნავაფ ალ ტემიატი** (ალ ჰილალი; 22, ნაკრებში არ უთამაშია) — საუდეთის ფეხბურთის ნათელ მომავლად ითვლება.

### თავდამსხმელები

**სამი ალ ჯაბერი** (ალ ჰილალი; 25, 85) — ხშირად ხვდება სიმბოლურ ნაკრებში, რაც მის სიძლიერეზე მიუთითებს. სწრაფია და ამასთანავე ტექნიკურიც.

**ფაჰად ალ მეჰალელი** (ალ შაბაბი; 27, 85) — კლუბშიც და ნაკრებშიც გადამწყვეტი გოლების გატანა სჩვევია.

**საიდ ალ სვაირანი** (ალ შაბაბი; 30,55) — 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ძლიერი თამაშის შემდეგ წარმატებამ გონება დაუბინდა, რაც ნაკრებიდან გაძევებად დაუჯდა. ახლა ვერ არის კარგ ფორმაში.

**ობაიდ ალ დოსარი** (ალ ვეჰდა; 22, 61) — როცა ასაკი ხელს უწყობდა და ქვეყნის ოლიმპიურ გუნდში თამაშობდა, ვარსკვლავი გახლდათ, ახლა კი...

**საიდ ალ დოსარი** (ალ რიადი; 21, ნაკრებში არ უთამაშია) — მსოფლიოს ჩემპიონატზე უმეტესწილად, ალბათ, შეცვლებზე ითამაშებს.

**იბრაჰიმ ალ შაჰრანი** (ალ აჰლი; 23, 19) — შესარჩევ ტურნირში ოთხი გოლი გაიტანა და ამის გამო გუნდშიც დაიბევა ადგილი. უმეტესწილად შეცვლებზე ათამაშებენ.



## მილიონები გართობისთვის

ოთხი წლის წინ, აშშ-ში ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი დაუმარცხებლად, მეოთხედ მოიგო და გუნდის მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა მხოლოდ ამის შემდეგ შერაცხეს ეროვნულ გმირად.

დღესდღეობით პარეირას საუდეთის ნაკრების საჭე აბარია, ამ ქვეყანაში კი გმირად გაცილებით ადვილად შერაცხავენ, ვიდრე ბრაზილიაში. საუდეთში საყოველთაო აღიარების მოსაპოვებლად ერთი-ორი გამარჯვება და ქვეჯგუფიდან გასვლაა საჭირო.

...1982 წელს ესპანეთში, პარეირა ქუვეითის უსუსტეს ნაკრებს თავკაცობდა. 1990 წელს იგი საამიროებს ხელმძღვანელობდა, ოთხი წლის წინ კი ბრაზილიას.

სხვათა შორის, ზაფხულში პარეირა ბორა მილუტინოვიჩთან ერთად რეკორდის თანამფლობელი გახდება — პარეირაც და მილუტინოვიჩიც მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე სხვადასხვა გუდის თავკაცებად მოგვევლინებიან.

და ბოლოს. რაოდენ წარმოუდგენელიც უნდა მოგვეჩვენოს პარეირას საუდელები ნაკრების გაწვრთნის საზღაურად წელიწადში 3 მილიონ დოლარს უხდიან.

### საუდეთი მონაწილეობდა ერთ მსოფლიოს ჩემპიონატში 1994 წ.

| 4 | +2 | =0 | −2 | 5:6 |
|---|---|---|---|---|

| 1994 | | |
|---|---|---|
| ჰოლანდია | 1:2 | ამინი |
| მაროკო | 2:1 | ალ ჯაბერი, ამინი |
| ბელგია | 1:0 | ალ ოვაირანი |
| შვედეთი | 1:3 | ალ გამიანი |

### საუდელთა შედეგები ბოლო ორი წლის განმავლობაში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.01.96 | (ა) | ჯედა | განა | 1:1 | ალ დოსარი |
| 24.01.96 | (აშ) | რიადი | ყირგიზეთი | 3:0 | ? |
| 28.01.96 | (აშ) | რიადი | იემენი | 4:0 | ? |
| 31.01.96 | (აშ) | რიადი | ყირგიზეთი | 2:0 | ? |
| 04.02.96 | (აშ) | რიადი | იემენი | 1:0 | ? |
| 22.09.96 | (ა) | რიადი | ზამბია | 2:1 | ალ მეჰალელი |
| 25.09.96 | (ა) | დამამი | ზამბია | 1:3 | ალ სუიდი |
| 03.10.96 | (ა) | დამამი | ახალი ზელანდია | 3:0 | ? |
| 09.10.96 | (ა) | დამამი | ავსტრალია | 0:0 | |
| 15.10.96 | (ა) | მუსკატი | ომანი | 1:0 | ? |
| 19.10.96 | (ა) | მუსკატი | ყატარი | 2:2 | ჯამილი, ალ ჯაბერი |
| 21.10.96 | (ა) | მუსკატი | ბაჰრეინი | 3:1 | ? |
| 24.10.96 | (ა) | მუსკატი | ქუვეითი | 0:1 | |
| 27.10.96 | (ა) | მუსკატი | საამიროები | 2:2 | ალ ტემავი 2 |
| 06.11.96 | (ა) | რიადი | ბულგარეთი | 1:0 | მუსაიდი |
| 16.11.96 | (ა) | ჯება | სირია | 3:1 | ? |
| 27.11.96 | (ა) | დამამი | ინდონეზია | 4:1 | ალ მეჰალელი 2, ალ ჯამამი, ფალატაჰი |
| 05.12.96 | (ათ) | დუბაი | ტაილანდი | 6:0 | ალ ტემავი 2, ალ მეჰალელი 2, ალ მუვალიდი, ალ ჯაბერი |
| 08.12.96 | (ათ) | დუბაი | ერაყი | 1:0 | ალ მეჰალელი |
| 11.12.96 | (ათ) | დუბაი | ირანი | 0:3 | |
| 16.12.96 | (ათ) | აბუ დაბი | ჩინეთი | 4:3 | ალ ტინიანი 2, ალ ჯაბერი, ალ მეჰალელი |
| 18.12.96 | (ათ) | აბუ დაბი | ირანი | 0:0 (პენ 4:3) | |
| 21.12.96 | (ათ) | აბუ დაბი | საამიროები | 0:0 (პენ 2:4) | |
| 02.03.97 | (ა) | რიადი | სირია | 3:0 | ? |
| 04.03.97 | (ა) | რიადი | სირია | 1:1 | ? |
| 16.03.97 | (მშ) | კუალა ლუმპური | ტაივანი | 2:0 | ალ შაჰრანი, ო. ალ დოსარი |
| 18.03.97 | (მშ) | კუალა ლუმპური | მალაიზია | 0:0 | |
| 20.03.97 | (მშ) | კუალა ლუმპური | ბანგლადეში | 4:1 | ალ მუვალიდი, ალ ტემავი, ალ შაჰრანი, ალ მეჰალელი |
| 27.03.97 | (მშ) | ჯედა | ბანგლადეში | 3:0 | ალ ჯაბერი, ალ მეჰალელი, ამინი |
| 29.03.97 | (მშ) | რიადი | მალაიზია | 3:0 | ალ მუვალიდი 2, ო. ალ დოსარი |
| 31.03.97 | (მშ) | ჯედა | ტაივანი | 6:0 | ალ ჯაბერი 3, ალ მუვალიდი, ა. ალ დოსარი, ალ ზაჰრანი |
| 14.09.97 | (მშ) | რიადი | ქუვეითი | 2:1 | ალ მეჰალელი 2 |
| 19.09.97 | (მშ) | თეირანი | ირანი | 1:1 | ალ საედი |
| 03.10.97 | (მშ) | ბხენგი | ჩინეთი | 0:1 | |
| 11.10.97 | (მშ) | რიადი | ყატარი | 1:0 | ალ მეჰალელი |
| 17.10.97 | (მშ) | ქუვეითი | ქუვეითი | 1:0 | ალ მუვალიდი |
| 24.10.97 | (მშ) | რიადი | ირანი | 1:0 | ალ მუვალიდი |
| 06.11.97 | (მშ) | რიადი | ჩინეთი | 1:1 | ალ მუვალიდი |
| 12.11.97 | (მშ) | დოჰა | ყატარი | 1:0 | ალ ჯაბერი |
| 12.12.97 | (კთ) | რიადი | ბრაზილია | 0:3 | |
| 14.12.97 | (კთ) | რიადი | მექსიკა | 0:5 | |
| 16.12.97 | (კთ) | რიადი | ავსტრალია | 1:0 | ალ ხილაივი |
| 22.02.98 | (ა) | რიადი | გერმანია | 0:3 | |
| 04.05.98 | (ა) | ნიცა | იამაიკა | 0:0 | |
| 09.05.98 | (ა) | კოტ დ ასური | ტობაგო | 2:1 | ალ ჯაბერი, ალ ოვაირანი |
| 12.05.98 | (ა) | ნიცა | ისლანდია | 1:1 | ალ ჯაბერი |
| 17.05.98 | (ა) | ნიცა | ნამიბია | 2:1 | ალ ჯაბერი, სოვაიედი |

შემოკლებანი: (ა) — ამხანაგური მატჩი, (აშ) — აზიის თასის შესარჩევი, (ათ) — აზიის თასი, (მშ) — მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი; (კთ) — კონფედერაციათა თასი

# ახალი კაპიტანი, ახალი საფიქრალი

ევროპაში სირცხვილნაჭამი საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები 18 მაისს, დიღომში, „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე მზადებას შეუდგა. ახლა ეროვნულ გუნდს მძიმე დრო უდგას. ახალი მწვრთნელების მოსვლას თაობათა ცვლაც დაერთო. ვეტერანთა ადგილს შედარებით ახალგაზრდები იკავებენ. ეს, ადრე თუ გვიან, მაინც უნდა მომხდარიყო და დღეს, როდესაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის არანაირი შანსი აღარ დაგვრჩენია, მწვრთნელების ცდა გუნდი გააახალგაზრდავონ, ერთგვარად გამართლებულიც კია. სასწრაფოდ მოსაძებნია გზა, რომელიც ქართულ კალათბურთს ჩიხიდან გამოიყვანს და ჩვეულ ლაზათს დაუბრუნებს. ამისათვის კი თავდაუზოგავი შრომაა საჭირო. შრომა, რომელსაც დაფასებაც უნდა. მარტო ენთუზიაზმით კი...

ვესაუბრეთ გუნდის მთავარ მწვრთნელს **ლევან მოსეშვილს.**

— ამას შეკრებას პირობითად თუ დავარქმევთ. ჩვეულებრივი ვარჯიშია. დავუკავშირდი ბიჭებს და ბაზაზე დავიბარე. ზოგს ჯერაც ვერ მივაწვდინეთ ხმა. მაგალითად, მამუკა აბრამიძე ბათუმში იმყოფება და არც იცის, თუ ნაკრებშია გამოძახებული. არანაირი პირობები არ არსებობს გუნდის მოსამზადებლად. ასეთ სიტუაციაში რაიმე წარმატებებზე ფიქრიც კი ზედმეტია.

**— შევიტყვეთ, რაღაც ტურნირისთვის ემზადებით.**

— 21-23 ივნისს მოსკოვში ტარდება საერთაშორისო ტურნირი, სადაც რუსეთის, ისრაელისა და ხორვატიის ნაკრებებთან ერთად საქართველოც იასპარეზებს. აგრეთვე მიმდინარეობს მოლაპარაკება ესპანეთისა და საფრანგეთის ძლიერ გუნდებთან. დამეთანხმებით, ეს ქვეყნები ამინდს ქმნიან დღევანდელ საკალათბურთო ევროპაში და მათთან პაექრობა ერთობ საპატიოა. უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირის მთელი ხარჯები რუსეთის მხარემ იკისრა. ეს ბიჭებისთვის დიდი სკოლა იქნება და ჩვენც მაქსიმალურად შევეცდებით, სრულად გამოვავლინოთ ჩვენი შესაძლებლობები.

**— ნაკრებს ახალი კაპიტანი ჰყავს — ვატო ნაცვლიშვილი. როგორ მოხდა მისი არჩევა?**

— 22 წლამდე ასაკის ნაკრებსაც ვატო კაპიტნობდა და თავის მოვალეობას კარგად ართმევდა თავს. მე წამოვაყენე მისი კანდიდატურა და გუნდმაც ერთხმად დაუჭირა მხარი. ამით მისი პასუხისმგებლობა ერთი-ორად გაიზარდა. ახლა ვატომ მარტო კარგი თამაში არ უნდა იკმაროს, მას გაცილებით ბევრი მოეთხოვება.

**— მეტად მწვავეა გამთამაშებლის პრობლემა.**

— ქართული კალათბურთი, ისე, როგორც არასდროს, ამ ამპლუის მოთამაშეთა ნაკლებობას განიცდის. ამის მიზეზი ბავშვთა კალათბურთში უნდა ვეძიოთ, თუმცა ახლა ამაზე საუბარი არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. შეკრებაზე ვუხმეთ ვახტანგ იაშვილს, რომელიც მოსკოვის „დინამოში" ასპარეზობს და წარმატებითაც. გარკვეული მიზეზების გამო არ ხერხდება ირაკლი ვაშაკიძის ჩამოსვლა. იგი დღესდღეობით მოსკოვის „სპარტაკის" წამყვანი გამთამაშებელია და რუსულ პრესაშიც საკმაოდ მაღალ შეფასებას იმსახურებს. მისით „ცსკას" მთავარი მწვრთნელი ერიომინიც სერიოზულად დაინტერესებულა და შესაძლოა, ირაკლი გაისად ამ გუნდში ვიხილოთ. დღე-დღეზე შემოგვიერთდება აბრამიძე. მამუკა ნიჭიერი კალათბურთელია და ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. გამოვცადით რეზო ჩხეიძესაც, რომელსაც გამთამაშებლად უთამაშია ისრაელში, თუმცა, ვფიქრობ, რეზო მაინც მეორე ნომერია. მხედველობაში გვყავს აჩიკო ჟღენტიც. მისი საკალათბურთო ინტელექტი სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნაკრებში ადგილის მოსაპოვებლად ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესება დასჭირდება. მთელი დატვირთვით ვარჯიშობს ირაკლი ხოშტარიაც.

**— სიტყვამ მოიტანა და რა ბედი ელით დასკვალიფიცირებულ ხოშტარიასა და შენგელიას?**

— ჩემი აზრით, ბიჭები ძალიან მკაცრად დასაჯეს. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ქვეყნის ინტერესებიც უნდა გაეთვალისწინებინათ. მათ, ფაქტობრივად, დაასრულეს 25 წლის მოთამაშის კარიერა. ეროვნულმა და ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამის თაობაზე თხოვნით მიმართა ფედერაციას. იმედი მაქვს მათი გულისხმიერების. ეს ისევ ქართულ კალათბურთს წაადგება სასიკეთოდ.

**— მთელი საქართველო მოიცვა ინფორმაციამ სტეფანია-ნაცვლიშვილის დრაფტზე წარდგენის თაობაზე. თქვენი აზრი გვაინტერესებს.**

— ეს ინფორმაცია „სპორტ-ექსპრესმა" გაავრცელა. ფაქტი თავისთავად მისასალმებელია. ვფიქრობ, ეს სამომავლოდ წინ გადადგმული ნაბიჯია.

**— დაბოლოს, ნაკრებში არ ჩანან სტეფანია, ბერძენიშვილი, ბოისა. რით ახსნით ამ ფაქტს?**

— სტეფანია თავის კლუბში ვარჯიშობს და ამ ეტაპზე მისი გამოძახება არ ჩავთვალეთ საჭიროდ. თუმცა ვოვა გუნდისთვის დიდი ძალაა და იმედია, მოსკოვის ტურნირისთვის შემოგვიერთდება. ბერძენიშვილს კი ვერ შევეხმიანეთ. დავუკავშირდით გუნდის უფროსს, რომელმაც დახმარება აღგვითქვა და დათოც, ალბათ, მალე ჩამოვა თბილისში. რაც შეეხება ბოისას, იგი ჭაბუკთა ნაკრებს დავუთმეთ, რომელიც ოლიმპიადაზე საასპარეზოდ ემზადება. გვყავს ახალწვეულნიც: ოთიურიძე, კილაძე, გიგი ნაცვლიშვილი. ჩვენ მათ თავის გამოჩენის შანსი მივეცით. ვნახოთ, როგორ ჩაჯდებიან გუნდის მონახაზში. საერთოდ, მინდა განვაცხადო, რომ ნაკრების კარი რჩეულთათვის ყოველთვის ღიაა.



ვატო ნაცვლიშვილი

გურამ წიწქიშვილის ფოტო

*ბაზაზე მისულნი ნაკრების ახალგამომცხვარ კაპიტანს რომ არ გავსაუბრებოდით, როგორ იქნებოდა. ჰოდა, ვატოც მოვიხელთეთ.*

— ორი დღეა, ჩამოვედი პორტუგალიის ქალაქ ოლივეირადან, სადაც ადგილობრივ კლუბ „კასაროლას" ღირსებას ვიცავდი. გუნდთან ნახევარწლიანი კონტრაქტი მაკავშირებდა, რომლის დამთავრების შემდეგ შინ დავბრუნდი. წინადადება ბევრი მაქვს, მაგრამ აჩქარება არ ივარგებს. ცოტა ხანს კიდევ დაველოდი, ვნახოთ, ვინ რას შემომთავაზებს. შემდეგ ყველაფერს ავწონ-დავწონი და ისეთ ნაბიჯს გადავდგამ, ჩემი კარიერის აღმასვლას რომ შეუწყოს ხელი.

**— ორიოდ სიტყვით დრაფტზეც გვითხარით.**

— დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით. მეც და სტეფანიაც მესამე ჯგუფის სიაში შეგვიყვანეს. ამას უფრო რეკლამის სახე ჰქონდა.

**— კაპიტნობა როგორ აღიქვით?**

— ჩვეულებრივად. მეც მეთქმის გუნდში ჩემი სიტყვა. ალბათ, ამან განაპირობა მწვრთნელების და თანაგუნდელების ნდობა, რაც ბოლომდე უნდა გავამართლო.

**— ამ შესარჩევ ტურნირში ნაკრების გამოსვლას როგორ შეაფასებ?**

— ხუთმა წაგებამ, თაქტობრივად, ყველაფერი დაასრულა. ახლა იმაზე უნდა ვიზრუნოთ, როგორმე ჯგუფში მეოთხე ადგილზე გავიდეთ, რათა მომავალში საკვალიფიკაციო წრის გაუვლელად, პირდაპირ ჩავებათ გათამაშებაში. ნაკრებს უნდა ჩამოუყალიბდეს საკუთარი სტილი, მთავარი ყურადღებაც ამას უნდა მივაპყროთ. ჩვენ მომავლის გუნდი ვართ და დარწმუნებული ვარ: მოვა დრო ჩვენს სიტყვას ვიტყვით ევროპაში.

**გიორგი ბიძაშვილი**

## კონფერენციების ფინალები

გრძელდება

19 მაისი

**იუტა 2 ლეიკერსი 0**

**იუტა 99:95 ლეიკერსი**

**იუტა:** სტოქტონი (22), ჰორნაჩეკი (11), რასელი (10), მელოუნი (33), ფოსტერი (6); ანდერსონი (8), მორისი (5), კიფი (2), კარი (2), ვონი, ეისლი, ოსტერტაგი

**ლეიკერსი:** ფიშერი (12), ჯონსი (19), ფოქსი (7), ჰორი (1), ონილი (31); ბრაიანტი (9), ვან ექსელი (9), ბლაუნტი (7), კემპბელი, ბერი

წინა თამაშში სირცხვილნაჭამმა ლეიკერსმა ძალა მოიკრიბა და მეორეში მასპინძლები გვარიანად აანერვიულა, მაგრამ ვარსკვლავებით გაჭედილი ლეიკერსის ოთხი ოლსტარელიდან სანაქებოდ მხოლოდ შაკილ ონილმა და ედი ჯონსმა ითამაშეს, ბრაიანტი და ვან ექსელი კი ერთობ უგერგილოდ ირჯებოდნენ. ორივემ ერთად 22 სროლიდან მხოლოდ 7 ჩააგდო, რამაც მატჩზე გარკვეული გავლენა იქონია. ბოლომდე მხოლოდ შაკი იბრძოდა, მაგრამ ეს მთაკაცი მელოუნ-სტოქტონის დუეტთან და მათ თანაგუნდელებთან მაინც ვერას გახდა. მელოუნი იმ დღეს შეუდარებელი იყო და სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულის ხელიდან გაშვება ლეიკერსთან ჩაგდებული 33 ქულით აღნიშნა. ონილმა კი მატჩის დამთავრებამდე 45 წამით ადრე მეტრნახევრიდან ააცილა და განრისხებულს მსაჯი სტივ ჯეივი შემოელახებოდა, თავის მწვრთნელ დელ ჰარისს მოედნიდან რომ არ გაეთრია.

## აღმოსავლეთი

**ჩიკაგო 2 ინდიანა 0**

**ჩიკაგო 104:98 ინდიანა**

**ჩიკაგო:** ჰარპერი (7), ჯორდანი (41), პიპენი (21), კუკოჩი (16), ლონგლი (6); უენინგტონი (6), კერი (3), როდმანი (2), ბარელი (2), სიმპკინსი, ბიუჰლერი, ბრაუნი

**ინდიანა:** ჯეკსონი (8), მილერი (19), მულინი (18), დ. დევისი (9), სმიტსი (17); ა. დევისი (14), მაკკი (9), როუზი (2), ბესტი (2), ფოფი

იუტას დარად ჩიკაგომაც მოიგო შინ მეორე თამაში და, როგორც ჩანს, წელსაც შარშანდელი ფინალის — ჩიკაგო-იუტას გამეორებას უნდა ველოდოთ. ჩიკაგოში კვლავ გაიბრწყინა მაიკლ ჯორდანმა, ვინც პლეი ოფებში უკვე 35-ედ გადააბიჯა 40-ქულიან ზღვარს. ამ მატჩში მას უკვე მხარში ამოუდგნენ ტონი კუკოჩი და სკოტი პიპენი. განსაკუთრებით ეს უკანასკნელია აღსანიშნავი. მან ორივე ფართან მშვენივრად ითამაშა და 21 ქულასთან ერთად მშობლიურ გუნდს 6 მოხსნა, 5 პასი, 5 ჩაჭრა და 3 დაფარება შეაწია. ინდიანა კი ამ მატჩშიც არ გამოიყურებოდა ურიგოდ, მაგრამ მაინც დამარცხდა და ახლა შინ თამაშებიღა დარჩენია იმედად.

# სდაასუ! სდაასუ!



თეიმურაზ ქორიძე

უკვე მესამე წელია, საქართველოს საკალათბურთო ელიტაში დამკვიდრდა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის გუნდი — სდასუ. მისი სახელი უკვე კალათბურთის ყველა გულშემატკივარმა იცის. სდასუმ საპრიზო სამეულისაკენ სვლა, რომელიც შარშან და შარშანწინ შედეგიანად ვერ დასრულდა, ბოლოს და ბოლოს წარმატებით დააგვირგვინა. სანუკვარი მიზანი მიღწეულია — გუნდი მე-7 ჩემპიონატის მესამე პრიზიორი გახდა.

თუ ადრე გუნდებში მთავარ ფიგურებს მწვრთნელები და მოთამაშეები წარმოადგენდნენ, დღევანდელობამ განსაკუთრებული როლი გუნდის პრეზიდენტს მიაკუთვნა, რადგან უამისოდ უკვე წარმოუდგენელია მეტ-ნაკლებად ძლიერი გუნდის შექმნა. სდასუ-ს გუნდის პრეზიდენტი უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი თეიმურაზ ქორიძე გახლავთ. სწორედ მისი მეცადინეობით გახდა შესაძლებელი საქართველოს პირველობაზე ისეთი გუნდი გამოჩენილიყო, რომელიც მეტოქეობას გაუწევდა ქართული კალათბურთის აღიარებულ ლიდერებს.

**— ბატონო თეიმურაზ, რატომ მაინცდამაინც კალათბურთი აირჩიეთ უმაღლეს სასწავლებელში სპორტის პრიორიტეტულ სახეობად?**

— ჯერ ერთი, სტუდენტობისას თავადაც კალათბურთს ვთამაშობდი. გარდა ამისა, სტუდენტების მხრიდანაც ინტერესი სწორედ სპორტის ამ სახეობამ მიიპყრო. როცა გუნდს ვაყალიბებდით, იმაზეც ვფიქრობდით, რომ ქვეყანაში მაშინ არსებული ქაოსის და განუკითხაობის პერიოდში ხელი შეგვეწყო სტაბილიზაციისთვის. ლექციების გარდა ახალგაზრდები კიდევ რაიმეთი დაგვეკავებინა, დაგვეინტერესებინა და ამას მივაღწიეთ.

**— ბევრი თვლიდა, რომ სდასუ დიდხანს არ იარსებებდა, თქვენი გუნდი კი საქართველოს პირველობაში უკვე ანგარიშგასაწევი ძალაა...**

— 95-ში პირველი ლიგის შეჯიბრში გავიმარჯვეთ. უმაღლეს ლიგაში ჩვენ მოსვლას ბევრი სკეპტიკურად უყურებდა. თვლიდნენ, რომ ამით შემოვიფარგლებოდით. ჩვენ კი მეოთხე ადგილი დავიკავეთ, რადგან თავიდანვე დავისახეთ მიზნად, ძლიერი გუნდი შეგვექმნა, რომელიც საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებდა.

**— ბოლოს და ბოლოს წელს პრიზიორობას მიაღწიეთ.**

— მართალი რომ გითხრათ, პრიზიორი ჩვენ უკვე შარშან უნდა გავმხდარიყავით, როდესაც მთელი სეზონი კარგად ჩავატარეთ, მეორე ადგილის პრეტენზიაც გვქონდა, საბოლოოდ კი დავმარცხდით „აზოტთან", რომელსაც ჩვემპიონატში ოთხივე მატჩი მოვუგეთ. ეს მსაჯების შეცდომებით იყო გამოწვეული. ერთხელ პრაქტიკულად მოგებული მატჩიც ჩაიშალა და მოკლედ, არანორმალურ ვითარებაში დავკარგეთ მესამე ადგილი. წელს უფრო მაღალი ადგილისკენ მივესწრაფოდით, მაგრამ ნიკოლოზ დერიუგინმა ტრავმა მიიღო და შუა სეზონში გამოგვაკლდა. ის კი ჩვენს ჩემპიონატში რა ძალაა, კარგად მოგეხსენებათ.

არსებულ სიტუაციაში შედეგით მაინც კმაყოფილი ვარ. ამ წარმატებაში დიდი როლი შეასრულა მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა, რომელიც შუა სეზონში მოვიდა და გუნდის წარმატებაშიც წვლილი მიუძღვის.

**— ისე ჩანდა, რომ სდასუ-ს ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავს?**

— გარდა იმისა, რომ მთელი უნივერსიტეტი ჩვენს გუნდს გულშემატკივრობდა, კიდევ ბევრი ქომაგი გვყავდა. ეს, ჩემი აზრით, იმიტომაცაა, რომ სდასუ ყოველთვის ლამაზ კალათბურთს თამაშობს და თავშეკავებული ქცევითაც გამოირჩევა. სხვა გუნდების დარად მსაჯებთან ჩხუბსა და ლანძღვა-გინებაში არ ატარებს დროს.

**— გუნდის წარმატებებმა უმაღლეს სასწავლებელში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას თუ შეუწყო ხელი?**

— ატმოსფეროს უპირველესად სასწავლო პროცესი ქმნის, მაგრამ კალათბურთმაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. როცა უმაღლეს სასწავლებელს ასეთი ძლიერი გუნდი ჰყავს, ესე იგი მტკიცედ დგას ფეხზე და მისით სასწავლების სტუდენტებიც ამაყობენ. გარდა ამისა, გუნდმა უნივერსიტეტის სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლები გააერთიანა. ჩვენთან ოთხი ფაკულტეტია და სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები ერთმანეთს არც იცნობდნენ, ახლა კი, როცა გუნდს ყველა გულშემტკივრობს, ერთმანეთს გაუშინაურდნენ და ერთ მთლიან ერთეულად გადაიქცნენ.

**— გუნდში ძლიერ მოთამაშეებს იწვევთ?**

— სხვათა შორის, ასე არაა. ჩვენთან უმეტესად ჩვენი სასწავლებლის სტუდენტები სწავლობენ. გია სანაძე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია, ჩვენი სტუდენტია რეზო ჩხეიძეც. გიორგი ჩხეიძემ კი სდასუ დაამთავრა.

**— ევროთასებზე თუ აპირებთ თამაშს, თქვენ ხომ პირველობის პრიზიორი გახდით?**

— ამის საშუალება ჯერჯერობით არა გვაქვს. ევროთასზე მონაწილეობას დიდი სახსრები უნდა. საერთაშორისო კონტაქტებს კი ვეძებთ. შარშან წლის ბოლოს ინგლისში, კემბრიჯის, ოქსფორდისა და ლონდონის უნივერსიტეტში ვიყავი ჩვენი და მათი უნივერსიტეტების თანამშრომლობისთვის საფუძველი რომ ჩამეყარა, პარალელურად საკალათბურთო საკითხებიც გამოჩნდა. მოლაპარაკებული ვიყავი ინგლისის ეროვნულ ნაკრებთან, თუ სდასუ ამ სეზონში ჩემპიონი გახდებოდა, ინგლისელები ლონდონში მიგვიწვევდნენ და ჩამოვიდოდნენ თბილისში სათამაშოდაც. ორივე შემთხვევაში ხარჯები მათი იქნებოდა. წელს ჩვენ ჩემპიონები ვერ გავხდით, მაგრამ პირობა კვლავ ძალაში რჩება.

**— ე.ი. ჩემპიონობას აპირებთ?**

— ჩვენ ისევ ძლიერი გუნდის შექმნას ვაპირებთ. გამოგვაკლდა დერიუგინი, რომელიც ფეხის ტრავმის გამო თამაშის თავს ანებებს. იგი დიდი სპორტსმენია საერთაშორისო მასშტაბით და მასთან ერთად თამაში დიდი სკოლა იყო ახალგაზრდებისთვის. წელს „ვითაში" მთავარ როლს შარშანდელი ჩვენი მოთამაშეები — მამუკა აბრამიძე, ალეკო დავითულიანი და ზურაბ ჩუბინიძე ასრულებდნენ, მაგრამ გუნდი მაინც ძლიერი დარჩა. ჩვენ ახლა სასელექციო სამუშაოებს ვატარებთ. ჩვენთან თამაშის სურვილი გამოთქვა რამდენიმე მოთამაშემ, რომელთა დასახელება ჯერ არ მინდა. ზოგიერთი, ალბათ, კიდეც დაგვტოვებს, უმთავრესად ისინი, ვინც არ ემორჩილება გუნდის დისციპლინას, არ ასრულებს მწვრთნელის მითითებებს. სამწუხაროდ, ასეთნიც არიან.

მაგრამ სდასუ მიღწეულით არ დაკმაყოფილდება და უმაღლესი მიზნებისკენ მიისწრაფის.

**ილია მხეიძე**

# ჯორდანი კვლავ საუკეთესოა

18 მაისს, ფინალური სერიების მეორე თამაშების წინა დღეს, ნიუ იორკში, NBA-ს შტაბბინაში გამოვლინდა 1997-98 წლების სეზონის უძვირფასესი მოთამაშე. ამ ტიტულის მპყრობელი, რაღა თქმა უნდა, მაიკლ ჯორდანი გახდა უკვე მეხუთედ. ლეგენდარულ მაიკლს ჯილდო ასევე ხუთგზის უძვირფასესმა 60-იანი წლების სუპერცენტრმა ბილ რასელმა გადასცა. ჯორდანმა შორს გაუსწრო გასული სეზონის საუკეთესოს — კარლ მელოუნს. აღსანიშნავია სანანტონიელი ახალბედა ტიმ დანკანის მეხუთე ადგილი, რომელიც პირველივე სეზონში მშვენივრად ირჯება. გამოკითხვის შედეგები კი ასეთია: მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო 1084 ქულა), კარლ მელოუნი (იუტა 842), გერი პეიტონი (სიეტლი 431), შაკილ ონილი (ლეიკერსი 311), ტიმ დანკანი (სან ანტონიო 148), ტიმ ჰარდევეი (მაიამი 71), დევიდ რობინსონი (სან ანტონიო 36), ვინ ბეიკერი (სიეტლი 24), გრანტ ჰილი (დეტროიტი 23), სკოტი პიპენი (ჩიკაგო 14), გლენ რაისი (შარლოტი 7), ანტუან უოლკერი (ბოსტონი 6), ჯეისონ კიდი (ფინიქსი 5), ჯონ სტოქტონი (იუტა 5), მიჩ რიჩმონდი (საკრამენტო 3), რეჯი მილერი (2), რიკ სმიტსი (ორივე ინდიანა 2), მაიკლ ფინლი (დალასი 1), როდ სტრიკლენდი (ვაშინგტონი 1).

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ქართული სიტყვა




ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 20 მაისი. 20 ათასი მაყურებელი

## საქართველო 12:6 რუსეთი

პირველი ტაიმი 6:6

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიკო იურინი | პენზა | ალექსანდრ ზაკარლიუკი | კრასნი იარი |
| (გიორგი ბუგიანიშვილი) | გუმარი | | |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | გუმარი | ანდრეი კუზინი | პენზა |
| პალიკო ჯიმშელაძე | გუმარი | სერგეი პატლასოვი | კრასნი იარი |
| ბესარიონ ხამაშურიძე | აია | როსტისლავ მამინი | პენზა |
| არჩილ ქავთარაშვილი | როვიგო, იტალია | ვიტალი ზეერი | კრასნი იარი |
| კახა მაჩიტიძე | ყოჩები | კონსტანტინ რაჩკოვი | პენზა |
| შოთა მოდებაძე | გუმარი | იური კრასნობაევი | კრასნი იარი |
| (ზაზა ხუციშვილი) | გუმარი | | |
| მევლუდ მთიულიშვილი | გუმარი | იგორ ხოხლოვი | კრასნი იარი |
| აქვსენტი გიორგაძე | გუმარი | იგორ ნიკოლაიჩუკი | კრასნი იარი |
| ლევან ცაბაძე | შატორუ, საფრანგეთი | რაშიდ ბიგბოვი | კრასნი იარი |
| | | (ლეონიდ კუზმინი) | მონპელიე, საფრანგეთი |
| გია რაფავა | შატორუ, | პიოტრ ილვოვსკი | მონპელიე, საფრანგეთი |
| ზურაბ მჭედლიშვილი | გუმარი | სერგეი სერგეევი | მონტაბანი, საფრანგეთი |
| ზაზა ლეჟავა | ყოჩები | მურატ უამბაევი | ბეზიე, საფრანგეთი |
| (ვასილ კაცაძე) | ექსპრესი | | |
| გია ლაბაძე | პენზა | ვლადიმერ ნევგოდინი | კრასნი იარი |
| | | (დმიტრი დიატლოვი) | პენზა |
| კახა კობახიძე | ყოჩები | ვიაჩესლავ გრაჩოვი | სიბტიაჟმაში |

0:3, 0:6 (3, 7, რაჩკოვი, 2ს), 3:6, 6:6, 9:6, 12:6 (25, 28, 43, 48, ურჯუკაშვილი, 4ს)

არბიტრი — ქრის უათი, თანამსაჯები — ტონი სფრედბრი, ბრაიან ქემფსოლი (სამივე — ინგლისი)

მატჩის კომისარი — მარსელ მარტენი (საფრანგეთი)

# რუსებს ვძლიეთ! დევებს შევებმებით?

### თამაშამდე

რუსებს კარგად ახსოვდათ შარშანწინდელი წყენა. ქართველებთან ეროვნულ სტადიონზე რომ დამარცხდნენ, ამიტომაც თბილისური მატჩისთვის საგანგებოდ მოემზადნენ. ეს ამბავი თავად რუსთა ნაკრების მწვრთნელმა, ამავდროულად ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსან სარაგბო კლუბ „პენზას" თავკაცმა ოლეგ ბალაშოვმა დაგვიდასტურა გუშინწინ სასტუმრო „მესახლვრეს" ჰოლში საუბრისას:

— შარშან ხორვატები სათანადოდ ვერ შევაფასეთ, არხეინად, ულეგიონერებოდ გავედით სათამაშოდ და მწარე მარცხიც ვიწვნიეთ. მას შემდეგ იყო, რომ სხვაგვარად შევხედეთ საქმეს. მდგომარეობის გამოსწორება შეიძლებოდა და ჩვენც ამას ვეცადეთ. მართალია, ამ ერთი თვის წინ იტალიელებთან წავაგეთ, მაგრამ შემდეგ დანიას ვძლიეთ და შანსიც გაჩნდა. მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილნი დავრჩით. მარტში ესპანური ტურნე გვქონდა, იქ რვიდან შვიდი შეხვედრა მოვიგეთ, მათ შორის ორი იქაურ ევროპის ექსჩემპიონ ნაკრებთან, რამაც მსოფლიო რეიტინგში 27-დან მე-20 საფეხურზე დაგვსვა. თბილისში ჩამოსვლამდე ათი დღე კვიპროსზე ვემზადეთ საუკეთესო პირობებში. ლეგიონერებიც შევკრიბეთ. საფრანგეთში მოთამაშე აღიარებულ ფლანკერს მურატ უამბაევსაც ვუხმეთ. თქვენები გვედავებიან, ამ ყაზახს რუსთა ნაკრებში თამაშის უფლება არა აქვსო, მაგრამ სცდებიან. მას ჯერაც საბჭოური პასპორტი აქვს და რომელ ქვეყანასაც აირჩევს, იმის სახელით გამოვა. უამბაევი ჩვენთანაა და ითამაშებს კიდევაც. ურთულესი ამოცანის წინაშე ვდგავართ — საქართველოს სამი ლელოთი უნდა ვაჯობოთ. ჩვენ აქ ამისთვის ვართ ჩამოსულნი.

ბალაშოვისა არ იყოს, რუსთა დელეგაციის სხვა წევრებიც ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად შიშს ოდნავადაც არ იმჩნევდნენ.

გუშინ დილით ჩვენებსაც შევუარეთ ვაკეში. წინა დღით ბორჯომიდან დაბრუნებულებმა სალამოს ფრანგი კონსულტანტის კლოდ სორელის ხელმძღვანელობით ივარჯიშეს და ისინიც მხნედ გამოიყურებოდნენ. ბორჯღალოსანთა თავკაცმა გურამ მოდებაძემ ისიც გვითხა, ეს მატჩი უმთავრესია ჩემს ცხოვრებაში და ბოლო-ბოლო რომც ვერ გავიდეთ ქვეჯგუფიდან, რუსებს მაინც უნდა მოვუგოთ, ბიჭები კბილებს ილესავენო.

გუშინ თბილისს დილიდანვე აწვა ღრუბელი, მაგრამ წვიმას ვერ ბედავდა. და თითქოს განგებ იყო, თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე გამეტებით დასცხო. მაგრამ ქართველი რაგბის ქომაგნი წვიმას ხომ არ შეუშინდებოდნენ და ბორჯღალოსანთა გასამხნევებლად ბარე ოცი ათასამდე შეიკრიბნენ. მატჩს არც უცხო სტუმარი დაჰკლებია. ყველაზე საპატიო მათ შორის, ალბათ, მაინც „რაგბის მსოფლიოს თასის" დირექტორი ფრანგი მარსელ მარტენი გახლდათ, რომელსაც შეხვედრის კომისრობა ევალებოდა.

### თამაში

შეხვედრა რომ თავიდანვე დაძაბული იქნებოდა, ისედაც ცხადი იყო. მაგრამ თუ რუსები ასე ჯიქურ შემოგვიტევდნენ, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით. არადა, საწყის თხუთმეტ წუთში რუსთაგან სწორედ იმ ხალხმა იაქტიურა, ვისი იმედიც მწვრთნელებს ყველაზე მეტად ჰქონდათ — ლეგიონერებმა სერგეევმა, ილვოვსკიმ და უამბაევმა. ამათი აქტიურობის წყალობით ჩვენმა მესამეხაზელებმა პოზიციური შეცდომები დაუშვეს და ეს ძვირადაც დაგვიჯდა. რაჩკოვმა 22-მეტრიან ხაზთან ახლოს დანიშნული ჯარიმა ზუსტად დაარტყა და თავისიანები დააწინაურა. ოთხი წუთის შემდეგ კრასნობაევმა გაიწია ლელოსკენ, ჩვენებმა გარღვევა ჩაუშალეს, მაგრამ ჯარიმის ფასად. ამ ეპიზოდს ჯერ ხანმოკლე ჩხუბი მოჰყვა და მერე რაჩკოვის მიერ მეორედ, ოღონდ უფრო ახლოდან ზუსტად დარტყმული. 0:6-მა დაგვადუმა. მერე ლამის სატირლად შეგვექნა საქმე. მე-14 წუთზე იურინმა ბურთი ვერ დაიმორჩილა, მას ზეერი დაეუფლა და ჩვენი ლელოსკენ გავარდა. იღბლად, რუსს ბურთი წინ დაუვარდა, თორემ მაშინ გვენახა. მეტისმეტი იბნებოდა და თამაშის გადარჩენაც, ალბათ, მაგრად გაჭირდებოდა. მაგრამ ბედი გვქონია და თამაშში გარდატეხაც მოხდა. ჩვენებმა იძალეს და სტუმართა ნახევარზე გადავიდნენ. აგერ მოდებაძემ სცადა ბურთის ჩაკიდება, მაგრამ ოდნავ დაუგვიანდა და დაუფარეს. რუსებმა ორჯერაც უკუგვაგდეს, თუმცა აზარტში შესულმა ქართველებმა სამი წუთის განმავლობაში მაინც გააყაიმეს. ორივეჯერ ურჯუკაშვილმა იმარჯვა. პირველი საჯარიმო მან 40 მეტრიდან გაიტანა, მეორეც იგივე მანძილიდან, ოღონდ ოდნავ მახვილი კუთხიდან. პირველი ტაიმის დასრულებას ორი წუთი აკლდა, მახომ ცენტრიდანაც რომ კარგად დაარტყა, თუმც ბურთმა მაინც ვერ ჩააღწია კარამდე. ეს იყო და მაჩიტიძემ არეკნით გატანა სცადა, დაახლოებით 35 მეტრიდან ურტყამდა, მაგრამ აუცდა.

შესვენებისას თითქოს გადაიღო, მაგრამ მეორე ტაიმთან ერთად წვიმაც განახლდა. თამაში კი უკვე ჩვენების კარნახით მიდიოდა, რუსებს ხელით ბურთაობას არავინ აცლიდა, ძალისმიერ ბრძოლაში კი ქართველებს ჰქონდათ უპირატესობა. აქ იყო, რომ მასპინძლებმა ორი ჯარიმა აჰკიდეს მეტოქეს. და ისევ ურჯუკაშვილმა ისახელა თავი. ჯერ იყო და საკმაოდ შორიდან, თანაც რთული პოზიციიდან გაატარა ბურთი ძელებს შორის, მერე კი 20-მეტრიდან ურტყამდა და ხომ არ ააცილებდა! ასე გახდა 18 წლის მალხაზ ურჯუკაშვილი გუშინდელი მატჩის გმირი.

საბედისწერო თამაშიც ამას ჰქვია. თუმცა, მგონი, მოვლენებს გავუსწარით. 58-ე წუთზე მახომ კიდევ ამოილო სამიზნეში რუსთა კარი, ცენტრიდან დაჰკრა. სულ ოდნავ ააცილა. გაშმაგდნენ რუსები. ძალები მოიკრიბეს და მაგრადაც შემოგვიტიეს. შვიდი წუთი ჩვენებს ისეთი ჯაფა ადგათ, მტერს. რუსებმა ზედიზედ ხუთჯერ გაილაშქრეს ლელოსკენ, კარის ხაზთან ახლოს დანიშნული ჯარიმები ხან მარჯვნივ გაათამაშეს, ხან მარცხნივ, პირდაპირაც მოინდომეს დაცვის გარღვევა, მაგრამ არაფერი გაუვიდათ. ასეთ შანსს რომ ვერ გამოიყენებ, რაღა გინდა? რუსებიც, ეტყობოლდა, მოეშვნენ. ბოლო ათი წუთი ჩვენებმა მეტოქის ნახევარზე გაატარეს. მაჩიტიძემ და მახომ არეკნით მოინდომეს ანგარიშის გაზრდა, მაგრამ არ გაუმართლათ...

მაგრამ ეს არაფერი. მთავარია, გამარჯვება ჩვენებს დარჩათ. რუსებს ერთხელაც დავუმტკიცეთ სიძლიერე, მაგრამ ესეც არაფერი, რა თქმა უნდა, იმასთან შედარებით, რაც აწი გველის. დევებთან შებმა მოგვიწევს. და ესეც, იტალიამ თუ არ გვიმუხთლა. ხორვატია მისი მომგები ნამდვილად არ არის.

ჩვენც დაველოდოთ 6 ივნისს. რა გვეჩქარება, ჩვენი საკეთებელი ხომ გავაკეთეთ.

**იუზა ჭაციტაძე**

### თამაშის შემდეგ

მატჩის შემდგომ რუსები ისე იყვნენ გულგატეხილნი, რომ არც ერთმა ისურვა ჩვენთან საუბარი, გამონაკლისი ყაზახი მურატ უამბაევი აღმოჩნდა.

— ჩვენ შეგვეძლო მოგება, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. თუ რატომ, ეს უკვე მწვრთნელის საქმეა, მაგრამ მთავარი მიზეზი, ალბათ, საქართველოს ნაკრებია. თვითონაც უკმაყოფილო ვარ საკუთარი თამაშით. იყო მომენტი, როცა ქართველები თხუთმეტი წუთის განმავლობაში ვერ გადმოდიოდნენ ჩვენს ნახევარზე. ეს რომ გამოგვეყენებინა, არავინ იცის, მატჩი როგორ დამთავრდებოდა.

ამის შემდეგ ბორჯღალოსნების ფრანგ დამრიგებელ კლოდ სორელს ვთხოვეთ, ორიოდ სიტყვა ეთქვა მატჩზე:

— ეს დიდებული სანახაობა იყო. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ გავიმარჯვებდით, მაგრამ ასეთ თავდადებას ბიჭებისგან არ მოველოდი. ეს მართლაც საოცარი იყო. დღესდღეობით საქართველოს ნაკრებს ძალუძს ღირსეული მეტოქეობა გაუწიოს ევროპულ გრანდებს. ჩვენ ამისათვის ბევრი ვიშრომეთ და კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი. გახსოვთ, ალბათ, ორი წლის წინ როგორ იხევდა უკან ქართველთა შერკინება. დღეს ასეთი რამ არ ყოფილა, რაც ბიჭების კარგ ფიზიკურ მომზადებაზე მეტყველებს. ამის მაგალითია ისიც, რომ მატჩის ბოლოს რუსები თითქმის მთლიანად დაიცალნენ ენერგიისგან, ჩვენ კი კიდევ შეგვეძლო თამაში. თუმცა იყო მონაკვეთი, როცა შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ქართველებს ძალა გამოელიათ, მაგრამ ასე არ გახლდათ, ასეც რომ ყოფილიყო, თადარიგში გვყავდა ოთხი მოთამაშე, რომლებსაც სრულფასოვნად შეეძლოთ, მოედანზე მყოფნი შეეცვალათ, თუმცა, როგორც ნახეთ, ამის საჭიროება არ შექმნილა.

დაახლოებით იგივე გაიმეორა ბატონმა სორელმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე, რომელსაც მის გარდა ქართველთა მთავარი მწვრთნელი გურამ მოდებაძე, რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე, ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილი, გენერალური მდივანი გია კუბლაშვილი და რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ გრაჩოვი ესწრებოდნენ. პრესკონფერენცია დაგვიანებით დაიწყო. ამის მიზეზი ბურძგლა გახლდათ, რომელმაც მატჩის მსვლელობისას იმდენი ინერვიულა, რომ შეუძლოდ შეიქნა. საბედნიეროდ, იგი ჯანზე მალევე მოვიდა და სორელსაც დიდი მადლობა გადაუხადა პრესკონფერენციაზე: — დიდი მადლობა, კლოდ, ჯიგარი კაცი ხარ!

აი, გრაჩოვს რაც შეეხება... რუსთა მწვრთნელმა ლამის ვალი დაგვადო. ცოტა დააკლდა და იტყოდა, თამაში მოგეცითო. ეს პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ მისი საუბრიდან ასე ჩანდა:

— ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ მოგება იყო, მაგრამ მოგება ლელოებით და არა ჯარიმებით. სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხეთ. ჯარიმებით მოგებას იმიტომ არ ჰქონდა ჩვენთვის აზრი, რომ ამ შემთხვევაში ჯგუფში მეორე ადგილზე ხორვატები გადიოდნენ. ასეთ შემთხვევაში გვერჩივნა, თქვენ გასულიყავით. ჯარიმებით მოგება კი რეალურად შეგვეძლო, მაგრამ აღარ ვიბრძოლეთ. დღეს ჩვენმა ბიჭებმა კარგად ითამაშეს, ქართველებზე უკეთესად, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. თქვენები მეორე ტაიმში მხოლოდ თავდაცვაზე იყვნენ გადასულნი. თამაშის წინ გადავწყვიტეთ, თუ ორ ლელოს დავდებდით, მაშინ მოვიგებდით თამაშს, თუ არა და ქართველებისთვის ხელი არ უნდა შეგვეშალა.

ქართველთაგან გრაჩოვის მოსაზრებას, რაღა თქმა უნდა, არავინ დაეთანხმა და მრავალი კონტრარგუმენტიც დაასახელეს. ბატონი სორელის განცხადებით, ქართველთათვის ამ მატჩში მთავარი მოგება იყო. თუ როგორ, ამას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. საამისოდ მწვრთნელებმა ძალიან ბევრი იმუშავეს თეორიულად, მოთამაშეებმა კი ეს მოედანზე პრაქტიკულად განახორციელეს. ასე რომ, იმას, რასაც დღეს ბიჭები აკეთებდნენ, ანუ რუსთა შეტევების ჩაშლა და თავდაცვა, რასაც გრაჩოვი გვაბრალებს, მწვრთნელთა დავალება იყო და ამას მშვენივრად გაართვეს თავი, რაც ქართველთა მაღალ კლასზე მიუთითებს. ვფიქრობ, ჩვენ რუსები სწორედ კლასში სხვაობით დავამარცხეთ. მონდომებასა და თავდადებაზე აღარაფერს ვამბობ.

ახლა ისღა დაგვრჩენია, ერთხელაც მივულოცოთ ბორჯღალოსნებს მშვენიერი გამარჯვება იმ იმედით, რომ ხორვატიაში ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დამთავრდება. იტალიელებმა ხორვატიასთან 30 მაისს დანიშნული მატჩი 6 ივნისისთვის გადაატანინეს, მაისის ბოლოს ტესტ-მატჩები გვაქვს და ხორვატიაში პირველ შემადგენლობას ვერ ვაახლებთ, მეორეთი თამაში კი არ გვსურს, ვაი თუ დავმარცხდით და ხომ თავი მოგვეჭრაო.

**ბაატა თოთაძე**



ბურძგლა ხარობს



ბალაშოვ — გრაჩოვი: ზა დერჟავუ ობიდნო!



სორელი კმაყოფილია



ქართველთა შეტევას გუმარელი მევლუდ მთიულიშვილი იწყებს

# რეპეტიცია ნახევარ მილიონად

დიუსელდორფი. გერმანია. ATP ტურის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ტარდება თიხნარზე საპრიზო 1,9 მილიონი $

ATP ტური მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატს 1978 წლიდან ატარებს. დევისის თასისგან განსხვავებით, დიუსელდორფის გარეუბანში, მწვანე პარკში ჩაფლულ ორ კორტზე მოხვედრა მხოლოდ რვა გუნდს შეუძლია, რომელთა შერჩევაც მათი წევრების საშუალო საკლასიფიკაციო ადგილებით წარმოებს. წლეულს ტურნირზე თამაშობენ: შვედეთი, ჩეხეთი, აშშ და ავსტრალია წითელ ჯგუფში; ესპანეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი და გერმანია ლურჯ ჯგუფში. გერმანელები „უაილდ ქარდით" არიან მიწვეულნი, სლოვაკები კი დიუსელდორფში მოხვედრას ინგლისელების — გრეგ რუზეცკისა და ტიმ ჰენმანის არცთუ სახარბიელო ურთიერთობას უნდა უმადლოდნენ.

დიუსელდორფში ჩოგბურთელები საკლასიფიკაციო ქულებისთვის არ იბრძვიან, მთავარი აქ ნახევარი მილიონი დოლარია, რომელსაც გამარჯვებული გუნდი მიიღებს. აგრეთვე ის, რომ აქაურ კორტებზე თამაში მომავალ კვირაში დასაწყები როლან გაროსისთვის საუკეთესო რეპეტიციად ითვლება. რაც შეეხება ისტორიას, ავტოკონცერნ „პეჟოს" მიერ დაფინანსებულ პირველობაზე ჩემპიონები ოთხოთხჯერ აშშ და ესპანეთი გამხდარან (ეს უკანასკნელი შარშანაც), სამჯერაც შვედები. წლეულს კი ფინალში გასასვლელი თითო საგზურის ფავორიტებად თავთავიანთ ჯგუფებში ესპანეთი და ჩეხეთი მიაჩნიათ.



ბორის ბეკერი და დევიდ პრინოშილი

## წითელი ჯგუფი

### ჩეხეთი 3:0 შვედეთი

ჩეხი პეტერ კორდასა და შვედი იონას ბიორკმანის ბოლო შეხვედრა ფრიად გამოსარჩევი გახლდათ — ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში კორდამ მეტოქეს ორსეტიანი ჩამორჩენა აუნაზღაურა და თავისი პირველი დიდი სლემის ტიტულისკენ გაიკაფა გზა. ამჯერად დრამასა თუ დაძაბულობას ადგილი არ ჰქონია — ცაცია კორდამ ბოლო ხანებში საშინლად მოთამაშე შვედს არანაირი შანსი არ დაუტოვა 6:3, 6:1. „შეიძლება თიხნარი ჩემი საყვარელი საფარი არც იყოს, მაგრამ, როგორც ნახეთ, მასზე თამაში არცთუ ურიგოდ შემიძლია. უბრალოდ, შესაჩვევად დიდი დრო მჭირდება" — განაცხადა ჩეხმა, თუმცა როლან გაროსის მოგების შესაძლებლობაზე საუბარი არ ისურვა, ამჟამად ამ ტურნირზე წარმატებით გამოსვლას ვცდილობ, ყველაფერს თავისი დრო აქვსო.

გუნდის ლიდერის მსგავსად, შესანიშნავად იასპარეზა ჩეხების მეორე ჩოგანმა სლავა დოსედელმა, რომელმაც მაგნუს ნორმანი დაამარცხა 6:0, 6:3, შვედების განადგურება კი დანიელ ვაცეკისა და სირილ სუკის წყვილმა დაასრულა, რომელმაც ბიორკმან — მიქაელ ტილსტრომის დუეტს 7:6, 6:2 მოუგო.

### ავსტრალია 2:1 აშშ

ამერიკელებს გაწბილება ჯერ კიდევ მატჩამდე ელოდათ — მათ მთავარ დამრტყმელ ძალას, მაიკლ ჩანგს ექიმებმა ოთხშაბათამდე დასვენება ურჩიეს მაჯის ტრავმის გამო. ჩანგი საბოლოოდ 32 წლის რიჩი რენბერგმა შეცვალა და წარმატებითაც — ტოდ ვუდბრიჯს 6:3, 7:6 (7:5) მოუგო, თუმცა მერე „ოზების" ლიდერმა მარკ ფილიპუსისმა გამოილო ხელი. „სკადმა" მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს — ჯიმ კურიეს უძლიერეს მოწოდებებთან ერთად უკანა ხაზიდან არანაკლები სიძლიერის დარტყმებით თავბრუ დაახვია და 6:3, 6:4 გაიმარჯვა. „კარგა ხანია, თამაშით ასე არ მისიამოვნია, პირად ცხოვრებაში გარკვეული პრობლემები მქონდა და ჩოგბურთისთვის მაინცდამაინც არ მცხელოდა" — განაცხადა ფილიპუსისმა, რომელსაც, გარდა იმისა, რომ მამა ჰყავდა ავად, ავსტრალიის დევისის თასის კაპიტან ჯონ ნიუკომბთან და თანაგუნდელებთან ურთიერთობა ჰქონდა გამწვავებული.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ მწვანე კონტინენტელთა გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა — მათ ხომ მსოფლიოს საუკეთესო წყვილი, ტოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი ჰყავდათ თადარიგში. „ვუდებმა" რენბერგისა და ტოდ მარტინის დუეტს იოლად 6:2, 6:2 მოუგეს, ვუდბრიჯმა კი ერთეულებში მარცხისთვის იმით იძია შური, რომ რენბერგს ყველა მოწოდება აართვა.

## ლურჯი ჯგუფი

### გერმანია 2:1 სლოვაკეთი

გერმანელებმა დიუსელდორფში იგივე გუნდი ჩაიყვანეს, რომელმაც აპრილში დევისის თასზე სამხრეთ აფრიკელები 5:0 გაანადგურა: ერთეულში მათ ნიკოლას კიფერისა და ტომი ჰაასის გამოყვანა არჩიეს, წყვილებში კი — ბორის ბეკერისა და დევიდ პრინოშილის. 20 წლის ტომი ჰაასს თავი არც ამჯერად შეურცხვენია — თანატოლ დომინიკ ჰრბატისთან ორსაათიან შეხვედრაში ორივე სეტში ტაიბრიკზე იმარჯვა 7:6, 7:6 და თავისიანები დააწინაურა. სამაგიეროდ, თანამემამულეთა თვალწინ მორიგი უჯიგრო და უნიათო მატჩი ჩაატარა თეთრად თავგადალებილმა კიფერმა. „კივიმ", როგორც მას გარმანელები უწოდებენ, სლოვაკ კაროლ კუჩერასთან ხშირი შეცდომების გარდა ვერაფრით გამოიჩინა თავი, 4:6, 2:6 წააგო და თავისიანთა სტვენაში დატოვა კორტი.

ასე რომ, შეხვედრის ბედი წყვილებში უნდა გადაწყვეტილიყო, რის წინააღმდეგიც ბორის ბეკერი სულაც არ იყო: „როდესაც მატჩი რაიმეს წყვეტს, თამაში გაცილებით საინტერესოა. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად გამიხარდა კიდეც, წყვილების წინ 2:0-ს რომ არ ვიგებდით". დიდმა გერმანელმა თანაგუნდელები არ დაალალატა და 6:4, 4:6, 6:4 გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

### ესპანეთი 2:1 საფრანგეთი

ესპანეთისა და საფრანგეთის პირველი ჩოგნების — კარლოს მოიასა და სედრიკ პიოლინის მატჩი გასული თვის მონტე კარლოს ღია პირველობის ფინალის სცენარის მსგავსად წარიმართა: ესპანელმა ფრანგ კოლეგას ამჯერადაც სათიხნარო ჩოგბურთის გაკვეთილი ჩაუტარა და სულ რაღაც 43 წუთში 6:1, 6:1 გააცამტვერა. როლან გაროსისთვის საკუთარ წარმატებაზე საუბარი არც მოიას გაუგრძელებია: „სლემის ტურნირის მოგებას რა სჯობს და თუ რომელიმე მათგანზე ტრიუმფი მიწერია, ყველაზე სავარაუდო, რა თქმა უნდა, როლან გაროსია. მართალია, გარკვეული შანსები მაქვს, მაგრამ მე მხოლოდ ერთ-ერთი ფავორიტი ვარ. ასევე შეუძლიათ ტურნირის მოგება სხვებსაც".

რაც, ალბათ, არ ითქმის საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებულსა და შარშანდელ ფინალისტზე — სერხი ბრუგერაზე ესპანელი წლეულს ერთობ წარუმატებლად ასპარეზობს (მეოთხედფინალისთვის მხოლოდ ერთ ტურნირში მიუღწევია), ცუდ ფორმაშია და საკუთარი ძალების რწმენაც სრულიად შერყევია. ვეტერანმა ესპანელმა დიუსელდორფში ზედიზედ მეოთხე პირადი შეხვედრა წააგო ფრანგ ფაბრის სანტოროსთან 2:6, 6:1, 0:6 და წყვილების თავგამოდება რომ არა, შარშანდელი ჩემპიონები დამარცხდებოდნენ კიდეც. ასე კი ტომას კარბონელ-ფრანსისკო როიგის დუეტმა სანტოროსა და ოლივიე დელეტრს აჯობა 6:4, 6:2.

**ავთანდილ სვანიძე**



Giro D'Italia 98

# ლიდერი შეიცვალა

II ეტაპი. ალბადან იმპერიამდე. 160 კმ

მეორე ეტაპის გამარჯვებულ ესპანელ ანხელ ედოსთვის წარმატება განსაკუთრებით ფასეული იყო. მარტში მილან — სან რემოს რბოლისას ედომ სისხლის ანალიზი ვერ გაიარა და შეჯიბრებიდან მოხსნეს, რასაც მასზე ერთობ მძიმე ზეგავლენა მოუხდენია: „კარგა ხანი ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ თანაგუნდელების მხარდაჭერამ გონზე მომიყვანა. ამ გამარჯვებას სწორედ მათ ვუძღვნი" — განაცხადა ესპანელმა. ედომ საფინიშო სპურტზე ორი იტალიელის — მარიანო პიკოლის და ნიკოლა ლოდას თავდასხმა მოიგერია, თუმცა ამ უკანასკნელს გზის გადაკეტვის გამო ზედ ფინიშის ხაზზე მადიანი გინების ჟესტიც დასტყუა. მარიო ჩიპოლინი ველოსიპედის მწყობრიდან გამოსვლის გამო ლიდერთა ჯგუფს თითქმის ორი წუთით ჩამორჩა და რბოლის დროს მობილური ტელეფონით სარგებლობისთვის 200 შვეიცარული ფრანკითაც დაჯარიმდა.

**მე-2 ეტაპი: 1. ანხელ ედო — 3:53,23; 2. მარიანო პიკოლი; 3. ნიკოლა ლოდა — იგივე დრო.**

III ეტაპი: რაპალოდან ფორტე დეი მარმიმდე. 196 კმ

მესამე ეტაპმა საერთო ჩათვლაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. ალექს ცულემ, რომელიც ლიდერის ვარდისფერ მაისურს პროლოგის სიჩაუქის გამოცდის შემდეგ ფლობდა, ფინიშამდე ერთ კილომეტრში წაქცეულ ველოსიპედისტებს დროულად ვერ აუარა გვერდი და ძირითად ჯგუფს 13 წამით ჩამორჩა. ლიდერობა კი მისგან 27 წლის უკრაინელმა სერგეი გონჩარმა გადაიბარა, რომელსაც სათვალიანი შვეიცარიელი აქამდე ერთ წამს უგებდა. რაც შეეხება თავად მესამე ეტაპს, მასში ისევ მასპინძლებმა გამოიჩინეს თავი — მათ პირველი შვიდი ადგილის დაკავება მოახერხეს. ფინიშის ხაზი კი მინიმალური უპირატესობით პირველმა ნიკოლა მინალიმ გადაკვეთა.

**მე-3 ეტაპი: 1. ნიკოლა მინალი — 4:44,34; 2. მასიმო შტრასერი; 3. ფრანჩესკო არაზი — იგივე დრო.**

**ლაშა ლომჯარია**



# კობა გოგოლაძემ ბრინჯაო გაინაღდა

მაისის თვეში სხვადასხვა სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატებზე ქართველმა ფალავნებმა თითქმის ყველანაირი სინჯის მედლით დაიმშვენეს მკერდი, არანაკლებ წარმატებას ველით ჩვენი მოკრივეებისაგან, რომელთა კონტინენტურ პირველობას ბელარუსის დედაქალაქი მინსკი მასპინძლობს. გუშინ, გვიან ღამით დავუკავშირდით ნაკრების ხელმძღვანელობას და მათი ამბავი შევიტყვეთ — სამწუხაროდ, ორი ქართველი მოკრივე ფოთელი ვლადიმერ ჭანტურია და ჭიათურელი თენგიზ ჯაოშვილი უკვე გამოეთიშნენ ასპარეზობას, რაც შეეხება 60 კგ წონით კატეგორიაში მოჩხუბარ ფოთელ კობა გოგოლაძეს, იგი უკვე ნახევარფინალშია, კრივის წესებით ეს იმას ნიშნავს, რომ კობა მინიმუმ ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა, იგი ზეგ ფინალში გასასვლელად სომეხ არტურ გევორქიანს შერკინება. იმედია, კობა ბრინჯაოს არ დასჯერდება და ევროპის ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს.

ხვალ კი 51 კგ წონით კატეგორიის მოკრივეთა ბრძოლები გაიმართება, მათ შორისაა გორელი რამაზ გაზაშვილი, რომელიც მეოთხედფინალში ფრანგ მოკრივეს შეხვდება. ჩვენი ბიჭების მინსკის რინგზე ჩატარებული ბრძოლების შესახებ „სარბიელის" შაბათის ნომერში შეიტყობთ.

**სოსო კოტორეიშვილი**

## საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის

# განცხადება

ახლოვდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა, რომელიც, ბუნებრივია, საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ქართული ფეხბურთის უძლიერესი მომავალი მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ყრილობის შედეგებზე, იქ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, იმაზე, თუ ვის აირჩევენ ხელმძღვანელ პოსტებზე, ვინ ჩაუდგება სათავეში ფედერაციას.

საყრილობო სამზადისი დაწყებულია, პრეზიდენტობის მაძიებელმა რამდენიმე კანდიდატმა უკვე გააკეთა წინასაარჩევნო განაცხადი. ახლახანს გაიმართა ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა, რომელიც სწორედ მომავალ ყრილობას მიეძღვნა.

ყრილობის მოსამზადებელი სამუშაოების ფართოდ გაშუქების, მნიშვნელოვანი და საყურადღებო ინფორმაციის ოპერატიულად გავრცელების, პრეზიდენტობის კანდიდატთა საზოგადოებრიობისთვის წარდგენის მიზნით საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციასთან შეიქმნა საფეხბურთო პრესკლუბი, რომელშიც გაერთიანდნენ პრესისა და რადიოტელევიზიის, საინფორმაციო სააგენტოების პროფესიონალი ჟურნალისტები, მეტწილად — საფეხბურთო მიმომხილველები.

პრესკლუბში რეგულარულად მოეწყობა შეხვედრები, პრესკონფერენციები, დისკუსიები. მოვიწვევთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელ მუშაკებს, ცნობილ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს, საფეხბურთო კლუბების თავკაცებს, პრეზიდენტობის კანდიდატებსა და მათ წარმომადგენლებს.

კვირას, 24 მაისს, 12 საათზე, ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში გაიმართება პირველი შეხვედრა. პრესკლუბელთა წინაშე წარსდგება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი ბატონი ილია დათუნაშვილი.



# '98 NHL Playoffs

## დასავლეთი



ბლუზმენებმა ოსგუდს ვერაფერი დააკლეს

### სენტ ლუისი 2-4 დეტროიტი

**სენტ ლუისი — დეტროიტი 1:6**

**0:2, 0:2, 1:2**

**შაიბები: მაკარტი 3 (0:1), ბრაუნი 1 (0:2), ლაპოინტი 4 (0:3), ლაპოინტი 5 (0:4), ჰოლმსტრიომი 5 (0:5), აიზერმანი 3 (0:6), კემპბელი 7 (1:6)**

სენტ ლუისს დეტროიტთან პაექრობაში უიღბლობა 1996 წლის პლეი ოფში დაებედა, როცა სერიის მე-7 მატჩის ოვერტაიმში „წითელფრთიანთა" კაპიტანმა სტივ აიზერმანმა უძლიერესი დარტყმით დალაშქრა „ბლუზმენთა" კარი. აგერ უკვე მესამე ფინალია, დეტროიტი სენტლუისელთათვის მოუხერხებელ მეტოქედ ქცეულა. წლეულსაც, თუკი სტუმრად მე-5 შეხვედრის მოგებამ მათ იმედი გაუღვივა, მერე ყველაფერი დასამარდა. „ბლუზმენები" ბოლო მატჩშიც აიზერმანმა გაამწარა, რომელსაც ფიოდოროვის დარად თითქმის ყველა თავდამსხმელთან მოუხდა შემხანაგება და ჩინებულადაც გაართვა თავი ყველა ამპლუას. სწორედ მან დაალაგა გუნდის თამაში რიცხვმრავლობაში („წითელფრთიანებმა" 5-დან 3 შესაძლებლობა გამოიყენეს) და ახლა „ბლუზმენთა" ტანჯვაც დაასრულა — სულიერად გატეხილი გრანტ ფიურის შემცვლელ ჯემი მაკლენანს მეექვსე შაიბა შეუგდო და 16 (3+13) ქულით თასის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. რაც შეეხება სერგეი ფიოდოროვს, იგი ამჯერად ნაკლებად გამოირჩეოდა — მხოლოდ ერთი პასი მიითვალა. ეტყობა, დაპირებულმა 12-მა მილიონმა იგი ერთობ აალელვა.

ამგვარად, კონფერენციების ფინალში შეხვდებიან:

აღმოსავლეთში: ვაშინგტონი — ბუფალო (პირველი მატჩი 23 მაისს გაიმართება);

დასავლეთში: დალასი — დეტროიტი (პირველი მატჩი — 24 მაისი).

**სამველ ლარიბიანი**

# კრეტიენმა ვაშინგტონის მაისური მოირგო

ნჰლ-ის ისტორიაში ორი დედაქალაქური გუნდის — ვაშინგტონის და ოტავას პირველ საპლეიოფო სერიის ერთმა ფაქტმა შემატა ინტერესი. სერიის დაწყებამდე აშშ-ის პრეზიდენტი ბილ ქლინტონი და კანადის პრემიერ-მინისტრი დანიძლევდნენ — დამარცხებული კლუბის ქვეყნის მეთაური მეტოქის საკლუბო მაისურში უნდა გამოწყობილიყო, ხოლო კრეტიენს, თუ ოტაველები ოთხ ან ხუთ მატჩს მოიგებდნენ, დიდი რვეულის მომდევნო სამიტზე უნდა ეხელმძღვანელა. ვინ იცის, საქმეში პოლიტიკა რომ არ ჩარეულიყო, კრეტიენს მოეგო კიდეც ნიძლავი, მაგრამ ვაშინგტონელებმა აშშ-ის პრესტიჟი არ შელახეს და კანადის პრემიერ-მინისტრსაც სიტყვის შესრულება მოუხდა — იგი ფოტოკორესპონდენტებს წარუდგა „კეპიტალსის" მაისურით, რომელზეც მისი გვარი და პირველი ნომერი იყო ამოტვიფრული (ახალგაზრდობაში კრეტიენი ჰოკეის თამაშობდა და მეკარე გახლდათ).


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
**ზურაბ ფოცხვერია**

რედაქტორი
**თამაზ მიგრიაული**

ტექნიკური რედაქტორი
**გურამ ხელაშვილი**

სარედაქციო კოლეგია:
**ილია ბაბუნაშვილი**
**ვახტანგ ბზიკაძე**

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
**გიორგი ოქრომჭედლიძე**

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29